ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1992 - Nr. 11(29) - Mai 1992

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

## საქართველოს დამოუკიდებლობის 74 წლისთავი

26 მაისის დიადი იდეების 'ფერისცვალება?..'.....1
საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.....5
საქართველო დამოუკიდებელია?.....9

## ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს

მიმართვა ბატონ გამსახურდიას და ბატონ შევარდნაძეს.....10
ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს.....12

## ე რ ო ვ ნ უ ლ ი ტ რ ა გ ე დ ი ა

საქართველო - 'ბანანების რესპუბლიკა?..'.....15
'ხაზინდარი მანტაცი'.....18
ვინ ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია?.....20
'ტრაგიკული აუცილებლობა?..'.....22
'ნებაყოფლობით უთავისუფლებობაში?..'.....25
გაზეთი 'საქართველოს რესპუბლიკა' და შევარდნაძე-გამსახურდია.....26
ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ.....28
ჯონ(ივანე) შალიკაშვილი ნატოს მთავარსარდალი.....31

## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

პირველი მაისი - თამარობა და შრომის დღე.....31(1)
'ყველა ერს მივცემთ თავისუფლებას - ქართველ ერს არა!?.....32
'კისერმოგრეხილები'.....35
'დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა' და საქართველო.....39
რუსეთის იმპერიის დასასრული?.....41
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები.....42
მოვლენათა ქრონოლოგია: საქართველო - რუსეთი - სსრკ.....53
საქართველოს ტერიტორია.....57
საქართველოს სახალხო გვარდიის 75 წლისთავი.....59
საქართველოს კონსტიტუცია მალამია?.....63
ვენშევრი და მეიკერი საქართველოში.....64
როცა ხვეწრუები მასპინძლები ხდებიან(ოსები საქართველოში).....65(1)
"ჩვენი სისხლი წმინდაა"(ე.შევარდნაძის ინტერვიუ).....65(3)

## ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ს ა მ ყ ა რ ო

საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს.....66
'საბაზრო მეურნეობა არ არის ღვთის სამყარო'.....67
'კაპიტალიზმის თეოლოგია?..'.....68
ჩრდილოეთ-სამხრეთის ქვეყნების დაპირისპირება.....68

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

შობის და აღდგომის დღესასწაული პარიზში.....69
საჯარო საუბარი.....69
26 მაისი პარიზში.....70
მირიან მელუას გარდაცვალება.....71
ქრისტიან ზერიშვილის გარდაცვალება.....71

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდვარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი, 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

# 1918 - 1992

## თავი პირველი: საქართველოს დამოუკიდებლობის 74 წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### 26 მაისის იდეის "ფერისცვალება?.."

I.

"ფერისცვალებას" იმიტომ ვწერ ბრჭყალებში, რომ მინდა გავასხვაო რელიგიური ფერისცვალება -"ფერისცვალება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი" - სხვა "ფერისცვალებისაგან", რომელსაც, ჩემის აზრით, დასაბამი მიეცა 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა საქართველოში, 1919 წლის თებერვლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ, - მეორეჯერ ჩატარდა პარლამენტის, ე.ი. საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" - და რომელმაც პარლამენტის სულ 250 დეპუტატიდან 155 დეპუტატი გაიყვანა; და ამგვარად მოხდა საბჭოთა მთავრობის დემოკრატიული მთავრობით მშვიდობიანი შეცვლა, როცა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია, ხოლო მთავრობის თავმჯდომარედ თენგიზ სიგუა.

II.

მაგრამ რაში გამოიხატება აღნიშნული "ფერისცვალება" და რა კავშირშია ეს "ფერისცვალება" ჩვენს ეროვნულ დღესასწაულ 26 მაისთან? - ამ საკითხის გარკვევისათვის, ვფიქრობ, საჭიროა 1990 წლის 28 ოქტომბრის წინა- და მომდევნო პერიოდის ანალიზი:

დაწყებული 1801 წლიდან, როცა მეფის რუსეთმა მოახდინა საქართველოს ანექსია და საქართველო როგორც სახელმწიფო გაქრა საერთაშორისო არენიდან, - ქართველი ხალხი ყოველი შესაძლებლობით, ყოველი ხერხით იბრძოდა უცხო ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის; ამის შედეგია ის ისტორიული ფაქტები, რომ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში გაუთავებელ აჯანყებებს ჰქონდა ადგილი უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, რაც წარმატებით დაგვირგვინდა, როცა 1917 თებერვალში რუსეთში მოხდა თებერვლის დემოკრატიული რევოლუცია, რასაც მოყვა საქართველოს თავისუფლება და 1918 წლის 26 მაისს საქართველო ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რაც, უმოკლეს ხანში, ოცზე მეტმა სახელმწიფომ თვით საბჭოთა რუსეთმაც იცნო, რომელმაც საზავო ხელშეკრულება დადო საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს, და ამ გზით დე ფაქტო და დე იურე იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ 1921 წლის 11 თებერვალს - დაარღვია რა აღნიშნული საზავო ხელშეკრულება - თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს და იგი ისევ რუსეთის პროვინციად აქცია, რის თარიღია 1921 წლის 25 თებერვალი, როცა წითელი მე-11 არმია შემოვიდა თბილისში, რასაც ქართველობა შავი დროშებით, გლოვით შეხვდა. და ქართველმა ხალხმა ისევ განაგრძო ბრძოლა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ, რომლის კულმინაციური წერტილი გახდა 1924 წლის 28-29 აგვისტოს საერთო სახალხო აჯანყება, რომელიც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს. 1924 წლის აგვისტოს მოყვა 1956 წლის ახალგაზრდობის დემონსტრაციები თბილისში, რომელიც ისევე სისხლში ჩაახშეს ბოლშევიკებმა, როგორც სხვა მრავალი გამოსვლები უცხო რეჟიმის წინააღმდეგ, რომლის უკანასკნელი შემზარავი აქტი გახდა 1989 წლის 9 აპრილი, როცა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ ქიმიური საწამლავი ნივთიერებანიც კი იქნა გამოყენებული, რომლის დროს მოკლულ იქნა 19-ი, ხოლო დაჭრილ-დაჩეხილი იქნა ბარებით თუ მოწამლული ასობით ადამიანი, რაც უკვე "9 აპრილის ტრაგედიად" არის შესული საქართველოს ისტორიაში.

III.

აი, 1990 წლის 28 ოქტომბრის წინა-პერიოდი, როცა ჩვენ ქართველობა, საქართველოს მოსახლეობის დიდი, დიდი უმრავლესობა ვიბრძოდით უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ და ვიცოდით, რომ დაწყებული 1801 წლიდან, ჩვენი მტერი იყო უცხო იმპერიული დიდმპყრობელ-შოვინისტები. მართალია, 1990 წლის 28 ოქტომბრიდანაც ეს მტერი, ხელის ერთი მოსმით, არ გამქრალა, მაგრამ იმდენად მისუსტდა რუსეთის უშველებელი იმპერიის დაშლის პროცესში, რომ, სხვა ცოდვა, გარეგნულად ითმენდა საქართველოს 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტსა და მთავრობას, თუმცა საქართველოში სამასი-ათასიანი რუსის ჯარი იდგა და დგას

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

მაგრამ - "ვაის გაკეკარე, ვის შეკეყარე" ნათქვამია - 1990 წლის 28 ოქტომბრიდან დაიწყო თავისებური "ქაოსი": თუ 1990 წლის 28 ოქტომბრამდე ვიცოდით თუ ვინ არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენის მტერი და ვიბრძოდით მის წინააღმდეგ, ახლა, 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, "მტრის" ძებნა დავიწყეთ თვით ქართველობაში და მოვნახეთ კიდეც, რაც 28 ოქტომბერს არჩეული პარლამენტისა და მთავრობისათვის გახდა ოპოზიცია, თვით "შეიარაღებული ოპოზიციის" ჩათვლით, ხოლო ოპოზიციისათვის 28 ოქტომბერს არჩეული პარლამენტი და მთავრობა, რომლის სიმბოლოდ "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" ზვიად გამსახურდია გახადა. და როცა ზვიად გამსახურდიას მისივე მთავრობის თავმჯდომარე - თენგიზ სიგუა - გადაუდგა და "შეიარაღებულ ოპოზიციას" ჩაუდგა სათავეში, ამის შემდეგ "მტერ-მოყვარის" თუ "მოყვარე-მტრის" სიმბოლო გახდნენ - ერთი მხრივ - ზვიად გამსახურდია, ხოლო - მეორე მხრივ - თენგიზ სიგუა, რომელთა შორის დაიწყო თავისებური სამოქალაქო ომი, როცა მოსკოვში 1991 წლის 19-21 აგვისტოს სამხედრო პუტჩმა იფეთქა, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა, ჩვენდა საბედნიეროდ, ბორის ელცინი. მაგრამ გამსახურდია-სიგუას მომხრეებმა, როგორც ჩანს, ვერაფერი ვერ ისწავლეს 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩისაგან, როცა "რუსებმა რუსებს ცეცხლი არ გაუხსნეს!" სიგუა-გამსახურდიამ - პირიქით - ცეცხლი გაუხსნეს ერთმანეთს ისეთი სიძულვილით, რომ - როგორც ერთი დასავლეთ-ევროპული გაზეთი ირონიულად წერდა - "ქართველები კალაშნიკოვებით ერთმანეთზე ნადირობენ თბილისის ქუჩებში!" მაგრამ პოზიცია-ოპოზიციის შეიარაღებული შეტაკებები ხშირად მაშინ გაძლიერდა, როცა 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ ყოფილმა 11-მა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირი, როგორც სახელმწიფო გააუქმა, რითაც საქართველოსაც გზა გაეხსნა დამოუკიდებლობისა და სუვერენობის რეალურ განხორციელებისაკენ.

V.

მაგრამ ამ დროს უკვე შეიარაღებული ბრძოლა თბილისში სასტიკ ფორმებს ღებულობდა, რომლის დროს თბილისის გული - რუსთაველის პროსპექტი - "შეიარაღებული ოპოზიციის" პოლიგონ=სასროლეთი გახდა, რის შესახებ ერთი, ისევ დასავლეთ ევროპული, გაზეთი წერდა, რომ კავკასიის ქედის იქეთ ერთადერთი შესანიშნავი გამზირი - რუსთაველის პროსპექტი - უკვე ნანგრევებიაო. საბოლოოდ: სიგუა-კიტოვან-იოსელიან-ჯანსუღიამ და მათმა მომხრეებმა "გაიმარჯვეს", ხოლო ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები "დამარცხდნენ", რის შედეგად საქართველოს ხალხის მიერ არჩეულმა საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ტერიტორია დატოვა და თბილისში ე.წ.-ლი "სამხედრო საბჭო" და თენგიზ სიგუას დროებითი მთავრობა გაბატონდა. და ყველაფერი ეს ისეთი ფორმით იქნა აღნიშნული, რომ ერთი "შეიარაღებული ოპოზიციონერი", კალაშნიკოვით ხელში, იდგა დანგრეული მთავრობის სასახლის წინ, გახსნა შამპანიური და მოსვა მისი ქაფი ისეთი აღტკინებით, რომ თითქოს აღა-მაჰმად-ხანის ჯარები გაერეკოს თბილისიდან!..

VI.

და კიდევ იგივე კითხვა: რა კავშირშია ყველაფერი ეს 1992 წლის 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულთან და რა შუაშია აქ საერთო "ფერისცვალება?" - საერთო "ფერისცვალება" უშუალო კავშირშია აღნიშნულ ფაქტებთან იმიტომ, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრამდე ჩვენ, ქართველობამ ვიცოდით, რომ ჩვენი მტრებია უცხო დამპყრობლები და თავგანწირვით ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ - იყო ეს მეფის რუსეთი თუ საბჭოთა რუსეთი თვით ქართველი ბოლშევიკების ჩათვლით. მაგრამ 1990 წლის 28 აგვისტოს შემდეგ "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" საქართველოს მტრად გამოაცხადა საქართველოს ხალხის მიერ დიდი უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები, ე.ი. ქართველი ხალხის 87 პროცენტი და იარაღის ძალით შესძლო მისი ჩამოგდება და ასე დაეპატრონა საქართველოს.

VII.

ამგვარად, ჩვენ ქართველობამ განვიცადეთ "ფერისცვალება": 1990 წლის 28 ოქტომბრამდე ვებრძოდით უცხო დამპყრობლებს, 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ კი ვებრძვით ერთმანეთს, რომლის დროს "მტერიც" ქართველობაა და "მოყვარეც". აი, ასეთ ქაოსში მოაქცია ქართველი ხალხი "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" და ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეულმა პრეზიდენტმა და მთავრობამ. და

ახლა ვდგევართ არა მარტო რუსთაველის გამზირის ნანგრევების წინ და ვერ მოგვინახავს გამოსავალი, რადგან "მტერ-მოყვარეს" შორის ყოველი საზღვარი წაშლილია და,როგორც ჩანს, პიროვნული თუ ჯგუფური ინტერესები საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე მაღლაა დაყენებული.

VIII.

ამის შედეგად, 1918 წლის 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულმა, 1921 წლის 25 თებერვალმა და 1924 წლის 28-29 აგვისტომ, რაც, საერთოდ, ქართველი ხალხის თავისუფლების(26 მაისი), დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის(25 თებერვალი) და უცხო დამპყრობელთა წინააღმდეგ აჯანყების(28-29 აგვისტო) სიმბოლოა, 1992 წელს "ფერი-იცვალა", რადგან დღეს - დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან - "მტერიც" ქართველობაში უნდა ვეძიოთ, რაც იმისაკენ მიგვითითებს, რომ გუშინდელი "შეიარაღებული ოპოზიციის" მიერ საქართველოს ხალხისაგან

არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდება და საქართველოს "დროებით მთავრობად" გამოცხადება""სამხედრო საბჭოს" ლოცვა-კურთხევით, ალბათ ახალ "შეიარაღებულ ოპოზიციას" დაბადებს, ვინაიდან კანონის უზენაესობა უკვე უგულებელყოფილია, რაც ყოველი ჯურის ავანტიურისტს საქართველოზე ბატონობის წყურვილს უღვიძებს. აი, ამდენად "იცვალა-ფერი" არა მარტო "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების დღიდან.

IX.

ვითომ დემოკრატიულ არჩევნებს შეუძლია გამოიყვანოს საქართველო, ქართველი ხალხის ამგვარ ქაოსიდან?.. ვითომ ამგვარ არჩევნებს შეუძლია დაუბრუნოს ქართველობას ის "ფერი",რომელიც მას გააჩნდა 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, როცა საქართველოს მტრებს თვით ქართველობაში კი არა უცხო დიდმპყრობელ-შოვინისტებში ხედავდა?..

X.

26 მაისის "ფერისცვალების" ფაქტებია აგრეთვე 1991 წლის 26 მაისის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები, თითქოს პრეზიდენტის არჩევნების ჩატარება სხვა დღეს არ შეიძლებოდა, და ამასთანავე, 1991 წლის 9 აპრილი - თბილისის 9 აპრილის ტრაგედიის დღე, როდესაც საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის აღდგენის დეკლარაცია, და ამ "აღდგენის დეკლარაციის" გაფორმება მოხდა ისეთი წესითა და რიგით, რომ ამ 9 აპრილს "აღდგენის აქტსაც" ხელი მოაწერეს საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ და დეპუტატებმა ისეთი სიზუსტით, რომ ეს "აღდგენის აქტი" 1918 წლის 26 მაისის "დამოუკიდებლობის აქტის" ფოტო-ასლი გეგონებათ, რომ ჩვენი ეროვნული გერბი -"თეთრი გიორგი" - რვაქიმიან ვარსკვლავში არ იყოს ჩასმული და "თეთრ გიორგს" "წმინდა გიორგი" არ ეწოდებოდეს. როგორც ხედავთ, ერთ წელიწადში ხალხისაგან არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ და პრეზიდენტმა ისეთი ახალ-ახალი ისტორიული თარიღები შექმნეს, რომ 26 მაისს "ფერი-უცვალეს".

XI.

მაგრამ ვითომ ქართველმა ხალხმაც "იცვალა-ფერი?.." და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რა მოგვივიდა ამ გასულ ერთ წელიწადში ისეთი, რომ 1918 წლის 26 მაისის შემქმნელთა დემოკრატიულ დონემდე ვერ ავედით?.. ყველა აქ აღნიშნული არევა-დარევა, ქაოსი განა შეიძლება ერთ პიროვნებას დავაბრალოთ?.. ეს ერთი პიროვნება რომ ხალხის 87 პროცენტმა აირჩია?.. მაშინ "დამნაშავეა" ქართველი ხალხის 87 პროცენტი?.. და უდანაშაულოა "შეიარაღებული ოპოზიცია", რომელიც ახლა საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლების სათავეშია?..

26 მაისის იდეალმა, რაღაც ერთი წლის განმავლობაში, განიცადა ფერისცვალება?.. 26 მაისის ეროვნული ერთობის იდეალი დაიშალა პოზიცია-"შეიარაღებულ ოპოზიციად" და ამით დაკნინდა ეროვნული ერთობის დიადი იდეა,რომელიც განხორციელდა 1918-1921 წლებში, ჩვენი ისტორიის "პატარა ოქროს ხანაში?.."

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იგივე ეროვნული ერთობა, რაც გამოიხატებოდა ქართველი ხალხის უცხო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რის სიმბოლო გახდა 1921 წლის 25 თებერვალი, როცა უცხო ძალამ დაიპყრო საქართველო, - ასევე დაკნინდა და ახლა დაკავებულით პოზიცია-"შეიარაღებული ოპოზიციის", ძმათა ბრძოლის გზას?..

და იგივე ერთობა, რაც გამოიხატებოდა მშვიდობიან თუ შეიარაღებულ აჯანყებებით ბრძოლაში უცხო მტრის წინააღმდეგ, რის სიმბოლო გახდა 1924 წლის 28-29 აგვისტო, ისე დაკნინდა, რომ ახლა უცხო მტრის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ პოზიცია-"შეიარაღებული ოპოზიცია" ერთმანეთს ვებრძვით ისეთი თავზარდამცემი თავგანწირულებით, რომ "ქართველები ქართველებზე ნადირობენ, თბილისის ქუჩებში, კალაშნიკოვებით", როგორც ამას წერდა დასავლეთ ევროპის პრესა, როცა ბრძოლა რაკეტებითაც კი წარმოებდა პოზიციასა და "შეიარაღებულ ოპოზიციას" შორის 1991-1992 წლების მიჯნაზე?..

XII.

კითხვები, კითხვები და კიდევ კითხვები, რომელთაც შეიძლება პასუხი გასცეს ისევ ქართველმა ხალხმა დემოკრატიული არჩევნების გზით, თუ ასეთი არჩევნები გამსახურდია-შევარდნაძისა და მათი მომხრეების მონაწილეობით ჩატარდება. მანამდე ჩვენ უნდა ვიზეიმოთ "ფურცვლილი" 26 მაისი იმ რწმენით, რომ 26 მაისი იყო, არის და დარჩება ისეთი დიდი ეროვნული დღესასწაული საქართველოს, ქართველი ხალხისა, როგორიცაა, ვთქვათ, 4 ივლისი(1776 წელი) ამერიკის შეერთებული შტატების ხალხისათვის თუ 14 ივლისი(1789 წელი) ფრანგი ხალხისათვის.

მაშ, დიდება საქართველოს!..

დიდება ქართველ ხალხს!..

დიდება 26 მაისს და მის დიდ იდეებს!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 26 მაისი

---

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს. რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა. როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ. ჭირში და ლხინში განუყრელათ. აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები. არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი. ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან. ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან. ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილდება და ქვეყანას ალგვას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება. ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—არჩეული პირდაპირ თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი სამხედრო ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

„დარჩენენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და შესაფერისი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნულ ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.

[illegible]



# ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIIIe siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.

2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.

3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.

4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.

5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.

6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.

7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.



# ACT

## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the Independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".



## АКТ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ

В течение многих веков Грузия существовала как свободное и независимое государство.

В конце XVIII века, теснимая со всех сторон врагами, Грузия добровольно присоединилась к России с условием, что Россия обязывается защищать ее от внешних врагов.

В годы великой революции в России установился порядок, который привел к развалу весь боевой фронт и заставил русские войска оставить Закавказье.

Предоставленная своим собственным силам Грузия, и вместе с нею все Закавказье, сама взяла в свои собственные руки дело устроения своих судеб и создала соответствующие органы, но давление внешних сил привело к нарушению союза, объединявшего народы Закавказья, и к распадению политической его целости.

Нынешнее положение грузинского народа повелительно диктует Грузии необходимость создания своей собственной государственной организации, чтобы спасти себя от порабощения со стороны враждебных сил и заложить прочные основы для свободного развития.

Согласно этому, Национальный совет Грузии, избранный Национальным собранием Грузии 22 ноября 1917 года, ныне всенародно объявляет:

1) Отныне грузинский народ является носителем суверенных прав Грузия — полноправным независимым государством.

2) Формой политического устройства независимой Грузии устанавливается Демократическая республика.

3) В случаях международных столкновений Грузия постоянно нейтральна.

4) Грузинская Демократическая Республика стремится установить добрососедские отношения со всеми членами международного общения, в особенности же с определенными народами и государствами.

5) Грузинская Демократическая Республика гарантирует в своих пределах гражданские и политические права всем гражданам без различия национальности, вероисповедания, социального положения и пола.

6) Грузинская Демократическая Республика всем народностям, населяющим ее территорию, предоставляет широкий простор для свободного развития.

7) До созыва Учредительного собрания во главе управления всей Грузией стоит Национальный совет, пополненный представителями национальных меньшинств, и Временное правительство, ответственное перед Национальным советом»*.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული ჰიმნი

## დ ი დ ე ბ ა

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სოლოსხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

---

## საქართველო დამოუკიდებელია?..

დე ფაქტო და დე იურე, ეს საერთაშორისო სამართლის ცნებები რომ ვიხმაროთ, — საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა უკვე 1991 წლის 9 აპრილიდან, როცა საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ისევ-აღდგენის დეკლარაცია. მაგრამ როგორ გამოიყურება სინამდვილე?..

- საქართველო, როგორც სახელმწიფო, ჩაკეტილია თავის საზღვრებში უცხო ჯარის მიერ, რომელიც დგას საქართველოს საზღვრებზე.
- საქართველო, როგორც სახელმწიფო, უცხო ჯარის უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფება ქვეყნის შიგნითაც, რომლის დროს ამ უცხო ჯარის სარდლობა იმ"შეიარაღებულ ოპოზიციას" აწვდის იარაღს, რომლის გამარჯვება მას სურს, როგორც ეს მოხდა საქართველოს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდების და საქართველოში ე.წ-ლი სამხედრო საბჭოს გაბატონების დროს; შიდა ქართლში კი უცხო ჯარი უშუალოდ ბატონობს.
- საქართველო, როგორც სახელმწიფო, ისე ჩაკეტილია თავის საზღვრებში, რომ ერთადერთი გზა გარე-მსოფლიოსთან უშუალო კავშირისა, მოსკოვზე გასვლით ხდება, რომლის დროს საქართველოს საინფორმაციო ბლოკადის ქვეშაც იმყოფება, რის შედეგად ქართული გაზეთებიც კი ვერ აღწევენ დასავლეთამდე რეგულარულად, რის უშუალო შედეგია ისიც, რომ გარე-მსოფლიო მოსკოვის გზით ღებულობს ინფორმაციას, ე.ი."გაკონტროლებულ"ინფორმაციას საქართველოს შესახებ.
- საქართველო, როგორც სახელმწიფო, ეკონომიკურადაც მოსკოვის ხელშია, რადგან საქართველოს მთელი ეკონომიკური ალებ-მიცემობა, ქართული ფულის უქონლობის გამო, მის ხელშია.
- საქართველო, როგორც სახელმწიფო, იმყოფება 'დამოკლეს ხმლის', ე.ი. უცხო ჯარის უშუალო შიშის ქვეშ, და ჩვენ ვკმაყოფილდებით ილუზიით, რომ თითქოს 1919 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და 1921 წლის 21 თებერვლის საქართველოს კონსტიტუცია ისევ-ძალაშია.
- საქართველო, როგორც სახელმწიფო, კიდევ მეტი, არა მარტო თბილისის რუსთაველის გამზირის, არამედ ქართველი ხალხის 'ნანგრევებშია' ჩაფლული და ერთმანეთის სისხლს ვღვრით, რის შედეგად ჩვენზე ბატონობას უადვილებთ ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტს.

როდის შევძლებთ ჩვენ ნ ა მ დ ვ ი ლ ი ეროვნული ერთობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განხორციელებას? — აი საკითხი, რომელიც დგას ჩვენს წინაშე დღეს.

კ.ი., პარიზი, 1992 წლის 26 მაისი

ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს


**Conseil National Géorgien**

ქართული ეროვნული საბჭო

CHATEAU DE LEUVILLE
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

Tél:(331)-6084-6131


## მ ი მ ა რ თ ვ ა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას!
საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს!

ბატონო ზვიად,
ბატონო ედუარდ,

ეს მიმართვა უკვე ნათელჰყოფს თუ როგორ რთულ მდგომარეობაში იმყოფება დღეს საქართველო, ქართველი ხალხი: თქვენ, ბატონო ზვიად, ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი, უკვე ფაქტიურად გადაყენებული ხართ და უცხოეთში იმყოფებით, თუმცა იურიდიულად საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი რჩებით, სანამ ქართველი ხალხი, ისევ არჩევნების გზით, არ შეცვლის მის 1991 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებას, ან თვითონ თქვენ არ გადადგებით.

თქვენ კი, ბატონო ედუარდ, სათავეში ჩაუდექით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც მემკვიდრეა საქართველოს ე.წ-ლი "სამხედრო საბჭოსა", რომელიც არაკანონიერად, ე.ი. კანონის უზენაესობის დარღვევით გახდა საქართველოს სახელმწიფოს ძალაუფლების ბატონ-პატრონი ე.წ-ლი "შეიარაღებული ოპოზიციის" მეშვეობით, და ამ უკანონობის ლეგიტიმაცია გსურთ მოხდეს 1992 წლის ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების გზით.

ამგვარ რთულ მდგომარეობას კიდევ უფრო ძაბავს ის ფაქტი, რომ თქვენ გახდით ქართველი ხალხის ორ-ბანაკად გაყოფის სიმბოლო არაიმდენად თქვენი პოლიტიკური პროგრამების, რამდენადაც თქვენი პიროვნული განსაკუთრებულობით, რომელშიც დიდი როლი ითამაშა, საერთაშორისო ასპარეზზე, დაინტერესებულმა წრეებმა თუ პირებმა, რომლებსაც თქვენ, ბატონო ზვიად, "ნაციონალისტად" მოგნათლეს, ხოლო თქვენ, ბატონო ედუარდ, "ცივი ომის" დამთავრების თანა-ავტორს და დემოკრატს გიწოდებენ, უთუოთ, სამართლიანად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ე.წ-ლი "გარდაქმნის" წინაპერიოდს. ამდენად, საქართველოს დღევანდელი მეტად რთული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური მდგომარეობის მთავარი მიზეზია ქართველი ხალხის ორ-ბანაკად გაყოფა, რომლებმაც ერთმანეთის სისხლი დაღვარეს განსაკუთრებით გასული დეკემბერ-იანვრის მიჯნაზე, როცა ნანგრევებად იქცა არა მარტო თბილისის გული - რუსთაველის გამზირი -, არამედ საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა სამარცხვინო ფურცელიც: ქართველები, არა მარტო კალაშნიკოვებით, არამედ რაკეტებითაც კი ნადირობდნენ ერთმანეთზე თბილისის ქუჩებში, როგორც ამას განსაზღვრული ირონიით წერდა ერთი დასავლეთ-ევროპელი რეპორტიორი.

ვაყენებთ კითხვას: რა გამოსავალია ამ, ერთი შეხედვით, გამოუვალ მდგომარეობიდან? - "ეროვნული მორიგება, რაც არ უნდა დაჯდეს". ეს უნდა მოხდეს ახალი მრავალპარტიული საყოველთაო არჩევნების ბაზაზე, რომ შესაძლებელი გახდეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის - ისევ-არჩევა. ამისათვის კი საჭიროა, რომ ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები, რომლებიც ახლა სა-

ქართველოს საზღვრებს გარეთ იმყოფებიან, დაბრუნდნენ საქართველოში და მონაწილეობა მიიღონ საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის არჩევნების მოსამზადებელ კამპანიაში და თვით არჩევნებში, რაც,- თავის მხრივ, - მოითხოვს საკითხის გარკვევას თუ როგორ უნდა მოხდეს ამგვარი შეთანხმება. ამგვარი შეთანხმების მიღწევისათვის კი, ჩვენის აზრით, საჭიროა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეობის ქვეშ.

უდავოა, ამგვარი შეთანხმების მიღწევა ადვილი საქმე არ არის, როცა უკვე ქართველებმა ქართველების სისხლი დაღვარეს. მაგრამ ამგვარი მორიგებით - როგორი დიდი არ უნდა იყოს ცალკეულთა ტრავმა.- ჩვენ შევქმნიდით შეთანხმების დიდ ისტორიულ ფაქტს, რომელიც, მიუხედავად აქამდელი უთანხმოება-სისხლის ღვრისა, - ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს, ქართველი ერის ისტორიაში, და, ამასთანავე, საქართველოს, ქართველი ხალხის პრესტიჟს აწევდა საერთაშორისო მასშტაბითაც, განსაკუთრებით ახლა, როცა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რომლის განხორციელებას თავი შესწირეს ჩვენი ერის თაობებმა, - უკვე განხორციელებულია, თუმცა საქართველოში მაინც დგას სამასი-ათასიანი უცხო ჯარი.

მაშ, შევიგნოთ არსებული ისტორიული რთული მდგომარეობა საქართველოში და, ეროვნული მორიგების გზით, თავი ავარიდოთ ქართველთა დაყოფას "მტრებად" და "მოყვრებად", როგორც ეს იყო საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის დროს. არავინ არ უნდა იყოს იძულებული დატოვოს სამშობლო პოლიტიკური მრწამსისა და მოქმედების გამო, და უცხოეთში დაიტანჯოს როგორც პოლიტიკური ემიგრანტი. მართალია, "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" ჩამოაგდო და განდევნა საქართველოდან ზვიად გამსახურდია, მაგრამ ხალხის "ჩამოგდება" და განდევნა საქართველოდან რომ შეუძლებელია, ხალხისა, რომლის 87 პროცენტმა ხმა მისცა სწორედ გამსახურდიას?.. ჩვენი მორიგების, ჩვენი ერთობის ჩირაღდანი კი არის 1918 წლის 26 მაისის დიადი იდეები, ე.ი. "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი" და საქართველოს კონსტიტუცია=ძირითადი კანონი, რომელიც საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო და დაამტკიცა 1921 წლის 21 მარტს.

გავიხსენოთ: ძალა ერთობაშია, და ამის მიღწევა შესაძლებელი უნდა გახდეს ეროვნული მორიგების გზით.

---

პატივისცემით,

ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში
თავმჯდომარე: [signature]
პარიზი-ლევილი, 1992 წლის 26 მაისი

---

დამატება: ეს 'მიმართვა' ბატონ ზვიად გამსახურდიას გაეგზავნა ერთი მისი თანამგრძნობის ხელით; ბატონ ედუარდ შევარდნაძეს კი გაეგზავნა ფოსტით.

- . - . - . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს

## 1.

ეროვნული მორიგება - რაც არ უნდა დაჯდეს, - და აქვე 'ხაფანური კითხვა': "შევარდნაძე ორჯონიკიძე ხომ არ არის?" - კითომ შეესაბამება ამგვარი "ხაფანური" კითხვის დაყენება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას?.. ვამბობ "ხაფანურს" იმიტომ, რომ ამგვარი კითხვის დაყენებით "მჭე ფერებში" ხომ არ ვუხატავთ საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას? თუ მდგომარეობა მართლაც ახე "შავად" გამოიყურება?..

## II.

სერგო ორჯონიკიძე, როგორც ცნობილია, ცეცხლითა და მახვილით მოევლინა დამოუკიდებელ საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტში, როცა,ქართველ ბოლშევიკებთან ერთად,საბჭოთა რუსეთის წითელ არმიას შემოუძღვა საქართველოში და სასტიკი ბრძოლების შემდეგ, განსაკუთრებით თბილისის მისადგომებთან, 1921 წლის 25 თებერვალს შემოვიდა თბილისში, აღმართა წითელი დროშა - ქართული ეროვნული დროშის სამაგიეროდ - საქართველოს მთავრობის სასახლეზე და დეპეშით მოახსენა ლენინ-სტალინს, რომ საქართველოში აფრიალდა წითელი დროშა.

საქართველოს ხალხისაგან 1919 წლის თებერვალში დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა - ნოე ჟორდანიას მეთაურობით კი, იძულებული გახდა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილების თანახმად, 1921 წლის 17 მარტს, საქართველო დაეტოვებია, თავი შეაფარა საფრანგეთს და იქიდან განაგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენისათვის. ამ დროს, ხელოვნურად, კრემლის მთავრობებით, მოხდა ქართველი ხალხის ერთობის გაპოტა ორ ნაწილად, რომლის დროს საქართველოს თითქმის მთელ ხალხს დაუპირისპირდა თითო-ოროლა ბოლშევიკები, რომლებმაც - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ჩადგნენ რუსული იმპერიალიზმის სამსახურში და,რუსი ჯარის შემწეობით, საქართველოში შენუყვიტეს "პაწაწა ოქროს ხანის" გაუერჩქვნა, რასაც მოყვა არა მარტო 70-წლიანი ბოლშევიკური დიქტატურა, ტერორი, ჩვენი ეროვნული მეობის ფეხით გათელვა, არამედ, რაც არანაკლებ შემზარავია, საქართველოს ტერიტორიების დარიგება მეზობელ ქვეყნებზე, რომლის დროს საქართველოს დაკარგა მისი ტერიტორიის თითქმის ერთი-მეოთხედი და ერთი მომრდილი ნაწილი - სოჭი და მისი რაიონი - თვით საბჭოთა რუსეთმაც მიითვისა, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

## III.

და ბოლშევიკების ამ განუკითხავ ბატონობას საქართველოში თითქოს მშვიდობიანად ბოლო მოეღო, როცა საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო". შემდეგ: 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროს საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რაც საქართველოს პარლამენტმა,ე.ი.უზენაესმა საბჭომ გაანხორციელა 1991 წლის 9 აპრილს; ხოლო 1991 წლის 26 მაისს-საქართველოს ეროვნული დღესასწაულის დიად თარიღს,საქართველოს ხალხმა, ხმების 87 პროცენტით, საქართველოს პრეზიდენტად აირჩია "მრგვალი მაგიდის" ხპიკერი და საქართველოს უზენაესი საბჭოს თავჯდომარე - ზვიად გამსახურდია. მაგრამ შეუძლებელი გახდა პოზიცია-ოპოზიციის დემოკრატიული მექანიზმის კანონიერი მოქმედება, რომლის დროს ვერც ზვიად გამსახურდია და ვერც ოპოზიცია ვერ ამაღლდა ეროვნული ერთობის დონემდე. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მარტო საქართველოს მინაგან მდგომარეობაში, არამედ, პირველ ყოვლისა, კრემლში, სადაც მიხეილ გორბაჩოვი პირდაპირ დაემუქრა ზვიად გამსახურდიას აფხაზების თუ ოსი ექსტრემისტების ტერორით, თუ იგი ხელს არ მოაწერდა გორბაჩოვისეულ ე.წ-დ "სამოკავშირეო ხელშეკრულებას", ე.ი. საბჭოთა კავშირის ისევ შექმნას, ოღნავ "ტერისცვალებით". და ქართველმა ოპოზიციონერებმა, როგორც გამოირკვა, "შეიარაღებული ოპოზიციის" როლი გადაიბარა განსაკუთრებით 1991 წლის 19-22 აგვისტოს მოსკოვში მომხდარი პუტჩის შემდეგ, რაც 1991 წლის 21 დეკემბრიდან, როცა ალმა-ატაში შეიქმნა ე.წ-ლი"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რომელშიც საქართველო არ შესულა, - სამოქალაქო ომის ხასიათი მიიღო, რის შედეგად საქართველოს პრეზიდენტმა - ზვიად გამსახურდიამ - დატოვა საქართველო და თავი შეაფარა ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩენო-ინგუშეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

სიგუა-კიტოვან-იოსელიანი და მისი მომხრეები ჩვენს დედაქალაქში - თბილისში - ისე ზეიმობდნენ "გამარჯვებას", თბილისის შესანიშნავი რუსთაველის გამზირის ნანგრევებზე, რომ თითქოს თბილისიდან აღა-მაჰმად-ხანის ჯარები გაერეკონ, რაც - თავის მხრივ - თავზარდამცემია, რომ საქართველოს ეს "შაჰხანის ლეკის" მეშვეობით "გამარჯვებულები", როგორც ჩანს, ვერ ხედავენ, რომ მათ, ხომ ცოტა, ნაწილობრივ მაინც თითო-ოროლა ქართველი ბოლშევიკების ფუნქცია გადაიბარეს, როცა იარაღით ხელში აღდგნენ ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წინააღმდეგ, რომლის ერის რაკეტების დაშენისაგანაც კი არ დაიხიეს უკან, და ნანგრევებად აქციეს ჩვენი დედაქალაქის შესანიშნავი ცენტრი.

V.

ამგვარად, 1992 წლის 6 იანვარს, როცა "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" გადაიბარა საქართველოს ხელისუფლება "სამხედრო საბჭოსა" და დროებითი მთავრობის" მეშვეობით, თითქმის განმეორდა 1921 წლის თებერვალ-მარტის მოვლენები, როცა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ხელისუფლება, თბილისში, გადაიბარა ეგრეთ-წოდებულმა "რევკომმა": პირველსა და მეორე შემთხვევაში ქართველთა მცირე ჯგუფმა, უცხოეთის, უფრო ზუსტად, კრემლის დახმარებით, უგულებელჰყო საქართველოს ხალხის დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლება, ჩამოაგდეს კანონიერი მთავრობები და თვითონ ჩაუდგნენ სათავეში საქართველოს სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, უსამართლო იქნებოდა ქართველ ბოლშევიკებს ოციან-წლებში, შევადაროთ "შეიარაღებული ოპოზიციის" ლიდერები - სიგუა, კიტოვანი თუ იოსელიანი, რადგან ესენი, მეტ-ნაკლებად, ზვიად გამსახურდიას მომხრეები იყვნენ, მაგრამ - შეგნებულად თუ შეუგნებლად- ესენიც კრემლის იმპერიულ პოლიტიკაზე ასხამენ წყალს, როცა ქართველი ხალხი უკვე გაყოფილია ორ ბანაკად: გამსახურდიას მომხრეებად თუ მოწინააღმდეგეებად. და, აჰა, ამანაც გამოიწვია ის, რომ გამონახეს - თუ უკვე გამონახული იყო?- გამსახურდიას ღირსეული მოწინააღმდეგე - ედუარდ შევარდნაძე.

VI.

ედუარდ შევარდნაძე მსოფლიოში ცნობილი პიროვნებაა, მაგრამ არა როგორც ქართველი, საქართველოს მოქალაქე, არამედ როგორც ყოფილი სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი და ითვლება მიხეილ გორბაჩოვის "თანა-არქიტექტორად" ცივი ომის დამთავრების პროცესში, რის შედეგად აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიმს ბეიკერი თუ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰანს-დიტრიხ გენშერი მას მის მეგობრებად თვლიან. აი, ამ "კაპიტალით" ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე საქართველოში 1992 წლის 7 მარტს და უკვე 10 მარტს არჩეულ იქნა "საქართველოს სახელმწიფო საბჭოს" თავჯდომარედ, რომელმაც შეცვალა ე.წ.-ი "სამხედრო საბჭო". 1992 წლის 13 მარტს კი, საქართველოს აწ ჩამოგდებულმა პრეზიდენტმა - ზვიად გამსახურდიამ - ჩეჩენო-ინგუშეთის დედაქალაქ -გროზნოში, პრესკონფერენციაზე, განაცხადა, რომ ის თავისთავს თვლის საქართველოს არჩეულ პრეზიდენტად, და რომ შევარდნაძე იყო პუტჩის ხელმძღვანელი საქართველოში, და დასძინა, რომ ამ უზურპატორებს წალეკავს ხალხი.

VII.

თვით ედუარდ შევარდნაძე, თავის მხრივ, ზვიად გამსახურდიასა და, საერთოდ, საქართველოში მომხდარ ამბებზე - დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები - 1992 წლის 6 იანვრამდე, როცა გამსახურდიამ დატოვა საქართველო და საქართველოს ხელისუფლებაში მივიდნენ - სიგუა, კიტოვანი თუ იოსელიანი, - არ ლაპარაკობს, თუმცა თენგიზ სიგუას უწოდა "დიდი სახელმწიფო მოღვაწე". მაგრამ ფაქტი რჩება-ფაქტად: მართალია, ზვიად გამსახურდია საქართველოში არ არის, მაგრამ საქართველოს ამომრჩევლების ის 87-ი პროცენტი, რომლებმაც ხმა მისცეს მას 1991 წლის 25 მაისის არჩევნებში, - ხომ საქართველოში არიან?!! როგორ უნდა მოინახოს ამ ორი ბანაკის მორიგების ფორმულა?.. თუ შევარდნაძე უნდა დაადგეს ორჯონიკიძის გზას და ყველაფერი უარყოს, რაც 1990 წლის 28 ოქტომბრიდან - 1992 წლის 6 იანვრამდე მოხდა საქართველოში?..

VIII.

მორიგება შევარდნაძისა და გამსახურდიას მომხრეებს შორის რომ აუცილებელია, ამას ადასტურებს თვით ედუარდ შევარდნაძის 1992 წლის 25 მარტის ინტერვიუ, რომელშიც მან, სხვათა შორის, განაცხადა, რომ "საქართველოშია ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხი და ანარქიით". "სახელმწიფოს არ აქვს ბიუჯეტი. ყოველდღიურად უარესდება ცხოვრების პირობები. მატარებლები არ მოძრაობენ. ხიდებს აფეთქებენ ჰაერში. ეს ქმნის შიშს." წესრიგის დამყარების ორგანოები სრულიად დეზორგანიზებული და დემორალიზებულია. "მილიციამ და პროკურატურამ უნდა მიიღონ მათი ნორმალური უფლებამოსილებანი. ეროვნული გვარდია და სხვა შეიარაღებული ნაწილები უნდა დაბრუნდნენ ყაზარმებში". უნდა იქნას დადგენილი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" ჯარების გაყვანის თარიღი საქართველოდან, რაც უნდა ჩატარდეს ისე, რომ ათიათასობით ჯარისკაცები, რომლებიც კავკასიაში ცხოვრობენ, არ უნდა დაზარალდნენ. საქართველოში მის დაბრუნებას შევარდნაძემ უწოდა "რისკი, შეიძლება შეცდომაც როგორც პოლიტიკოსისა". მაგრამ საქართველოში არსებული საშინელი მდგომარეობის პირობებში, პიროვნული ბედი უკანა პლანზე უნდა იქნას დაყენებული. შევარდნაძემ თქვა აგრეთვე, რომ ის ცხოვრობს მთავრობის სასახლეში, რომ თავი აარიდოს ტერორისტულ თავდასხმებს. ამასობაში, ევროპის გაერთიანების თორმეტმა წევრ-სახელმწიფომ და აშშ გადაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება საქართველოსთან. აშშ-ს მთავრობას სურს აგრეთვე მხარი დაუჭიროს საქართველოს მიღებას საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც, მაგალითად, მსოფლიო ბანკში და "საერთაშორისო ვალუტის ფონდში". მაგრამ, როგორც ჩანს, მდგომარეობის სტაბილიზაციას მაინც არ აქვს ადგილი საქართველოში. შიდა ქართლში, მაგალითად, ოსი ექსტრემისტები ისევ მოითხოვენ შიდა ქართლის ოსეთთან შეერთებას და რუსეთის ფედერაციის პასპორტების მიღებას რუსეთის მთავრობისაგან. შევარდნაძის "სახელმწიფო საბჭო" კი დუმს. აქ კი შევარდნაძე ორჯონიკიძის "მსხვერპლის როლშია" ჩაყენებული, რადგან სწორედ ორჯონიკიძე-მახარაძემ შექმნეს, რა თქმა უნდა, კრემლის ბრძანებით, შიდა ქართლში ე.წ-ლი "სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი", რითაც კრემლმა და ქართველმა ბოლშევიკებმა დაასაჩუქრეს შიდა ქართლში მცხოვრები ოსი ექსტრემისტები, რომლებიც, მახარაძე-კიროვის დახმარებით, ებრძოდნენ დამოუკიდებელ საქართველოს 1918-21 წლებში. რა თქმა უნდა, შევარდნაძე ორჯონიკიძე-კიროვ-მახარაძის გზას არ დაადგება, ვერ დაადგება. მაგრამ რა გამოსავალია ამ და ყველა აღნიშნულ თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან?..

X.

ყველაზე მიზანშეწონილი და ეფექტური გამოსავალი აღნიშნულ რთულ მდგომარეობიდან არის პოზიცია-ოპოზიციის შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა, ე.ი. მორიგება გამსახურდიასა და შევარდნაძის მომხრეებს შორის. ამისათვის კი ჩვენ, ამჯერად, უნდა მივივიწყოთ ყველაფერი, რაც ერთმა თუ მეორემ დააშავა საქართველოს, ქართველი ხალხის წინაშე. "ანგარიშის გასწორების" დრო ახლა არ არის, როცა საქართველო განსაცდელშია. სწორედ ამგვარი მორიგების შემდეგ ჩატარებული საყოველთაო არჩევნები მოგვცემს ნამდვილ სურათს თუ როგორი გზით უნდა წარიმართოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება. რა თქმა უნდა, გამსახურდია-შევარდნაძისა და მათი მომხრეების მორიგება, ერთი შეხედვით, შეუძლებელი მოჩანს, მაგრამ სწორედ ამგვარი მორიგება ნათელს გახდის, რომ საქართველოში ისევ ცოცხლობს ეროვნული შეგნება, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე პარტიული თუ ცალკეულ პიროვნებათა ამბიციები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები გამოთიშული იქნებიან არჩევნებიდან, რომლის ჩატარება საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მომავალ შემოდგომაზე სურს, - ეს მაინც ვერ იქნება ეროვნული მორიგების აქტი, რადგან საქართველოს მოსახლეობის განსაზღვრული ნაწილი გამოეთიშება ჩვენს დემოკრატიულ წესყობილებას.

მორიგება, მორიგება და კიდევ მორიგება უნდა იყოს ჩვენი მრწამსი, რომ შევძლოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიული გზით წარმართვა. ამიტომ ჩვენი მოწოდება: "ეროვნული-მორიგება, რაც არ უნდა დაჯდეს".

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1992 წლის აპრილი

# თავი მესამე: ეროვნული ტრაგედია

## ე რ ო ვ ნ უ ლ ი   ტ რ ა გ ე დ ი ა

"9 აპრილის ტრაგედიისაგან" განსხვავებით, როცა უცხო სამხედრო ძალამ, 1989 წლის 9 აპრილს საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენა მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ, - "ეროვნულ ტრაგედიას" ვუწოდებთ 1991-1992 წლების მიჯნაზე მომხდარ შეტაკებებს ხალხისაგან არჩეულ მთავრობის მომხრეებსა და ე.წ-ლი"შეიარაღებული ოპოზიციის" მომხრეებს შორის. წარმოიდგინეთ, თბილისში "ქართველები ქართველებზე კალაშნიკოვებით ნადირობდნენ", რასაც მოჰყვა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის გაქცევა საქართველოდან და "შეიარაღებული ოპოზიციის" უკანონო გაბატონება, ახლა, "საქართველოს სახელმწიფო საბჭოს" სახელწოდებით. გთავაზობთ ამ ეროვნული ტრაგედიის ზოგიერთ ასპექტთა ანალიზს.

---

### საქართველო - "ბანანების რესპუბლიკაა?.."

> ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტ-მთავრობის გადაყენების უფლება აქვს მხოლოდ ხალხს, მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით. ხალხის ამგვარი სუვერენობის უგულებელყოფა იწვევს კანონის უზენაესობის გაქარწყლებას, რის შედეგად სახელმწიფო ხდება "ბანანების რესპუბლიკა", ესე-იგი, ყოველი ჯურის"შეიარაღებული ოპოზიციის" საჯიჯგნი არენა.

I.

"ბანანების რესპუბლიკებად" მონათლეს გამჭრიახმა ჟურნალისტებმა შუა-ამერიკის პატარა სახელმწიფოები, რომელთა მთავარი საექსპორტო საქონელი ბანანებია; ბანანების პლანტაციები კი საერთაშორისო კაპიტალის ხელშია; და თუ რომელიმე ამ სახელმწიფოს მოსახლეობა ხელს შეუშლის "კაპიტალის დინებას", მაშინ ყოველი ჯურის გენერლები მზად არიან ახალ-ახალი პუტჩით ჩამოაგდონ არჩეული თუ თვით პუტჩით ხელისუფლებაში მოსული მთავრობა, რომ ისევ დამყარდეს "ბანანების ექსპორტის წონასწორობა!"

II.

საქართველო, როგორც ვიცით, შეიძლება იწოდოს, ვთქვათ, "ჩაის რესპუბლიკად", ვინაიდან ბოლშევიკებმა ჩაი თითქმის მონოკულტურად აქციეს საქართველოში, შეიძლება იწოდოს "სიმინდის რესპუბლიკად", როგორც ამას არა ერთი დიდმპყრობელი-შოვინისტი ჩვენი ქვეყნის დაცინვის მიზნით ხმარობდა, თუმცა სიმინდი სიმდიდრის და არა სიღარიბის ნიშნად უნდა იქნას მიჩნეული; მაგრამ აგრარული ქვეყანა საერთაშორისო ბაზარზე - ინდუსტრიული ქვეყნების პირისპირ - რომ "ღარიბია", ამას, ვფიქრობ, მტკიცება არ ესაჭიროება.

მაგრამ საქართველო ვითომ შეიძლება იწოდოს "ბანანების რესპუბლიკად" თუ საქართველოში მომხდარ უახლეს მოვლენებს გავაანალიზებთ?..

III.

ჯერ ფაქტები: 1990 წლის 28 ოქტომბერს, 1919 წლის თებერვლის დემოკრატიული არჩევნების შემდეგ,-მეორეჯერ ჩატარდა მ რ ა ვ ა ლ პ ა რ ტ ი უ ლ ი დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გამარჯვებული გამოვიდა პარტია-ორგანიზაციათა ბლოკი -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო", რომლის სპიკერი ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ. - ამგზით 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში ბოლშევიკური ხიშტებით დამყარებული დიქტატურის შემდეგ განხორციელდა არჩევნების გზით. ამას მოჰყვა 1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, რომლის დროს საქართველოს მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ხმა მისცა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის აღდგენას. ამის საფუძველზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 9 აპრილს, ერთხმად მიიღო და დაამტკიცა "საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი". 1991 წლის 26 მაისს კი ჩატარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც - ექვსი საპრეზიდენტო კანდიდატიდან - გამარჯვება მოიპოვა ზვიად გამსახურდიამ, და ამით გახდა ხალხის მიერ უშუალოდ არჩეული საქართველოს პრეზიდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

მაგრამ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში შეუძლებელი გახდა პოზიცია-ოპოზიციის, დემოკრატიის ამ მთავრის, ნორმალური მოქმედება, თუმცა 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების შედეგები ნათელი იყო: "მრგვალ მაგიდაში" გაერთიანებულმა პარტია-ორგანიზაციებმა, საქართველოს უზენაესი საბჭოს სულ 250 დეპუტატიდან - 155 დეპუტატი გაიყვანეს, ხოლო ოპოზიციის როლი ამომრჩევლებმა საქართველოს კომპარტიას დააკისრა, რომელმაც ხმების 29 პროცენტი მიიღო. პოზიცია-ოპოზიციის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა, როცა მოსკოვში, 19-21 აგვისტოს, 1991 წელს, პუტჩი მოხდა, რის დამარცხების შემდეგ საქართველოშიც კომპარტია გაუქმდა და კომპარტიის დეპუტატთა უფლებამოსილება საქართველოს უზენაეს საბჭოში შეჩერებულ იქნა.

V.

1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩიდან დაწყებული, - დასაბამი მიეცა შეიარაღებულ შეტაკებებს პოზიციასა და ოპოზიციას შორის, რაც გამოიწვია განხეთქილებამ თვით "მრგვალ მაგიდაში" გაერთიანებულ პარტია-ორგანიზაციებს თუ ცალკეულ პიროვნებებს შორის: საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა გადადგა; საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - გიორგი ხოშტარია - გადააყენეს; ეროვნული გვარდიის მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა "გადაუდგა" საქართველოს პრეზიდენტს და ამით ეროვნული გვარდია გაიყო "პრეზიდენტის მომხრეებად" და "პრეზიდენტის მოწინააღმდეგეებად".

VI.

როცა 1991 წლის 21 დეკემბერს, სხვათა შორის სტალინის დაბადების დღეს, ალმა-ატაში შექმნილ იქნა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა"="სოდრუჟესტვო ნეზავისიმიხ გოსუდარსტვ", რომელშიც გაერთიანდა ყოფილი საბჭოთა კავშირის 11-ი რესპუბლიკა, საქართველოს მასში მონაწილეობა არ მიუღია, რამაც, როგორც ჩანს, მისცა საბაბი საქართველოს "ოპოზიციურ-ძალებს", შეიარაღებულ ძალებს გაეხსნათ ცეცხლი საქართველოს მთავრობის სასახლეზე, რუსთაველის გამზირზე. ორკვირიანი ბრძოლების შემდეგ არჩეული მთავრობის ძალებსა და ოპოზიციურ შეიარაღებულ ძალებს შორის, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, 6 იანვარს, დატოვა საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარა სომხეთს. ეს მოწმობს იმას, რომ ვერც პოზიციამ, ვერც "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" იმდენი "ჯანსაღი აზროვნება" ვერ გამოამჟღავნეს, რომ საქმე არ მისულიყო იარაღის ხმარებამდე. ამაში დანაშაული მიუძღვის სხვა ოპოზიციურ დაჯგუფება-პარტიებსაც თვით საქართველოს საპატრიარქოს ჩათვლით, რომლებმაც "ძმათა სისხლის ღვრაში" უმოქმედობით(უმოქმედობაც შეიძლება დანაშაული იყოს), "ნეიტრალური პოზიციით"(თუ უპოზიციობით) გამოიჩინეს თავი. ასე შევქმენით საბედისწერო "პრეცედენტი": პრეზიდენტის უკანონო ჩამოგდების ფაქტი.

VII.

"შეიარაღებული ოპოზიცია", რომ არ ვთქვათ, "პუტჩისტები" უკვე დაეპატრონა საქართველოს ხელისუფლებას. უკვე შექმნილია ე.წ.-ლი""სამხედრო საბჭო", რომელშიც, იმყოფებიან, შედის ჯაბა იოსელიანი, რომელიც, სხვებთან ერთად, "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" გაათავისუფლა პატიმრობიდან ამ ორ-კვირიანი ბრძოლების დროს, და რომელმაც -"ასოშიეიტედ პრესის ცნობით" - განაცხადა, რომ შესაძლებელია საქართველოში კონსტიტუციური მონარქიის შექმნა. ჯაბა იოსელიანმა მიმართა აგრეთვე ედუარდ შევარდნაძეს მონაწილეობა მიეღო საქართველოს ახალ ხელმძღვანელობაში, რასაც მოყვა თვით ედუარდ შევარდნაძის განცხადება ინტერვიუში, რომ ის მზად არის მონაწილეობა მიიღოს "დემოკრატიულ მოძრაობაში" საქართველოში. მთავრობის სასახლესთან ბრძოლებში, -"აჟანს ფრანს პრესის" ცნობით -, მოკლულ იქნა, სულ ცოტა, 75-ი და დაჭრილ იქნა ოთხასი კაცი.

VIII.

"საქართველოს სამხედრო საბჭოს" წევრები არიან, ბატონები თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი - ზვიად გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლები, გიორგი ჭანტურია - ეროვნულ დამოუკიდებელი პარტიის ლიდერი, და სხვები, რომლებიც - განსხვავებით ზვიად გამსახურდიასა, რომელიც საქართველოს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტია - არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნიათ, და, როგორც ჩანს, "შაშხანის ლულის ძალას" ეყრდნობიან, რის შედეგების გათვალისწინება შეუძლებელია. ჯერჯერობით, ესაა ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები.

IX.

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ ფაქტებიდან, თუ, საერთოდ, ნაჩქარევი არ არის დასკვნის გამოტანა? - საქართველოს ხალხის დიდი უმრავლესობისაგან არჩეული პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის ჩამოგდება "ოპოზიციური შეიარაღებული ძალების" მიერ, ახლა, 1991-92 წლების მიჯნაზე, მაგონებს დამოუკიდებელი საქართველოს ხალხისაგან არჩეული მთავრობის, დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის თავჯდომარის მდგომარეობას 1921 წლის თებერვალ-მარტში. მაშინ, 1921 წლის თებერვლის 11-ში, საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება და, ამის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საქართველოს და დაიპყრო იგი. მაშინ საქართველოს სათავეში ჩაუდგა ქართული ბოლშევიკები "საქართველოს რევოლუციური კომიტეტის" სახელწოდებით და სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძის, სერგეი კიროვის და ბუდუ მდივანის ხელმძღვანელობით. საქართველოს კანონიერი მთავრობა, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია, თავი შეეფარა საფრანგეთს და განაგრძო ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ვითომ ანალოგიური მდგომარეობაა ახლაც 1991-1992 წლის მიჯნაზეც? - ცხადია, რუსეთს საქართველოს დაპყრობა დღეს აღარ ესაჭიროება, რადგან საქართველოში უკვე დგას რუსეთის სამასი-ათასიანი არმია. მაგრამ ვინ ამარაგებდა და ხელს უწყობდა საქართველოს "ოპოზიციურ ძალებს", წარმოიდგინეთ, რაკეტებითაც კი?..

ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, გიორგი ჭანტურია და სხვა "პატარა გამსახურდიები", როგორც მათ უწოდა საფრანგეთის დიდმა გაზეთმა "მონდმა", - ვისი სახელით ებრძვიან საქართველოს ხალხისაგან არჩეულ პარლამენტს, მთავრობასა და პრეზიდენტს?.. მათ ხომ ხალხის არავითარი ლეგიტიმაცია არ გააჩნიათ?.. ვინ დგას, საერთოდ, მათ უკან?.. ვითომ ესენიც ისევე მარიონეტებია, როგორც იყვნენ 1921 წლის თებერვალში ლენინის მიერ სახელდახელოდ შექმნილი ე.წ.-ლი "საქართველოს რევკომი"?..

X.

კითხვები, კითხვები და კიდევ კითხვები, რომლებზედაც პასუხი, სულ ცოტა, ჯერჯერობით, არსაიდან არ ჩანს. მაგრამ ნათელია შემდეგი: საქართველო უკვე "ბანანების რესპუბლიკაა"; ამის "პრეცედენტი", ფაქტი - უკვე გააჩნია: ხალხისაგან, ხალხის უმრავლესობისაგან არჩეული მთავრობა, კანონმდებლობა, პრეზიდენტი შეიძლება შეცვლილ იქნეს არა ისევ არჩევნების გზით, ხალხის უმრავლესობისაგან, არამედ შეიძლება ჩამოგდებულ იქნას ერთი ჯგუფი "შეიარაღებული ოპოზიციის" მიერ, რაც, გასაგებია, დემოკრატიის ჩაქრობას უდრის. განა "შეიარაღებულ ოპოზიციას" არჩეული პრეზიდენტის უკანონო ჩამოგდების გამართლება იმით შეუძლია, რომ პრეზიდენტი დიქტატურისაკენ მიისწრაფოდა?.. და რადგან უკვე შევქმენით ამგვარი პრეცედენტი 1991-92 წლების მიჯნაზე, ეს უკვე სამაგალითო ფაქტია ყოველი ჯურის "შეიარაღებული-ოპოზიციისათვის": მას შეუძლია ხალხისაგან არჩეული ყოველი მთავრობა ჩამოაგდოს იარაღის ძალით, რომელიც მას, ან, მის უკან მდგომ საშინაო თუ საგარეო ძალებს, არ მოეწონება.

XI.

აქამდე დაქვეითდა, ასე დაჩაჩანავდა ქართული დემოკრატია, რომელიც საერთაშორისო სანიმუშო დემოკრატია გახდა "პატარა ოქროს ხანის", საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წლებში?..

XII.

და ყველაფერი ეს მოხდა დიდი ისტორიული მოვლენის ფონზე, როცა 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ გაუქმდა და საქართველოს გზა გაეხსნა რეალური დამოუკიდებლობისა და სუვერენობისაკენ. და ვერაგ-მოღალატემ "სამხედრო საბჭომ", - ჩამოაგდო რა საქართველოს ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი და ჩაიგდო რა ხელში სახელმწიფო ძალაუფლება, - ამით ვითომ უკვე დაადგა "ბანანების რესპუბლიკების" და ამით "პოლიტიკური ანტი-კულტურის" გზას?..

XIII.

როგორც ვიცით დასავლეთში? - ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტ-მთავრობის გადაყენების უფლება აქვს მხოლოდ ხალხს, მხოლოდ დემოკრატიული არჩევნების გზით. ხალხის ამგვარი სუვერენობის უგულებელყოფა იწვევს კანონის უზენაესობის გაქარწყლებას, რის შედეგად სახელმწიფო ხდება "ბანანების რესპუბლიკა", ესე იგი, ყოველი ჯურის "შეიარაღებული ოპოზიციის" საჯიჯგნი არსება.

XIV.

რა თქმა უნდა, ყველაფერ ამაში დამნაშავე მიუძღვის პოზიციასაც თვით ზვიად გამსახურდიას ჩათვლით, რადგან მან ვერ შეძლო ოპოზიციასთან, "შეიარაღებულ ოპოზიციასთან" საერთო ენის გამონახვა. მაგრამ ორივემ - პოზიციამ და ოპოზიციამ - ამით უკვე საქართველო მოაქციეს "ბანანების რესპუბლიკების" ჯადოსნურ წრეში?.."

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 21 მარტი

"საზიზღარი მანქანა"

I.

"საძაგელი მანქანა" - ასეთ სათაურს აძლევს მსოფლიოში მეტად გავრცელებული ცნობილი გერმანული ჟურნალი "შპიგელ-ი"(1992 წ., ნომერი 3, გვ.122-123) თავის ანალიზს პოზიცია-ოპოზიციის ბრძოლას საქართველოში, რომლის ქვესათაურია: "დემოკრატიულად არჩეულმა პრეზიდენტმა თავი დააღწია ძალადობას. ყოფილი საგარეო მინისტრს შევარდნაძეს სურს მხსნელის როლის გათამაშება".
აი, მთავარი ადგილები ამ ანალიზიდან:

II.

"გასულ ორშაბათ ღამეს(6.1.92), 24 საათით ადრე მართლმადიდებლური ქრისტეს შობის წინ, ზვიად გამსახურდიას დარჩა მხოლოდ ერთი გამოსავალი: გაქცევა მთავრობის ბუნკერიდან ბაქოსა და ერევნისაკენ, რაც საიდუმლოდ შეჰპირდა საქართველოს პრეზიდენტს "სამხედრო ოპოზიციის" ხუნტამ. ერთი მერსედესით მეუღლისათვის, ორი ლადას მანქანით ერთგულთათვის და ორი ავტობუსით დაცვისათვის საქართველოს რესპუბლიკის კანონიერმა ხელმძღვანელობამ დატოვა თბილისი.

სამი დღის შემდეგ, ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, რომ ოპოზიციურმა "ბანდიტებმა" მას დაემუქრეს, რომ მის სახლს დაბომბავდნენ და მისი ოჯახის წევრებს აწამებდნენ, და რომ მხოლოდ ამ "საზიზღარ მანქანას" აარიდა თავი" ორკვირიანი შეიარაღებული წინააღმდეგობის შემდეგ და თავი შეაფარა სომხეთს...

"ამ მეტად რთულ გასარკვევ ბრძოლაში ძალაუფლებისათვის საქართველოს პოლიტიკურ კლანებს შორის, ემსხვერპლა დაახლოებით 100 ადამიანი, რამაც დატოვა ნანგრევები ქალაქის ცენტრში. პარლამენტის შენობის ერთი ფრთა დამწვარია, რუსთაველის შესანიშნავი ბულვარის სახლები ნანგრევებშია, ქუჩები სისხლის ბზარებითა და ცარიელი ვაზნებითაა დაფარული - ასეთი საშინელი სურათი შექმნა პოსტ-საბჭოთა ქიშპობამ კავკასიის ამ რესპუბლიკაში."

III.

"მოსკოვის ტელეხედვამ გაქცეული პრეზიდენტი მხოლოდ ერთი წინადადებით აჩვენა მაყურებლებს: "მე ვარ საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი". მაგრამ, სამაგიეროდ, მოსკოვის ტელეხედვამ აჩვენა ბევრი პროპაგანდისტული სურათები თბილისიდან - შაქრით სავსე ტომრები, ფიგარქეების კარტონები, ყუთები კონიაკებითა და ღვინით, თავმოყრილი მთავრობის სასახლის სარდაფში: ამით მაყურებლებისათვის უნდოდათ თავში ჩაეჭედათ, რომ გამსახურდია კორუფციაშია ჩათრეული. ხელების ჩასაკეტი მოწყობილობანი ტყვისა და გამობის მილებზე, უცნაური ელექტრონული აპარატები: გამსახურდია სადისტური მწამებელი?.. ამის დამტკიცება თვით გამარჯვებულებმაც ვერ შესძლეს."

IV.

"აჯანყებულთა ჯარების", "სამხედრო საბჭოს" მიერ დროებითი მთავრობის თავმჯდომარედ არჩეული, გამსახურდიას ყოფილი თანამებრძოლი - ტენგიზ სიგუა - ამტკიცებს, რომ გამსახურდია "სულით ავადმყოფია": დოკუმენტები 1956, 1959 და 1978 წლებისა ადასტურებს ამას. მაგრამ ტენგიზ სიგუამ დუმილით აუარა გვერდი თუ საბჭოთა საქართველოს რომელი ორგანოები ამზადებდა ამგვარ ბრალდებებს აღნიშნულ წლებში. არც ცდები გამსახურდია გამოცხადებულ იქნას არანორმალურად, არც სომხეთისაგან მოთხოვნა გადასცეს საქართველოს "სახელმწიფო ბოროტმოქმედი", როგორც ეს განაცხადა აჯანყებულთა მეთაურმა ჯაბა იოსელიანმა, ვერ ესადაგება გამარჯვებულთა საიდუმლო გადაწყვეტილებას მიეცათ კან-

ვების საშუალება გამსახურდიასთვის. პრეზიდენტის გაქცევის სამი დღით ადრე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ გიორგი ჭანტურიამ განაცხადა, რომ პარლამენტისადმი მტრულად განწყობილია."

V.

"ჯერჯერობით გაურკვეველია თუ რამდენხანს გასძლებს ერთობა "ომის ლორდებისა", როგორც ამას ირონიულად წერს ჟურნალი "შპიგელი", - რომლებიც ამჟამად აბსოლუტური უფლებით ბატონობენ. დემონსტრაციების აკრძალვის კვალდაკვალ, გამარჯვებულებმა გამოაცხადეს აგრეთვე ღამით ქუჩებში გასვლის აკრძალვა და საგანგებო მდგომარეობა. ეს კი არავითარ კარგს არ მოასწავებს "ახალი დემოკრატიული საქართველოსათვის", რომლის დღესასწაულისათვის აჯანყებულთა მხარეზე გადასულმა, ეროვნული გვარდიის მეთაურმა თენგიზ კიტოვანმა მიუწოდა."

VI.

"ამასთანავე - წერს შემდეგ "შპიგელი" - კიდევ ერთი ახალი მხსნელი მოევლინა საქართველოს: გორბაჩოვის გარდაქმნის-თანამებრძოლი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თავის სამშობლო საქართველოში პოლიციის მინისტრი და კომპარტიის მეთაური იყო 1972-1985 წლებში. მას სურს, თქვა მან, "ყველა სიძნელეები მისი ხალხისა გაინაწილოს" და "ინტენსიურად მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესში" და მსახიობური თავდაჭერილობით მოსთავაზა სამსახური გამარჯვებულებს".

აჯანყებულების(რებელები) ხელმძღვანელმა - ჯაბა იოსელიანმა, რომელიც "მხედრიონის" 3.000-ს მებრძოლის მეთაურია, აფრთხილებს თავის ყურმოჭრილ მომხრეებს:"თქვენ კარგად იცით როგორ იქცეოდა შევარდნაძე, როცა ის საქართველოში იყო". შევარდნაძე ლაპარაკობს ახლა "სხვა ენით" და გვაჩვენებს"სხვა სახეს". მაგრამ მის დაბრუნებას საქართველოში "სამხედრო საბჭო" წინააღმდეგობას არ გაუწევს." საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უფროსი გიორგი ჭანტურიაც არ არის დარწმუნებული შევარდნაძის გულწრფელობაში:"ჩემთვის რჩება ის ადამიანად, რომელმაც საქართველოში მასობრივი რეპრესიები ჩაატარა". შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანას, - გიორგი ჭანტურიას აზრით, - ჯობია გიორგი ბაგრატიონის ჩამოყვანა ესპანეთიდან და საქართველოს ტახტზე აყვანა, რომელიც მემკვიდრეა საქართველოში ბაგრატიონთა დინასტიისა 1801 წლამდე; და ბაგრატიონი თანახმა ყოფილა გადაიბაროს კონსტიტუციური მონარქის როლი."

VII.

"მაგრამ, - წერს ჟურნალი "შპიგელი" -, ამომრჩეველთა 86,5 პროცენტით არჩეული პრეზიდენტი გამსახურდია მთლიანად გამოთიშული არ არის. ის არ გადადგება, განაცხადა ფაქსებით სომხეთიდან. მის სამშობლო - ზუგდიდში, და აგრეთვე სოხუმში და ინდუსტრიულ ქალაქ ქუთაისში ადგილი ჰქონდა მასობრივ დემონსტრაციებს გამსახურდიას დაბრუნების მოთხოვნით."

"ამჟამად, საქართველოს სახელმწიფოში ანარქიაა: შეიარაღებული ბანდიტები ძარცვავენ მაღაზიებს, სადგურებს, ბინებს. შავი ვაჭრობა ყვავის, განსაკუთრებით ბენზინისა, რომელიც ერთი ლიტრა ექვს მანეთზე ნაკლები არ ღირს, რუსეთში არსებული ფასის ხუთჯერ მეტი."

VIII.

"თვითკმაყოფილი და ეჭვიანი გამსახურდიას....დაცემა დაიწყო მისი ტრიუმფალური გამარჯვებისთანავე: ბლოკი "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო" დაიშალა. კრიტიკული ხმები ჩაჩუმებულ იქნა; პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ჯერ ჩაჩუმებული,ხოლო შემდეგ დაპატიმრებულ იქნენ. პრეზიდენტის კლიკის ფულისადმი სიხარბის ხმები გავრცელდა: 200 მილიონი მანეთით გაქცეულა გამსახურდია საქართველოდან; მის ჯანმრთელობის მინისტრ-ქალს კი თითქოს 40 კილო ოქრო თან წაუღია."

IX.

"საქართველოს ინტელიგენცია კი, რომელიც აჯანყებულებისადმი სიმპათიითაა განწყობილი, ეძებენ ისტორიულ შესადარებელ ფაქტს, რომ პუტჩი გაამართლონ. მართალია, "ძალადობით განდევნა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტისა არის არაკანონიერი აქტი", ამბობენ ისინი, მაგრამ თვით ჰიტლერიც 1933 წელს "არჩევნებით მიიღო ხელისუფლებაში და რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ ის რამდენიმე თვეში ძალით ჩამოეგდოთ". ("შპიგელი",5-1992 წ.,გვ.122-125).

პეტრის ამგვარი "განმარტება" კი საქართველოს ინტელიგენციის ინტელექტუალურ დონეზე უფრო მეტყველებს, ვიდრე გამსახურდია-პიტერის - ამ ორი სრულიად შეუდარებელი პიროვნებების რაობაზე. მაგრამ რა ქნან? - პეტრისეები ხავს ეკიდებიან, რომ მათ გამოუვალ მდგომარეობიდან გამოსავალი მონახონ, რის პირველი საფეხური თავის მართლებაა.

"მნ.",1992 წ.,ნომ.3,გვ.122-123

## ვინ ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია?..

I.

საქართველოს 1991 წლის 26 მაისს ხალხის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეული პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია - იძულებული გახდა საქართველოს ტერიტორია დაეტოვებია.

ვითომ ამით დამთავრდა საქართველოს ისტორიის ეს მოკლე, მაგრამ მოვლენებით აღსავსე, მონაკვეთი?.. ვითომ არ იჭრება საკითხი თუ ვინ ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია და ვინ აიძულა იგი დაეტოვებია საქართველო?..

II.

ამ კითხვაზე არაერთხელ მოგვცა პასუხი თვით ზვიად გამსახურდიამ, როცა მისი პრეზიდენტობიდან გადაყენება თუ ჩამოგდება თითქმის შეუქცეველი ჩანდა:

"დღეს გულდაჯერებით შეიძლება ითქვას, რომ ოპოზიციის შეიარაღებული პროვოკაცია დიდხანს და გულდასმით იგეგმებოდა და მზადდებოდა. ამას მოწმობს ტერორისტული აქციები, რომლებიც პუტჩს წინ უძღოდა. კერძოდ, ერთი კვირით ადრე მოიტაცეს ქალაქის მერი, რომელიც ცდილობდა მშვიდობიანი მოლაპარაკება ეწარმოებინა ოპოზიციონერებთან. ანალოგიურ სიტუაციაში საქართველოს შინაგან საქმეთა უიარაღო მინისტრის წინააღმდეგ პუტჩისტებმა გამოიყენეს მომწამვლელი გაზი, რის შედეგად იგი ჰოსპიტალში მოათავსეს. უფრო მეტიც, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დაჭრეს, როცა იგი ცდილობდა აეღკვეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობაზე შეიარაღებული თავდასხმის მცდელობა". ("საქ.რესპუბლიკა",24.12.1991).

"...ბოლშევიზმის კლასიკურ და უკიდურეს გამოვლინებას ხშირად ახლავს, ამ დღეებში ვხედავთ თბილისში - უმცირესობას სურს საკუთარი ნება თავს მოახვიოს მთელ საქართველოს და ამას სჩადის ძალადობის გზით...ამას სჩადის შეუნიღბავად , მთელი მსოფლიოს თვალწინ...დღევანდელი ბოლშევიკები ფარად იყენებენ დემოკრატიისათვის ბრძოლის ლოზუნგს. საპარლამენტო ოპოზიცია კი ახლაც ერთობ სდუმს.....ჩვენი დროის ორჯონიკიძეებმა და მახარაძეებმა, ელიშერიძეებმა და ორახელაშვილებმა სტალინის დაბადების დღეს დაამთხვიეს საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის ცდა".(იქვე).

"22 დეკემბერს რადიოსადგურ ბი-ბი-სის დილის გადაცემაში ქართული გვარის მქონე პიროვნებამ რაფაელ კლიმიაშვილმა ლონდონიდან მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ ქართველი ხალხი(?!) იბრძვის დიქტატურის წინააღმდეგ...კლიმიაშვილთან ერთად დეზინფორმაცია გაავრცელა თ.დრაგაძემაც. საინტერესოა, - ეს პიროვნებები ვისი სახელით მოქმედებენ?"(იქვე).

III.

გერმანული გაზეთის "ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" - კორესპონდენტი ბერნჰარდ კიუპერსი - ასეთ სათაურს აძლევს მის ვრცელ წერილს:"მხიარული ხალხის ფანატური აღება". ქვესათაური:"მოსკოვის დახმარების გარეშე საქართველოს პრეზიდენტს დიდი წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო მისი ყოფილი თანამებრძოლებისათვის". და აქვეა გამოქვეყნებული ბრძოლების ერთი სცენა თბილისში, რომელზედაც ერთ პუტჩისტს მარჯვენა ხელში კალაშნიკოვი უკავია,რომელიც მიმართული აქვს უკვე ტყვედ აყვანილ გვარდიელებისაკენ, ხოლო მეორე ხელში უკავია "ბიბლიის" ახალი ქართული გამოცემა. დააკვირდი რა ამ ფოტოსურათს, მომაგონდა ხომეინისტების ანალოგიური მოქმედება ირანში, რომლებსაც - კალაშნიკოვის გვერდით - მეორე ხელში"ყურანი" ეკავათ.

IV.

"გამსახურდიას გაქცევა საქართველოდან 1992 წლის 6 იანვარს ნათელჰყოფს, რომ კრემლის დამხმარე თუ დამცველი ხელის გარეშე, "დამოუკიდებელი სახელმწიფოების" დემოკრატიულად არჩეულიც ვერ რჩება თავის პოსტზე რეგულარული დროის განმავლობაში", წერს ბერნჰარდ კიუპერსი და განაგრძობს:
ზვიად გამსახურდიამ, ყოფილმა დისიდენტმა, თავისი ხუთ-ნახევარი მილიონი მოსახლეობის ამომრჩევლების 87 პროცენტმა, 1991 წლის 26 მაისს, სასწრაფოდ დაამარცხა მისი ყველა კონკურენტი. ერთი თვის შემდეგ, ბორის ელცინმა მიიღო რუსეთში ხმების 57 პროცენტი, მაგრამ ის აირჩია პრეზიდენტად 150-მილიონიანმა ხალხმა.

V.

როცა შეიარაღებული ოპოზიცია რუსთაველის პროსპექტზე საშინლად დანგრეული ნაგებობების წინ, ორ-კვირიანი ბრძოლის შემდეგ, გამარჯვებას ზეიმობდა, ცეცხლწაკიდებული პარლამენტის შენობიდან და მთავრობის სახლიდან გამოვიდა, გაუთავებელი საყვირის ხმაურით, შავი "ვოლგა" "მერსედესის" მთავარი ხელთ-მიდან, რომელშიც იჯდა "ბანდიტი და თეატრის პროფესორი" ჯაბა იოსელიანი.
ერთი კაცი გადმოვარდა ამ შავ "ვოლგადან" და დაიყვირა: "ჩვენ ეს გამოვიტანეთ პარლამენტიდან", და აფრიალებდა საქართველოს "შინდისფერ-თეთრ-შავ" დროშას, რომელიც დასვრილი იყო ცეცხლებით. "ეს არის ჩვენი ნადავლი", - დაიყვირა მან. ეს ალამი, - წერს კიუპერსი - არის იმ დროიდან, როცა საქართველო 1917-1921 წლებში დამოუკიდებელი იყო. ეს ალამი ხელში ეჭირა ზვიად გამსახურდიას 1990 წლის ნოემბერში, როცა იგი საქართველოს პარლამენტმა 232 ხმით, ხუთის წინააღმდეგ - აირჩია პარლამენტის პრეზიდენტად. მაშინ, გამსახურდიას ხელმძღვანელობით, "მრგვალ მაგიდას" პარლამენტის 250 დეპუტატიდან, 155-ი დეპუტატი ჰყავდა. ახლა ეს ალამი ხელთ აქვთ ადამიანებს, რომლებსაც დემოკრატიული ლეგიტიმაცია არ გააჩნიათ.
"მართალია, - წერს სიტყვა-სიტყვით ბერნჰარდ კიუპერსი - მისი მთავრობაში ყოფნის დროს ხელ 14-ი თვე, საქართველო იზოლაციაში მოაქცია... და მოუთმენლობა გამოიჩინა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისა და ეროვნული უმცირესობის, ვთქვათ, ოსების მიმართ, მაგრამ მისი მოწინააღმდეგეების მცდელობა რომ აჯანყება "დიქტატორის" წინააღმდეგ მოახდინეს, ისევე გამჭვირვალეა, როგორც ცეცხლით დასვრილი დროშა. მათ წინააღმდეგ მოწმობს ხელ ლუთა 84-ი მოკლულისა და 350-ი დაჭრილის სისხლი და ნანგრევები ერთ-ერთი უმშვენიერესი ქალაქის ცენტრის - რუსთაველის გამზირისა - კავკასიის მთების იქით..."

VI.

მთავარი აქტიორები=როლის შემსრულებლები გადატრიალებისა არიან არა ოპოზიციური დაჯგუფებებიდან, არამედ გამსახურდიას ყოფილ თანამებრძოლებიდან, როგორც, მაგალითად, თენგიზ სიგუა, ყოფილი მთავრობის თავჯდომარე, თუ ეროვნული გვარდიის მეთაური თენგიზ კიტოვანი. თვით თბილისის მოსახლეობაც კი არ უჭერს მხარს აჯანყებულებს. პირიქით: რკინიგზის სადგურთან ორი-ათასამდე კაცმა თავი მოიყარა და მხარი დაუჭირეს ზვიად გამსახურდიას. თუმცა "სამხედრო საბჭომ" ქალაქში დემონსტრაციები აკრძალა.

VII.

ამასობაში სცენაზე გამოჩნდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც "შუამავლის როლი" შესთავაზა პოზიცია-ოპოზიციას საქართველოში. ზვიად გამსახურდიამ კი, სანამ იგი მთავრობის სასახლეს დატოვებდა, ინტერვიუში განაცხადა, რომ "ყველაფერ ამის უკან დგას ბორის ელცინი".

VIII.

1992 წლის 7 მარტს, როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინებოდა, ''შევარდნაძე ტრიუმფით დაბრუნდა საქართველოში''. ''ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, - მიმართა მან ორიათასამდე შემხვედრთ, -...ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მე ვარ კერძო სტუმარი აქ. მაგრამ მე მოველი აქ როგორც პოლიტიკური პიროვნება, რომ დავრჩე ჩემს ხალხთან და ვაჩვენო მას სიძნელეებიდან გამოსავალი გზა.''
ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, შევარდნაძე არის მცირერიცხოვანი დემოკრატიული პარტიის საპატიო თავჯდომარე. ზვიად განმსახურდია, არჩეული პრეზიდენტი, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ როგორც დისიდენტი დააპატიმრა კომუნისტური რეჟიმის დროს, როცა შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო, - ახლა არის ჩეჩენო-ინგუშეთის რესპუბლიკაში გაქცეული და თავს

თვლის საქართველოს კანონიერი პრეზიდენტად. მან ბრალდება წაუყენა შევარდნა-ძეს საქართველოს კანონიერი ხელმძღვანელობის ჩამოგდებაში შეიარაღებული ოპო-ზიციის მეშვეობით. 1992 წლის10 მარტს კი ედუარდ შევარდნაძე აირჩიეს სა-ქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარედ, რომელმაც შეცვალა საქართველოს ე.წ-ლი სამხედრო საბჭო. 18 მარტს კი საქართველოს სახელმწიფო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომ 1992 წლის ოქტომბერში ჩატარდება საქართველოს საკანონმ-დებლო ორგანოს არჩევნები ''თუ პოლიტიკური   მდგომარეობა იქნება საკმარი-სად სტაბილური''.

და თუ გავითვალისწინებთ, რომ ედუარდ შევარდნაძეს ''წესრიგის დამყარებაში'' დიდი გამოცდილება აქვს, როცა იგი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინის-ტრი, ხოლო შემდეგ საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი 1972-1985 წლე-ბში, ეს მუქარათაც შეიძლება გაგებულ იქნას ყველა მათ მიმართ, რომლებმაც 1990 წლის 28 ოქტომბერს, მრავალპარტიულ არჩევნებში, ხმა მისცეს ''მრგვალ მაგიდას - თავისუფალი საქართველოს'', თუმცა ამ საარჩევნო ბლოკის ნაწილი ზვიად გამსახურდიას გადაუდგა და ''შეიარაღებული ოპოზიციის'' მწყობრში ჩა-დგენ, - დასძენს რუიტერის სააგენტო.

IX.

და ყველა აღნიშნული და სხვა მრავალი ფაქტი გვაძლევს იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ''შეიარაღებული ოპოზიციის'' ზურგში იდგა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მოხკოვიდან განაგებდა ძმათა შორის სისხლის ღვრის გაჩაღებას?.. და ისევ ედუარდ შევარდნაძის ამგვარ მაქიაველურ პოლიტიკას ხომ არ უნდა მიეწე-როს ის ფაქტიც, რომ ''შეაიარაღებულ ოპოზიციას'' - ხალხისაგან არჩეული მთა-ვრობის შეიარაღებულ ძალთა საწინააღმდეგოდ - მიღებული ტიპის რაკეტებიც კი არ აკლდათ, რომლითაც დანგრეულ იქნა ჩვენი დედაქალაქის გული - რუსთავე-ლის პროსპექტი?.. და ამას ისიც ხომ არ ადასტურებს, რომ მიხეილ გორბაჩოვ-მა, ედუარდ შევარდნაძის მენტორმა, - როგორც 1991 წლის გერმანული შპიგელის მე-11 ნომერი წერდა, - პირადაპირ დაემუქრა ზვიად გამსახურდიას, როცა მან უარი თქვა ახალ საკავშირო ხელშეკრულებაზე, -''მაშინ მიიღებთ დიდი სიძნელე-ები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში?..'' და,მართლაც, მივიდა თუ არა შევა-რდნაძის ''შეიარაღებული ოპოზიცია'' საქართველოს ხელისუფლებაში, მაშინვე შეწყვიტეს სისხლიანი შეტაკებები შიდა ქართლის ქართველობასთან ოსმა ექსტ-რემისტებმა?.. და ყველა ეს ფაქტები ვითომ ადასტურებს, რომ ედუარდ შევარ-დნაძემ მოსკოვიდან შესძლო ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების კანო-ნიერი ხელისუფლების დამხობა?..

X.

აი, საკითხები, რომლებიც გარკვევას მოითხოვს, რომ ბოლოსდაბოლოს გავიგოთ: ვინ ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია , და ვინ გახადა საქართველო "ბანანების რესპუბლიკად?.." მაგრამ ამგვარი გამოკვლევების დრო ახლა რომ არ არის?..

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1992 წლის 1 მაისი

"ტ რ ა გ ი კ უ ლ ი   ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა?.."

I.

"ტრაგიკული აუცილებლობა" უწოდა არჩეული პრეზიდენტის ჩამოგდებას ინტელი-გენციის წარმომადგენელმა საქართველოს ტელეხედვაში, რომლის გადაცემის თა-რიღი, სახელი და გვარი და, საერთოდ, ვინაობა ვერ გავიგეთ        საუბრის არაპროფესიული "გამართვის" გამო. მაგრამ მთავარია, რომ ამ "ტრაგიკული აუცილებლობის" როლში გამოვიდა ინტელიგენციის ეს წარმომადგენელი, მაგრამ ვერ დაგვარწმუნა ჩვენ, მაყურებლები, რომლებმაც უცხოეთში ეს გადაცემა ვი-დეოთ კასეტ-მოვისმინეთ, იმდენად იყო ეს სწავლული თუ პროფესორი თუ პარტიის ულღერთაგანი ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას "კრიტიკით", რბილად რომ ვთქვათ. მაგრამ ამას არ გამოუწვევია ჩემში გაკვირვება, რადგან სხვა გადაცემაში თვით ბატონმა თენგიზ სიგუამ, საქართველოს დროებითი მთავრობის თავჯდომარემ, ისიც კი დაადასტურა, რომ თითქოს ბატონი ზვიად გამსახურდია ნორმალური არ არის, და თურმე ქართველ ხალხს ეს არანორმალური ადამიანი აუ-რჩევია საქართველოს პრეზიდენტად, რომლის პრემიერმინისტრი თვით თენგიზ სიგუაც იყო, მაგრამ შემდეგ გადაუდგა.

II.

"ტრაგიკული აუცილებლობა" კი ნიშნავს იმას, რომ არჩეული პრეზიდენტის მომხრეებსა და "შეიარაღებულ ოპოზიციას" შორის შერიგების რაიმე შესაძლებლობა აღარ არსებობდა, რომლის ერის, რა თქმა უნდა, შეგნებით წაშლილია ზღვარი ხალხის უმრავლესობის ნებასურვილსა და "შეიარაღებული ოპოზიციის" ნებასურვილს შორის, თითქოს ისინი თანასწორუფლებიანნია!.. აქ ქართული სიბრძნე -"ხმა ერისა-ხმა ღვთისა" მივიწყებულია, რადგან "შეიარაღებულ ოპოზიციას" ეს არ"აწყობს", რადგან გაურბის "ხალხის რისხვას" და იმავე ხალხის სახელით - მაკიაველურად - იმავე ხალხის დამცველის როლში გამოდის "ტრაგიკული აუცილებლობის" მომიზეზებით.

III.

და ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს იგივე ვიდეო-დოკუმენტაცია, რომლითაც ჩვენ ვნახე-მოვისმინეთ აღნიშნული გზით და რომელშიც ნათქვამია: ხელისუფლების წარმომადგენელი ფურცლიდან აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, მიმართა "შეიარაღებული ოპოზიციის" მეთაურებს სიგუა-კიტოვან-იოსელიანს მოლაპარაკება დაეწყოთ, ყველა სადავო საკითხზე, საქართველოს საპატრიარქოში, მაგრამ ამგვარი არაერთგზის წინადადება "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" უარყო. "შეიარაღებული ოპოზიციის" ამგვარ უცნაურ მოქმედებას, როგორც იქვე ვნახეთ საქართველოს ტელევიზიის კადრებში, - მოყვა საქართველოს პრეზიდენტის, ვამბობთ გულდიათ, უცნაური მოქმედება, როცა მან "შეიარაღებული ოპოზიციის" მოლაპარაკებაზე უცნაურ უარისთქმას, უცნაური მოწოდებით უპასუხა: "ქუდზე კაცი", რაც ძმათა სისხლისღვრისაკენ მოწოდებას

უდრიდა, რის შედეგები შეუძლებელია ვერ განეჭვრიტათ ორივე მხარეს. და მართლაც, ორივე მხარემ - პოზიცია-ოპოზიციამ - ნანგრევებად აქციეს ჩვენი დედაქალაქის·გული - რუსთაველის გამზირი -, რითაც "ნანგრევებად" იქცა აგრეთვე ქართველი ხალხის ერთობა; და თურმე ეს ყოფილა "ტრაგიკული აუცილებლობა!"

IV.

როგორ ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტისა და ხელისუფლების გადაყენება მხოლოდ "შეიარაღებული ოპოზიციის" მამხანის ძალით უნდა მოხდეს, და ეს არის დემოკრატია?.. თუ დემოკრატიას გააჩნია სხვა არაერთი საშუალება არჩეული ხელისუფლების გადაყენებისათვის?.. რა თქმა უნდა, ოპოზიციას, დემოკრატიის პირობებში, ყოველთვის გააჩნია სხვადასხვა საშუალება გადააყენოს არჩეული მთავრობა დემოკრატიული, ე.ი. კანონიერი გზით, რომ უგულებელყოფილი არის იქნეს კანონის უზენაესობა. ერთი მთავარი ასეთი საშუალებაა ის, რომ საქართველოს უზენაესი საბჭო, ე.ი. პარლამენტი არჩეულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბერს განსაზღვრული, თუ არა ვცდები, ოთხი(თუ ხუთი?) წლის ვადით, რაც - თავის მხრივ იმას, ნიშნავს, რომ ხელახალი არჩევნების დროს ხალხს, ე.ი. ამომრჩევლებს საშუალება გააჩნიათ მთავრობის შეცვლისა ყოველგვარი ძალადობის გარეშე. მეორე საშუალებაა პარლამენტური ოპოზიციის გააქტიურება პარლამენტში, რომლის დროს შესაძლებელია არა მარტო ხელისუფლების ამა თუ იმ ღონისძიების დაუნდობელი კრიტიკა, არამედ მთავრობის გადადგომის მოთხოვნაც კი. მესამე - მასობრივი მშვიდობიანი დემონსტრაციები მთავრობის ამა თუ იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომლის დროს მშვიდობიან დემონსტრანტებს შეუძლია თვით მთავრობის გადაყენების მოთხოვნაც კი. მეოთხე დემოკრატიული ხერხია ვადაზე ადრე საპარლამენტო არჩევნების ისევ-ჩატარება, რომელზედაც მთავრობას შეუძლია დაეთანხმოს ან არ-დაეთანხმოს, რადგან ხალხისაგან არჩეული პარლამენტი, დემოკრატიის პირობებში, ვალდებულია, განსაზღვრული დროის განმავლობაში მართოს სახელმწიფო იმ დროსაც კი, თუ ამომრჩეველთა განწყობილება, აღნიშნული დროის განმავლობაში, მის საწინააღმდეგოთ შეიცვალა, თუმცა ამის განმსაზღვრელია თვით ხალხი და არა "შეიარაღებული ოპოზიცია", რაც დემოკრატიის უარყოფაა საერთოდ. მთავრობის შეცვლის მეხუთე ხერხია თუ არჩეული პრეზიდენტი გადადგება ან არჩეული პარლამენტი დაშლილად გამოაცხადებს თავისთავს, რომლის დროს პრეზიდენტი და პარლამენტი ახალი არჩევნების ჩატარებამდე აგრძელებენ თავთავიანთი მოღვაწეობას, რომ ქვეყანა უხელმძღვანელოდ არ დარჩეს. არსებობს აგრეთვე მეექვსე ხერხიც, თუ ხალხის ნაწილი ან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებსაც დემოკრატიის მეოთხე ორგანოს უწოდებენ - კანონმდებლობითი, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების გვერდით, - კონკრეტულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეტენზიას წაუყენებენ პრეზიდენტს თუ მთავრობას კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის, რომლის დროს მოქმედებაში შედის გამომძიებითი ორგანოები.

V.

როგორც ვხედავთ, დემოკრატიის პირობებში საჭირო არ არის "შეიარაღებული ოპოზიციის" შეიარაღებული მოქმედება ხალხისაგან არჩეული მთავრობის წინააღმდეგ თუ ამ "შეიარაღებულ ოპოზიციას" არ სურს არა-დემოკრატიული გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება. და როცა ამ "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" უარი თქვა მთავრობასთან მოლაპარაკებაზე, ამ ეტაპზე უფრო ადრეულ სტადიაზე, მოგვარებინათ სადავო საკითხები მშვიდობიანი მოლაპარაკებებით, - ამით "შეიარაღებულ ოპოზიციას" - თუ აღნიშნული ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება - სურდა არა მოლაპარაკებების გზით არსებული უთანხმოების მოგვარება, არამედ ხალხისაგან არჩეული მთავრობის იარაღის ძალით ჩამოგდება და სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება, რაც პრაქტიკულად განახორციელა 1992 წლის 6 იანვარს, როცა არჩეულმა პრეზიდენტმა დატოვა საქართველო და "შეიარაღებული ოპოზიცია" -"სამხედრო საბჭოსა" და დროებითი მთავრობის მეშვეობით - დაეპატრონა საქართველოს სახელმწიფოს.

VI.

საკითხი - თუ ვინ იდგა ამ "შეიარაღებული ოპოზიციის" ზურგში, ვინ მისცა მას რაკეტებიც კი თბილისის გულის - რუსთაველის გამზირის - დასანგრევად, გაურკვეველი რჩება, თუმცა ზვიად გამსახურდია და დასავლეთ ევროპის პრესა აღნიშნავდა, რომ "შეიარაღებული ოპოზიციის" ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე იყო, რომელმაც, როგორც ჩანს, მისი "საერთაშორისო ავტორიტეტი" თვით რუსეთის ხელმძღვანელობაში, საქართველოს არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ გამოიყენა, ვერ გაიგო რა ის, რომ აქ საქმე ზვიად გამსახურდიას კი არა, საქართველოს იმ ამომრჩევლებს ეხება, რომელთა 87 პროცენტმა სწორედ გამსახურდიას მისცა ხმა.

VII.

ამგვარად, იმას, რასაც აღნიშნული ინტელიგენტი "ტრაგიკულ აუცილებლობას" უწოდებს, სინამდვილეში პრიმიტიული ანგარიშის გასწორებაა, რომლის დროს მივიწყებულია საქართველოს ხალხი, საქართველოს ამომრჩევლები და ყურადღების ცენტრში დაყენებულია ზვიად გამსახურდია თუ ედუარდ შევარდნაძე, რომელთა თავიდან მოშორება - თუ ეს საჭიროა - ჩვენ, ე.ი. ხალხმა ვერ შევძელით, ბუნების კანონი მაინც არ გვიღალატებს, რადგან ადამიანის სიცოცხლე განსაზღვრულია. სხვათა შორის, ამ "ტრაგიკული აუცილებლობის" დამცველების, ე.ი. საქართველოს ინტელიგენციის შესახებ დასავლეთის დიდი და სერიოზული :პრესის ორგანოები ამბობენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იმიტომ, რომ მისი ბატონობის დროს ის მხარს უჭერდა ინტელიგენციას, ხოლო ზვიად გამსახურდია დიდი პატივისცემით სარგებლობს გლეხებსა და მუშებში. და თუ ეს სიმართლეს შეესაბამება, საქართველოს ხალხის გაყოფა ორ ბანაკად თვით ჩვენი ინტელიგენციისაგან გამოხდა, რაც დასაგმობია განსაკუთრებით იმიტომ, რომ,მისი ერთი წარმომადგენლის მტკიცებით, ეს თურმე "ტრაგიკული აუცილებლობა"ყოფილა.

VIII.

და გასაკვირია, მეტად გასაკვირია, რომ საქართველოს ინტელიგენცია,მთლიანად თუ არა, ნაწილი მაინც არ გამოდის ეროვნული შერიგების, ეროვნული ერთობის პოზიციიდან და შევარდნაძე თუ გამსახურდიას ქება-დიდებით ან ლანძღვა-გინებით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ერს, ხალხს, საქართველოს ერთობისაკენ, ეროვნული შერიგებისაკენ არ მოუწოდებს. გასაკვირია აგრეთვე, რომ - მოვისმინე რა აღნიშნული ვიდეო-ჩანაწერი საქართველოს ტელეხედვისა - არც ერთი ორატორი, არც ერთი რიგითი ქართველი არ მოუწოდებდა ქართველ ხალხს ერთობისაკენ, ეროვნული შერიგებისაკენ! და თუ ამგვარი შერიგებაზე რომელიმე დაიწყებდა ლაპარაკს, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ის, გამსახურდიას დროს, ჯერ გალანძღავდა "შეიარაღებული ოპოზიციის" ლიდერებს, ხოლო ახლა - შევარდნაძის დროს - ლანძღავს ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებს; და თუ შევარდნაძის თუ გამსახურდიას მომხრეები უნდა იქნან განადგურებული, მაშინ შერიგება ვის შორის უნდა მოხდეს?.. როგორც ჩანს, აღნიშნული ორატორები ამგვარი ჩაფიქრებისათვის თავს არ იწუხებენ, რადგან იციან, რომ ერთი მხარეც და მეორე მხარეც "მართალნი არიან", თითქოს ჭეშმარიტება მათი საკუთრება იყოს.

IX.

ასე დაეცა, ასე დაჩანაგდა "ქართული დემოკრატია", რომლის ცნება საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-1921 წლებში, დასავლეთ ევროპიელებმა შექმნეს, როცა იხილეს დამოუკიდებელი საქართველო, გაეცნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, საქართველოს კონსტიტუციას და ქართველი ხალხის მაშინდელ დემოკრატიულ ცხოვრებას. და ნუთუ ისე დაგვანგრია თითქმის სამოცდაათწლოვანმა ბოლშევიკურმა რეჟიმმა, რომ ჩვენი ეს დიდი დემოკრატიული ტრადიცია სრულიად გაქრა და დემოკრატიული წესრიგის განგრევას "ტრადიციულ აუცილებლობას" ვუწოდებთ?..სადაა ქართული დემოკრატია?.. სადაა ქართველი სოციალური დემოკრატია?..

X.

აი, საკითხი, აი, პრობლემა, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს ჯერ როგორც გამსახურდიას, ისევე შევარდნაძის მომხრეები.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 12 მაისი

## "ნებაყოფლობით უთავისუფლობაში?.."

გერმანელი კომენტატორი, კატრინ კალუაიტი, - ეხება რა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებას და საქართველოს ტერიტორიიდან წასვლას, - აყენებს მეტად საგულისხმიერო კითხვას: ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხები ნებაყოფლობით ხომ არ ირჩევენ უთავისუფლობას?!..

"საქართველოს პრეზიდენტის გაქცევიდან მოკლე ხნის შემდეგ, მეამბოხეების ახალ მფლობელთ უკვე აღარ ახსოვთ მათი დაპირებები: გუშინწინ უკვე გამოაცხადა სამხედრო საბჭომ რაც შეიძლება მალე ახალი არჩევნების ჩატარება და იარაღის ძალით ხელში ჩაგდებული მეამბოხეების დემოკრატიულად ლეგიტიმირებული მთავრობაზე გადაცემა; დღეს არავინ არ ლაპარაკობს ამაზე. სამხედრო საბჭოს წევრმა - გიორგი ჭანტურიამ - განაცხადა, რომ ის არ ხედავს მიზეზს ახალი არჩევნების ჩატარებისათვის საჩქაროდ, და ილაპარაკა მონარქიის ისევ შემოღებაზეც კი. ამ დროს კი ახალი არჩევნების ჩატარება იქნებოდა ერთადერთი საშუალება პუტჩის დასავიწყებლად, რომლის დროს გამსახურდიას ყოფილმა თანამებრძოლებმა აიძულეს პრეზიდენტი დაეტოვებინა თავისი თანამდებობა."

"თუ ედუარდ შევარდნაძის უცნაური შეფასება მდგომარეობისა გამართლდა, რომლის თანახმად "ერთობის, დემოკრატიისა და თავისუფლების" ძალებმა საქართველოში "გაიმარჯვა დიქტატურაზე", მაშინ მეამბოხეების ახალმა მპყრობელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ყოველგვარი შიში უსაფუძვლოა. შიში, მაგალითად, იმისა, რომ ბრძოლა "თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის" საქართველოში, სინამდვილეში ჩვეული იყო მეამბოხეების ბრძოლაში ორ კლიკას შორის, რომლებიც დემოკრატიაზე მხოლოდ ლაპარაკობენ, სანამ **ის** არ უნდა დაუმყარონ".

"რაც არ უნდა იყოს ამომრჩევლების 87 პროცენტმა აირჩია ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად. მაგრამ ეს მებრძოლი უძველესი დისიდენტი და ნაციონალისტი უცბად გადაიქცა ავტოკრატად ლენინის მანერით; მისი განდევნა უეჭველად სამწუხარო არ არის."

"დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირის 15 რესპუბლიკის განვითარებაში შემდეგია: როგორც ჩანს, უმრავლესობის სურვილია, ამ რესპუბლიკების დღემდე მმართველი ფენა მთავარი ერისა გაბატონდეს უკომპრომისოდ "ნაციონალური დემოკრატიის" დროშის ქვეშ....წარსულთან რადიკალური კავშირის გაწყვეტაზე, როგორც ეს მოხდა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, აქ ლაპარაკი არ შეიძლება."

"ირჩევენ მათ, ვინც სიმკაცრეს იჩენენ, და საბაზრო ეკონომიკისაკენ მიდრეკილებისას ავტორიტარული სტრუქტურების შენარჩუნებას უკავშირებენ. ამის დასამტკიცებელი ფაქტი ბევრია: ყირგიზეთში გაიმარჯვა ასკარ აკაევმა ამომრჩეველთა 95-ი პროცენტის მხარდაჭერით; თაჯიკეთში გაიმარჯვა რახმონ ნაბიევმა

ხმების ორ-მესამედი უმრავლესობით; ყაზახეთში ტრიუმფალურად გაიმარჯვა ნურსულთან ნაზარბაევმა ხმების 98,8 პროცენტი უმრავლესობით; თურქმენეთში გაიმარჯვა საპაპურად ნიაზოვმა ხმების 94 პროცენტი უმრავლესობით; ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში გაიმარჯვა ნაციონალისტურმა სახალხო ფრონტებმა, რომელთა ხელმძღვანელობაში, ლიტვის გამოკლებით, ყოფილი კომუნისტებია; იგივეა რუსეთის ფედერაციაში: ბორის ელცინმა მიიღო ამომრჩეველთა თითქმის 60-ი პროცენტი ხმა. ყველა ესენი იყვნენ საბჭოთა კავშირის დროს ხელმძღვანელი კომუნისტური პარტიისა თავთავიანთ რესპუბლიკებში."

"როგორც ჩანს, დღევანდელ გარდამავალ პერიოდში, ხალხის დიდი უმრავლესობა ნებაყოფლობით ირჩევს ძველ ხელს, რომ ისინი დაიცვან იმ ცხარე მღელვარებისაგან, რაც გამოიწვია საჯაროობამ და გარდაქმნამ: ეკონომიკური დაცემა, პოლიტიკური არასტაბილურობა, მწვავე ბოროტმოქმედება."

ასე წერს გერმანელი კომენტატორი კაერინ კალკაიტი საქართველოს პრეზიდენტის საქართველოდან სომხეთში გადახვეწის და ამით საქართველოში ე.წ-ის "სამხედრო საბჭოს" გაბატონებასთან დაკავშირებით.

აქვე ჩვენი შენიშვნა: - დემოკრატიული პროცესი, რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში დაიწყო, სრულიად არ წააგავს ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების გარდაქმნის პროცესებს, ლიტვის გარდა. ზვიად გამსახურდია შეიძლება შედარებული იქნას მხოლოდ ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტ ვაცლავ ჰაველთან, თუმცა მან ვერ გამოიჩინა იმდენი კულტური და მოთმინება, რომ რაიმე საერთო ენა გამოენახა თვით "შეიარაღებულ ოპოზიციასთანაც" კი, როგორც უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს.

როგორც ჩანს, დიდმპყრობელ-შოვინისტების არაერთხელ გამოთქმული და აღიარებული დევიზი - "ყველას გაუშვებთ ჩვენს ბატონობიდან, მაგრამ საქართველოს არა!" - დღესაც ხორციელდება, როცა ჩვენში "შეიარაღებული ოპოზიციის იარაღის ძალით გამარჯვება საქართველოს არჩეულ პარლამენტსა და პრეზიდენტზე, ორჯონიკიძე-მახარაძეთა "საქმე-საგმირონს" გვაგონებს, თუმცა საქართველოს ახლანდელ ბატონ-პატრონს "რევკომი" კი არა "სახელმწიფო საბჭო" ეწოდება. მაგრამ თუ კი ქართველმა ხალხმა იცოდა ვინ იდგა "რევკომის" უკან, დღეს უცნობია ვინ იდგა "სამხედრო საბჭოს" უკან. ეს კი კარგი მომავლის მაჩვენებელი არ მოსჩანს!..

კ.ი., პარიზი, 1992 წლის იანვარი

## გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა" შევარდნაძე-გამსახურდია.

I.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", საქართველოს მთავარი პრესის ორგანო, რომელიც გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან, საქართველოს "მთავარი" გაზეთი იყო 1992 წლის 6 იანვრამდე, როცა ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველოს ტერიტორია, და მთავარი გაზეთი დარჩა სიგუა-კიტოვანი-იოსელიანისა და ახლა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დროსაც, თუმცა, დაწყებული 1992 წლის აღნიშნული 6 იანვრიდან, უცხოეთში პირველად ეს გაზეთი მივიღეთ მხოლოდ 1992 წლის 19 მარტის თარიღით, რითაც ჩვენთვის უცნობია თუ როგორ "გაამართლა" თუ "ვერ გაამართლა" კანონიერი ხელისუფლების დამხობა, იარაღის ძალით, ახალმა მმართველობამ, ვგეს "საქართველოს სახელმწიფო საბჭოს" სახელწოდებით.

II.

მაგრამ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ეს 19 მარტის ნომერიც საკმარისი აღმოჩნდა, რომ გავიგოთ საქართველოს სახელმწიფო საბჭოსა და ამით ბატონ ედუარდ შევარდნაძის მიდგომა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მმართველობისა და მოღვაწეობისადმი. აქ გამოქვეყნებულია, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის - ვახტანგ რაზმაძის მიმართვა ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევისადმი, რომელშიც მოითხოვს ყოფილი პრეზიდენტის გადმოცემას საქართველოს რესპუბლიკისათვის, რომ ზვიად გამსახურდია მიცემულ იქნას სისხლის სამართლის პასუხისგებაში შემდეგი ბრალდებებით:

1. საქართველოს ბანკებიდან 36 მილიონი მანეთის გამოტანა პირადი გამოყენებაში,
2. აგრეთვე "თაღლითობაში და კონტრაბანდული ოპერაციების ჩადენაში",

3.400 000 დოლარით "მერსედესის" შეძენაში,
4. "380 000 მანეთად ღირებული ავტომობილი "ვოლვოს" გადაცემაში, და სხვა.

III.

გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" იმავე გვერდზე გამოქვეყნებულია ფოტო-სურათი, რომლის წინაპლანზე მოჩანს ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ხოლო ამ ცნობის სათაურია - "წესრიგის კარებს დაპარკეს კი შეეძლოთ დემოკრატიაზე, ვინაიდან უწესრიგო, დამშეულ ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოების აშენება წარმოუდგენელია". და ეს, ვიცით, საყურადღებო სიტყვები ეკუთვნის ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც წარმოთქვამს, სხვათა შორის, საზოგადოება "ცოდნის" 17 მარტის საკანწევზე სხდომაზე, თბილისში, უფრო სწორად, აწ უკვე ნანგრევებად ქცეულ თბილისის გულში. ვფიქრობთ, უკვე მკითხველი მიხვდა რის თქმაც გვსურს:

IV.

ვითომ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებმა უნდა აიტანოს - ჯერ - ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პრეზიდენტის ქება-დიდება 1992 წლის 6 იანვრამდე და ბატონ ედუარდ შევარდნაძის, ვთქვათ პირდაპირ, განდიდება იმავე თარიღამდე?.. და ახლა, "საქართველოს რესპუბლიკამ" - იანუსის თავივით - უნდა გვაჩვენოს მეორე სახე: ბატონ ედუარდ შევარდნაძის ქება-დიდება, ხოლო ბატონ ზვიად გამსახურდიას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაც კი?.. და - ვინ იცის! - ხვალ ხომ არ დაჭირდება ისევ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას" ისევ ბატონ ზვიად გამსახურდიას ქება-დიდება და ბატონ ედუარდ შევარდნაძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის განუკითხავი ბატონობის დროს საქართველოში, 1985 წლამდე, და ედუარდ შევარდნაძის როლი ე.წ-ი "შეიარაღებული ოპოზიციის" რიგებში, რასაც თბილისის გულის - რუსთაველის გამზირის - ნანგრევებად ქცევა მოჰყვა - გამოკვლევის საგანი არის, გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს?..

V.

გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", როგორც ჩანს, "დამოუკიდებელი პრესის ორგანო" უნდა იყოს, რადგან მის პირველ გვერდზე არ არის მითითებული, რომ ის ახლა "საქართველოს სახელმწიფო საბჭოს" თუ "დროებითი მთავრობის" ორგანოა; და თუ ეს ასეა, "დამოუკიდებელი პრესის ორგანოს" არ შეშვენის უფრო დამოუკიდებელი აზრების გამოთქმა, ვიდრე - ჯერ - ბატონ ზვიად გამსახურდიას ქებადიდება და ბატონ ედუარდ შევარდნაძის "სისხლის სამართლის დანაშაულად" გამოცხადება,თანაც"ობიექტურ"ცნობებშიც კი, და ახლა შებრუნებით?..

VI.

და თუ საქართველოს არა მარტო მთავარი, არამედ ყველა პრესის ორგანო მართლაც თავისუფალია და თავიანთი აზრის თავისუფლად გამოთქმა შეუძლიათ, ახლა "სისხლის სამართლის დამნაშავეები" უნდა ვეძიოთ ჩვენს რიგებში, თუ ეროვნული შერიგების სამსახურში უნდა ჩავდგეთ?.. ჩვენ კარგად ვიცით, კონკრეტულად თუ არა, ზოგადად, თუ რა უბედურება დაატყდა საქართველოს, ქართველ ხალხს ბატონ ედუარდ შევარდნაძის ბატონობის დროს, 1985 წლამდე თუ "შეიარაღებული ოპოზიციის" სისხლისმღვრელი ბრძოლების დროს. მაგრამ დღეს, როცა საქართველოს გული - თბილისი - დანგრეულია და ასევე "დანგრეულია" ჩვენი ეროვნული ერთობა, ჩვენი ეროვნული შეგნება, ისაა მთავარი ზვიად გამსახურდიაში თუ ედუარდ შევარდნაძეში სისხლის სამართლის დამნაშავეები ვეძიოთ თუ როგორმე ეროვნული შერიგება მოხდეს, რომელშიც, ამჟამად, დადებითი როლის თამაში შეუძლია თვით ბატონ ზვიად გამსახურდიასაც და ბატონ ედუარდ შევარდნაძესაც?..

VII.

საქართველოს მასობრივი მედიუმების და ამით გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკის" - მთავარი თემა, მთავარი გეზი აქეთკენ უნდა იყოს მიმართული, რომ როგორმე შევძლოთ გზის, გზების მონახვა, რომ შესაძლებელი გახდეს ეროვნული შერიგება. ეს იქნებოდა წინაპირობა იმისა, რომ "არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუშვათ სისხლისმღვრელი შეტაკება ძმათა შორის", როგორც "საქართველოს რესპუბლიკის" ამავე ნომერშია აღნიშნული. ამისათვის კი ერთერთი საშუალებაა, რომ საქართველოს მასობრივი მედიუმები გახდნენ "სახელმწიფო ძალაუფლების მეოთხე ორგანო" - კანონმდებლობის, აღმასრულებელი და მართმსაჯულების ორგანოების გვერდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ბოლოს-და-ბოლოს გავიგოთ: შევარდნაძე

თუ გამსახურდია ჭეშმარიტების მოციქული არ არიან. მათი ქება-დიდებით ან უღირსად მოხსენებით არაფერი არ კეთდება, მით უმეტეს ახლა, როცა საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად განსაცდელშია და ჩვენ ეროვნულ-თანხმობას., ეროვნული შერიგება, ეროვნული ერთობა ესაჭიროება, და არა "ძველი" თუ "ახალი" "ანგარიშების გასწორება", რომლის დრო ახლა არ არის.

VIII.

ამიტომ - გალაქტიონ ტაბიძის გამოთქმა რომ გამოვიყენო - ეროვნული შერიგება უპირველეს ყოვლისა, და ვთხოვთ გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას" ისიც ჩადგეს ამ საჭირბოროტო საქმის სამსახურში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 12 მაისი

---

## ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მომქმე-დი, მჭრელი, მებრძოლი" - ნოე ჟორდანია

I.

"ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ", რა თქმა უნდა, მეტ-ნაკლებად, იმაში, რაც საქართველოში 1989-92 წლებში "ცუდი" მოხდა; და პასუხისმგებელი ვართ იმაშიც, რაც მოხდება მომავალში, რადგან მომავალი იბადება აწმყოსაგან. მაგრამ ვილაპარაკოთ არა ახლა ზოგადად, არამედ უფრო კონკრეტულ დროის კონკრეტულ მონაკვეთზე: ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ იმაში, რაც მოხდა არა-კანონიერი დაწყებული 1990 წლის 28 ოქტომბრიდან, როცა საქართველოში, მეორეჯერ, 1919 წლის თებერვლიდან, ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა პარტია-ორგანიზაციათა ბლოკმა "მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო".

II.

რა თქმა უნდა, იმ დროს, როცა საქართველოში დგას სამასი-ათასიანი უცხო ჯარი და ყოველი ჯურის უცხო "არამკითხე მოამბეები", რომლებიც ყოველი ძალღონით ცდილობენ და ცდილობენ საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის დესტაბილიზაციას,-ადვილი საქმე არ იყო პოზიცია-ოპოზიციის სტაბილიზაცია 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ბაზაზე. მაგრამ მთავარი დამნაშავეები მაინც ჩვენ, ქართველები ვართ, რადგან ჩვენ ჩვენი ერის გარეთ კი არ დავინახეთ საქართველოს მტრები, როგორც ეს იყო საქართველოში საუკუნეების განმავლობაში, არამედ თვით ჩვენ ერში მოვნახეთ "მტრები", რაც ისეთი მიმართულებით განვითარდა, რომ ჩვენ, ქართველებმა თვითონ დავანგრიეთ ქართველი ხალხისაგან სიმწრით აგებული ჩვენი დედაქალაქი, მისი ცენტრი - რუსთაველის გამზირი - და თან დავანგრიეთ ყველაზე უფრო სათუთი არსება-ჩვენი ეროვნული ერთობა; და, წარმოიდგინეთ, ჩვენში ისეთებიც კი აღმოჩნდა, რომ 6 იანვარს, 1992 წელს, როცა საქართველო დატოვა საქართველოს რესპუბლიკის ხალხისაგან არჩეულმა პრეზიდენტმა და თავი შეაფარა სომხეთს,-ზეიმობდნენ "გამარჯვებას" თითქოს ამ ვაჟბატონებს აღა-მაჰმად-ხანის ჯარები გაერეკოს თბილისიდან. აი, ასეთ სასაცილო-ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდით ჩვენ, ქართველები ჩვენი უგუნურების, ჩვენი პოლიტიკური მოუმწიფებლობის, ჩვენი პიროვნული ამბიციების გამო, რომლის დროს, როგორც ჩანს, პიროვნულმა თუ მოგონებულმა ამბიციებმა ჩაყლაპეს ეროვნული უზენაესობა, კანონის უზენაესობა, ჩვენი ხალხის მიერ გამოთქმული გადაწყვეტილების უზენაესობა.

III.

მაგრამ რაში გამოიხატა ჩვენი დანაშაული და თუ შეიძლება დავახასიათოთ ამგვარი ქართველები პიროვნულადაც? - საქართველოში ამგვარ დამნაშავეთა რიცხვს ეკუთვნიან ყველა, რომლებმაც უგულებელყვეს 1990 წლის ქართველი ხალხის ნებასურვილი, რომელიც მან გამოთქვა მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებში. მართალია, ვერც არჩეულებმა გამოიჩინეს საკმარისი მოქნილობა იმისა, რომ საქართველოში შექმნილიყო დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარი -პოზიცია-ოპოზიციის - ურთიერთობა. მაგრამ ეს ფაქტიც არავის, არც ცალკეულ პირსა და არც ცალკეულ პარტია-ორგანიზაციას არ აძლევდა უფლებას გადამტრებულიყო პოზიციის=

მთავრობის წინააღმდეგ არა-დემოკრატიული მეთოდებით, რაც გამოიხატა იმაში, რომ შეიქმნა "შეიარაღებული ოპოზიცია", რაც დემოკრატიის სრული უარყოფაა; და ბოლოს იარაღის ძალით ჩამოგდებულ იქნა ხალხისაგან არჩეული მთავრობა და პრეზიდენტი, რაც სამარცხვინო ფაქტია საქართველოს ისტორიაში საერთოდ. დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას იძულებული გახდა 1921 წლის 17 მარტს დაეტოვებინა საქართველო, რის შედეგად ნოე ჟორდანიას მთავრობამ თავი შეაფარა საფრანგეთს და იქიდან განაგრძო ბრძოლა ლენინ-სტალინის პოლიტიკური ოკუპანტების წინააღმდეგ; მაგრამ ეს ბრძოლა იყო საქართველოს ათასწლოვანი ბრძოლების განგრძობა, როცა ჩვენი ხალხი იბრძოდა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ; და ახლა? - ახლა მოხდა სამარცხვინო, დასაგმობი ფაქტი, როცა ჩვენი ხალხის ნაწილმა, ე.წ.-ლმა "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" ჩამოაგდო ჩვენი ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და "იზეიმა გამარჯვება". საფანელი კითხვა: ვისზე?.. ქართველ ხალხზე?.. საქართველოზე?.. თუ "შეიარაღებულ ოპოზიცია" ფიქრობდა(და ფიქრობს),რომ მხოლოდ ის არის ქართველი ხალხი?!..

IV.

ისევ იგივე კითხვა: ვინ არის ამ "შეიარაღებული ოპოზიციიდან" დამნაშავე?.. ყველა მისი მონაწილე მათი მეთაურების ჩათვლით?.. რატომ არ დაემორჩილნენ ეს ვაჟბატონები კანონის უზენაესობას,რაც დემოკრატიის საფუძველია საერთოდ?.. და თუ კანონის უზენაესობას თვით მთავრობა არღვევდა, რატომ არ შეეცადნენ ამის გამოსწორებას სწორედ დემოკრატიული ოპოზიციის კანონიერი მოქმედებით?.. რატომ დაადგნენ ქართველი ხალხის ეს ნაწილი "დესტრუქციული ოპოზიციის", ე.ი. "დამანგრეველი ოპოზიციის" გზას, რასაც მართლაც მოყვა თბილისის გულის - რუსთაველის გამზირის - დანგრევაც?.. მაკვირვებს: რას ფიქრობენ სიგუა-კიტოვანები, როცა რუსთაველის გამზირს რაკეტებსაც კი უშენდნენ?.. და ვინ მისცა ამ ვაჟბატონებს რაკეტები?.. ვითომ ამ "შეიარაღებული ოპოზიციის" ორგანიზატორი ედუარდ შევარდნაძე იყო, როგორც ამას წერს დიდი გერმანული ჟურნალი "შპიგელი"(16.3.1992 წ.)?..

V.

მაგრამ ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მომხდარ დესტრუქციულ მოვლენებში არა მარტო საქართველოში, არამედ ემიგრაციაშიც, როგორი მცირერიცხოვანიც არ უნდა იყოს დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური ემიგრაცია. ჯერ ერთი, რაც მთავარია, ვერავითარი საერთო ორგანიზაცია ვერ შევქმენით ემიგრაციის ცენტრში - პარიზში -,რომელიც მთელი პოლიტიკური ემიგრაციის საერთო აზრს მიაწვდიდა ჩვენს დედა-სამშობლო საქართველოს და იქ მომქმედ პოზიცია-ოპოზიციას. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ - ზოგიერთ შემთხვევებს გარდა - ყოველი ქართველი ემიგრაციაში მოქმედებდა და მოქმედებს ცალკე, მარტოდ-მარტო, რამაც გამოიწვია ისეთი დიდი დანაშაული ქართველი ერის წინაშე, როგორიც იყო,მაგალითად, ბატონ თამაზ ნასყიდაშვილის სამარცხვინო მოქმედება, როცა მან  ფრანგულ დიდ გაზეთში-"ლე მონდ" - გამოაქვეყნა პამფლეტი ქართველი ერისა და საქართველოს წინააღმდეგ და თავგამოდებით დაიცვა ოსი ექსტრემისტები, რომლებიც დღესაც სისხლის ღვარს აყენებენ საქართველოს გულში - შიდა ქართლში და ქართველთა ფიზიკური განადგურებისაკენ მიისწრაფვიან, რაშიც, გასაგებია, მათ იარაღითაც ეხმარებიან ყოველი ჯურის დიდმპყრობელი შოვინისტები. და ამგვარი "თავშიდაკრულები", დიდი იყოს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, - მრავალია პოლიტიკური ემიგრაციის რიგებშიც, თუმცა გაუგებარია ვინ უწერგავთ მათ ამგვარ ანტიქართულ ვაი-იდეოლოგიას; და აქ მაგონდება ქართული ხალხური სიბრძნე, როცა ხემ, ცხოვრების ხემ თქვა, რომ მე ნაჯახი რას დამაკლებდა, რომ ჩემი რჯულის ტარი არ ჰქონდეს მასო. ჩვენ, ქართველებს, საქართველოს ვერც ერთი დიდმპყრობელი-შოვინისტი ვერ დაგვამონებდა ისე, რომ მონური ცხოვრება  ავიტანოთ,-რომ თვით ჩვენში არ იყოს ყოველი ჯურის დიდმპყრობელი-შოვინისტების მონა-მორჩილები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან "ჩინ-მედლებზე" თუ"ოცდა-ათ ვერცხლზე" გაყიდონ თავიანთი მოძმეები და ამით საქართველოც.

VI.

ამაშიც ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ, რადგან ვერ მოვინახეთ ღერძი, დემოკრატიული ღერძი, რომლის ირგვლივ ადგილი ექნებოდა ყოველ ქართველს - როგორი პოლიტიკური მრწამსის არ უნდა იყოს ის. გასაკვირია მხოლოდ, რომ ამგვარი ღერძი ჩვენ ადვილად მოვნახეთ 1917-1921 წლებში, საქართველოს დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდის, საქართველოს "პატარა ოქროს ხანის" დროს, თუმცა საქართველოს მა-მინაც არანაკლები საშინაო და საგარეო მტერი ჰყავდა, განსაკუთრებით ქარ-თველი და რუსი ბოლშევიკების სახით, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, ისე დაასუს-ტეს, ისე დაქსაქსეს საქართველო , რომ დღეს, 1992 წელს, არა მარტო თბილისის გულის - რუსთაველის გამზირის - ნანგრევების წინაშე ვდგევართ. გასაკვირია აგ-რეთვე, რომ - ვნახეთ რა ვიდეო-ფილმები თბილისში არსებული მდგომარეობის შე-სახებ 1991-1992 წლების მიჯნაზე - გავიფიქრეთ: ღმერთმა ხომ არ გაწირა ქართველობა და საქართველო?.. ძველი რომაული სიბრძნეა, რომ იუპიტერი(ღმერთი) ხალხს რომ გასწირავს, მას პირველად აზროვნების უნარიანობას დაუკარგავს. ჩვენც, ქართველობას მართლა ღმერთმა ხომ არ დაგვაკარგვინა აზროვნების უნა-რიანობა? - აქამდე ვიდეოფილმებში, ჩვენ ვნახეთ ზვიად გამსახურდიას, ზუ-რაბ სიგუას თუ ზურაბ კიტოვანის და მრავალ სხვათა გამოსვლები, რომლებიც საქართველოს, ქართველ ხალხს - ერთი მხრივ - ერთობისაკენ მოუწოდებენ, ხოლო - მეორე მხრივ, იქვე - მოწინააღმდეგეთა თუ მტერთა უკომპრომისო დათმობისაგან უკან არ იხევენ, რომლის დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ არავინ, არც პოზიცია და არც "შეიარაღებული ოპოზიციის", ახლა საქართველოს ბატონ-პატრო-ნის მომხრეები ეროვნულ შერიგებისა კი არა, სისხლის აღებისაკენ მოუწოდებენ. წარმოიდგინეთ თვით ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც 1985 წლამდე, სანამ იგი მიხეილ გორბაჩოვთან ე.წ-ლი "გარდაქმნის" თანა-არქიტექტორი გახდებოდა, - საქართველოში სისხლის ღვარის დაყენებისაგანაც კი არ დაუხევია უკან, რომ-ლის ყველაზე საზარელი აქტი იყო 1989 წლის 9 აპრილის თბილისის ტრაგედია, -და ახლა - გახდა რა საქართველოს ე.წ-ლი "სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე" - თითქოს საქართველოს მოუწოდებს ეროვნული შერიგებისაკენ, როცა თქვა, რომ,- როგორც ამას გერმანული დიდი ჟურნალი "შპიგელი"(16.3.1992 წ.) წერს, - "...უნდა დავივიწყოთ ძველი მტრობა. გამსახურდიას აქვს უფლება დაბრუნდეს საქართველოში, რომ ხალხის ბედნიერებისათვის იმუშაოს". მაგრამ იქვე თქვა:

"...თუ მას ცეცხლის გახსნის ბრძანება არ გაუცია უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, არ მოუპარავს ხალხის ქონება ან არ იყო ჩაფლული კორუფციაში". ამგვარი განცხადება კი არის არა "ძველი მტრობის დავიწყება", არამედ "სის-ხლის აღება"; და თუ ამგვარი საზომით მიუდგები შევარდნაძის მოქმედებას სა-ქართველოში, მაშინ მას შეუძლია საქართველოს "მხსნელის" საპატიო სახელწო-დება შეინარჩუნოს, როგორც მას ირონიულად უწოდებენ დასავლეთ ევროპის არაერ-თი ჟურნალისტი?.. თუ ფიქრობს ედუარდ შევარდნაძე, რომ ის მამა აბრამის ბატ-კანია და გამსახურდია და მისი მომხრეები სატანები?.. განა ამ გზით შესაძლე-ბელია ეროვნული შერიგების მიღწევა?..

## VII.

და, ისევ ავღნიშნავთ: ყველაფერ ამაში ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ ამ სტრიქო-ნების დამწერის ჩათვლით, რადგან არაფერს არ ვაკეთებთ, ან ვერ ვაკეთებთ იმი-სათვის, რომ - როცა საქართველო, ქართველი ერი განსაცდელშია - დავივიწყოთ ძველი თუ ახალი მტრობა და ერთად შევუდგეთ "ქართული დემოკრატიის", დიახ, ქართული დემოკრატიის ისევ აღდგენასა და განმტკიცებას საქართველოში. უნდა გავიხსენოთ, რომ ცნება "ქართული დემოკრატია" დასავლეთ ევროპელებმა შექმნეს, როცა 1920 წელში იმოგზაურეს დამოუკიდებელ საქართველოში და ის სანიმუშო დემოკრატიად მიიჩნიეს მსოფლიო მასშტაბითაც კი, რადგან ქართული დემოკრატია იყო სოციალური დემოკრატია. "მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობი-ლი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაშიო", წერდა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ბრიტანეთის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ - რამ-სეი მაკ-დონალდი. და რა მოგვივიდა დღეს, რომ ყოველი ქართველი მეორე ქართ-ველში "მტერს","მოსისხლე მტერს" ხედავს?..

## VIII.

მერმეთ: საქართველოს გენერალური პროკურორი ბრალდებას უყენებს ზვიად გამსა-ხურდიას სახელმწიფო ქონების მითვისებაში თუ კორუფციაში, მაგრამ ნუთუ უფრო დიდი დანაშაული არ არის საქართველოში თითქმის სამოქალაქო ომის გაჩაღება, რომელმაც იმსხვერპლა ასობით ქართველობა და თბილისის გული - რუსთაველის პროსპექტი - ნანგრევებად აქცია?.. და ვინ არის ამ ბარბაროსულ მოქმედება-ში დამნაშავე?.. მხოლოდ ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები ან მხოლოდ თენგიზ სიგუა,თენგიზ კიტოვანი თუ ჯაბა იოსელიანი და მათი მომხრეები?..

ხა როლი ითამაშა ყველა ამ ტრაგიკულ მოვლენებში ედუარდ შევარდნაძემ და მისმა მომხრეებმა?.. და კიდევ უფრო მეტი: თვით ზვიად გამსახურდია, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა, ჯაბა იოსელიანი და მათი "ბედაური" ედუარდ შევარდნაძე – ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად – "ცენტრის"(თუ სხვების)დიდმპყრობელ მოკინისტთა მარიონეტები ხომ არ იყვნენ თუ არიან?.. და ყველაფერ ამაში ჩვენ ყველა, მთელი ქართველობა დამნაშავე არ ვართ, ვინაიდან ვერ შევძელით ამ ეროვნული ტრაგედიის თავიდან აცილება?..

IX.

ულავოა, ჩვენ ყველა დამნაშავე ვართ, მეც-ნაკლებად, რადგან ეროვნული შერიგე-
ბის ფორმულა ვერ მოვნახეთ ახლაც, როცა პოზიცია-და-ოპოზიცია თბილისის ნან-
გრევებზე ზის და იმის მაგივრად, რომ როგორმე საერთო ენა გამოინახოს ერო-
ვნული ერთობის მიღწევისათვის, ერთმანეთს ისევ კალაშნიკოვებით და რაკეტებით
კი ვემუქრებით და ვებრძოლებით, რომლის დროს ამ შეიარაღებას საქართველოში
განლაგებული სამასი-ათასიანი უცხო ჯარი იმას აჭველის, რომლის გამარჯვება
მას სურს, ე.ი. დიდმპყრობელი-მოკინისტები ზეიმობენ გამარჯვებას, ჩვენ ქარ-
თველები კი უკვე მონებად ვართ ქცეული, რადგან, მეც-ნაკლებად, საქართველოს
მტრების ანკესზე ვართ წამოგებული.

X.

და თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ ჩვენი ეროვნული დანაშაული ეროვნული შერიგე-
ბისათვის მოქმედებით არ უნდა გამოვისყიდოთ?.. ჩვენ ვერ უნდა შევიგ-
ნოთ, რომ პოზიცია-ოპოზიცია და მათ მიერ ერთმანეთის დაუნდობელი კრიტიკა
კი არასოდეს, ვიმეორებ, არასოდეს შეიარაღებულ ოპოზიციაში არ უნდა გადაი-
ზარდოს?.. და ჩვენ ვერ უნდა შევიგნოთ, რომ დემოკრატიის ორგანოა მოქა-
ლაქეთა უმრავლესობა; აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრე-
ლი, მებრძოლი, როგორც ამას ნოე ჟორდანია გვასწავლის?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 12 მაისი

---

## ჯონ(ივანე) შალიკაშვილი ნატოს მთავარსარდალი

ამერიკელი, წარმოშობით ქართველი, ორმოცდათუთხმეტი წლის გენერალი – ჯონ(ივანე) შალიკაშვილი დანიშნულია ნატოს – ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაციის – მთავარსარდლად და შეცვლის ამ პოსტზე გენერალ გალვინს. (North Atlantic Treaty Organization - NATO).

გენერალი ჯონ შალიკაშვილი არის პოლკოვნიკ შალიკაშვილის ვაჟიშვილი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მის დედ-მამასთან ერთად, გადასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მან დაამთავრა ამერიკის ცნობილი სამხედრო აკადემია –'უესტ-პოინტ' – და განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მისი მოღვაწეობით ნატოში.ნატო კი, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბებულ იქნა 1949 წლის 4 აპრილს დადებული ხელშეკრულებით, როგორც ალიანსი საბჭოთა კავშირის მუქარის წინააღმდეგ. ნატოს პირველი მთავარსარდალი იყო გენერალი ეიზენჰაუერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი და შემდეგ, რვა წლის განმავლობაში, ამერიკის პრეზიდენტი იყო.

ან უკვე 'ოთხვარსკვლავიანი', ე.ი.ამერიკის უმაღლესი ჩინის გენერლის შალიკაშვილის დანიშვნას ნატოს მთავარსარდლად, უცხოეთის პრესა იხილავს როგორც 'მიყურადებას აღმოსავლეთისაკენ'('ფიგარო', 6.5.1992), რადგან მას, ვინაიდან მისი დედა პოლონელი იყო, პოლონური წარმოშობის ამერიკელად თვლიან.

(General John Shalikashvili).

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი მეოთხე

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## პ ი რ ვ ე ლ ი   მ ა ი ს ი

### თამარობა და საერთაშორისო შრომის დღე

I.

პირველ მაისს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სრულიად საქართველოს ეკლესიამ თამარ მეფე წმინდანად შერაცხა, - საქართველო, ქართველი ხალხი ყოველწლიურად აღნიშნავს თამარობას, ხსენების დღეს "წმიდისა კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა".

II.

მეფეთა-მეფე თამარი არის დიდი დავით აღმაშენებლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი სიდიადის ღირსეული მემკვიდრე, რომელმაც, შამქორისა(1195 წ.) და ბასიანის(1203 წ.) ბრძოლებში გამარჯვებით, - დააგვირგვინა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების "ოქროს ხანა", რის შედეგად თამარ მეფე იქცა ქართველი ხალხის სათაყვანებელ პიროვნებად.
და თუ დავით აღმაშენებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მეობის სიმბოლო გახდა, თამარ მეფე ქართველი ხალხის, საქართველოს მშვენიერების სიმბოლოდ იქცა, რაც იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ დიდ მოღვაწეებიდან, მეფეთა-მეფე თამარისადმი არის მიძღვნილი ყველაზე მეტი პოემა, ლექსი თუ ლეგენდა, რომელთა გვირგვინი დიდი შოთას "ვეფხისტყაოსანი".

III.

ამგვარად, - მიუხედავათ იმისა, რომ "ოქროს ხანიდან" უკვე თითქმის 800-ზე წელიწადი გავიდა, - თამარ მეფე დღესაც გზას გვინათებს; თუმცა ამ რვა საუკუნის განმავლობაში საქართველომ, როგორც სახელმწიფომ დიდი უბედურება და ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დაუნდობელი დარბევა-დანაწილება განიცადა.

IV.

საქართველოს, ქართველ ხალხს სახელმწიფოებრივი ერთობისაკენ ისევ გაუხსნა გზა, როცა საერთაშორისო მასშტაბის თავისუფლების ზარებმა დაიწყეს რეკვა, ჯერ - ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა ამერიკელმა ხალხმა თავი გაინთავისუფლა უცხო კოლონიზატორებიდან, რის შედეგად 1776 წლის 4 ივლისი ყველა დაპყრობილი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო გახდა.

და როცა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ლოზუნგი - თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა - საერთაშორისო ღირებულებად იქცა, და 1789 წლის რევოლუციის 100-ი წლისთავზე, პარიზში, 1890 წლის ივლისში, ერთდროულად, ორი სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი ჩატარდა, უკვე წამოყენებულ იქნა თავისუფლება-თანასწორობა-ძმობის კონკრეტული ლოზუნგები: მეორე ინტერნაციონალის ერთი კონგრესი მოწვეულ იქნა ბრიტანეთის არამარქსისტულ პროფკავშირებისა და ფრანგი "პოსიბილისტების" მიერ; ეს უკანასკნელი, რომლის მეთაური იყო პოლ ბრუსი, უარყოფდა რადიკალურ ცენტრალიზმს, და ემხრობოდა "შესაძლებელ" რეფორმების გზას. სხვა კონგრესი მეორე ინტერნაციონალისა მოწვეულ იქნა არსებითად მარქსისტული მუშათა ორგანიზაციების მიერ, და ამ მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა დაადგინა ყოველი წლის პირველ მაისს აღინიშნულ იქნას საერთაშორისო სამაისო დღესასწაული, როგორც შრომის დღე, რომელიც პირველად აღინიშნულ იქნა 1890 წლის პირველ მაისს გერმანიაში, დანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ესპანეთში თუ ამერიკის შეერთებულ შტატებში. პირველი მაისი კი გახდა საერთაშორისო შრომის დღე იმიტომ, რომ ამით აღნიშნულ იქნა ჩიკაგოს მუშების გაფიცვა 1886 წლის პირველ მაისს რვა-საათიანი სამუშაო დღის მოთხოვნით, რასაც მოყვა მუშათა დემონსტრაცია, რომელიც სისხლში ჩაახშო პოლიციამ.

V.

საქართველოში პირველი მაისის დღესასწაული პირველად ჩატარდა 1898 წელს "მესამედასელების" მეთაურობით; 1899 წელს პირველმაისობა უფრო ორგანიზებულად ჩატარდა, რომლის დროს გამოცემულ იქნა პროკლამაცია; 1900 წელს, პირველი მაისის დღესასწაული ჩატარდა ქალაქგარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუთასამდე კაცმა. 1901 წელს კი საპირველმაისო დემონსტრაცია გაიმართა თბილისის ცენტრში, რომლის დროს ხელჩართულ ბრძოლას ჰქონდა ადგილი მუშებსა და პოლიციას შორის, რომლის შედეგად მრავალი დაიჭრა, ბევრი დააპატიმრეს და რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლეს.

VI.

სა-ერთა-შორისო შრომის დღესასწაულის აღნიშვნა საქართველოში განაპირობა "მესამე დასის" დაარსებამ, 1893 წლის 7 თებერვალს, და მისი სამოქმედო პროგრამის მიღებამ, რომლის საყრდენი გახდა ლოზუნგები -"ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა". აქ, ამ საყრდენი ლოზუნგებით,"მესამე დასმა", ე.ი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დააკავშირა ერთმანეთთან "ნივთიერი კეთილდღეობა" და ერისა და პიროვნების თავისუფლება, რაც მანამდელი მსოფლიოს არც ერთ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ გააჩნდა თავიანთ პროგრამაში.

VII.

"ნივთიერი კეთილდღეობისა" და "ერისა და პიროვნების თავისუფლების" ერთმანეთთან დაკავშირებით კი, "მესამე დასელებმა", ე.ი.საქართველოს სოციალდემოკრატიულმა პარტიამ, ერთიან ჩარჩოში ჩასვა "თამარობისა" და "შრომის დღესასწაულის" ერთობა: "თამარობის" იდეა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის კრედო, დაკავშირებულ იქნა "ნივთიერ კეთილდღეობასთან",როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა და ერისა და პიროვნების თავისუფლებასთან, რაც დიდი პროგრესია წინ: სუვერენი უნდა იყოს ხალხი, უფრო ზუსტად,"ხელმწიფება ეკუთვნის მთელ ერს. პარლამენტი კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას",-განსაზღვრავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მოქმედებაში იყო საქართველოში 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს.

VIII.

ამდენად,პირველი მაისი ქართველი ერის, საქართველოს და,ამავე დროს, საერთა-შორისო შრომის დღესასწაულია, რომელიც ერთობაა "თამარობისა"=ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობისა და "შრომის დღისა", რაც ნივთიერ კეთილდღეობას ერისა და პიროვნების ხელმწიფებასთან აკავშირებს.

IX.

ამგვარად, "თამარობის" თითქმის რვაასწლოვანი ტრადიცია შეეზარდა "პირველმაისობის", ან უკვე ას-წლოვან ტრადიციას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის იდეას ავსებს "ნივთიერი კეთილდღეობით", როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა,და თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვრით - ერისა და პიროვნების თავისუფლებით.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 1 მაისი

---

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ცდილება, თავისთავის მკაცრი კონტროლი, შეიძლება,თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო გაბედულად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

## "ყველა ერს მივცემთ თავისუფლებას - ქართველ ერს არა!"

I.

"ყველა ერს მივცემთ თავისუფლებას, მაგრამ ქართველ ერს არა!" - არაერთხელ უთქვამთ ჩემთვის ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტ პოლიტიკური სჯა-ბაასის თუ "დაუწყობელი" დისკუსიის დროს, რომელზედაც ჩემი პასუხი იყო ყოველთვის: "თავისუფლებას კი არ იძლევიან, არამედ მოპოვება უნდა!" და ჩემი ამგვარი პასუხი დიდმპყრობელ-შოვინისტებსა და მის თით-ორიდა ქართველ მონებში ღიმილს იწვევდა, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ "პატარა" საქართველოს არავითარი "ძალა" არ გააჩნია თავი დააღწიოს დიდმპყრობელ-შოვინისტებისა და მათი ქართველი მონების დიქტატს, თუმცა მე, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი, მაინც ვამბობდი და ვამბობ, რომ თავისუფლებას კი არ იძლევიან, არამედ მას მოპოვება უნდა, თუ აუცილებელია, სიცოცხლის გაწირვითაც კი.

II.

და ეს მოხდა 1991 წლის 22 დეკემბერს თბილისში დაწყებული "შეიარაღებული ოპოზიციის" სისხლიან მოქმედებასთან დაკავშირებით, როცა ბატონები თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი თუ გიორგი ჭანტურია - გულმოდგინეთ შეუდგნენ, მათ "შეიარაღებულ ოპოზიციასთან" ერთად, საქართველოს გულის - თბილისის - უმშვენიერესი უბნის - რუსთაველის გამზირის - დაბომბვას რაკეტებითაც კი, თუმცა უცნობია ვინ დგას ამ ვაჟ-ბატონების უკან. მაგრამ მათთვისაც კარგად ცნობილია, რომ ისინი ებრძვიან საქართველოს ხალხის მიერ დიდი უმრავლესობით არჩეულ პრეზიდენტს - ზვიად გამსახურდიას - და ასევე ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - უზენაეს საბჭოს და საქართველოს მთავრობას. ნუთუ ამ ვაჟ-ბატონებმა დაკარგეს ჯანსაღი აზროვნების უნარიანობა?.. თუ მათ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა არ მოსწონდა, განა მის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეეძლოთ მათ დემოკრატიული ხერხებით, რომ მოეპოვებინათ საქართველოს ხალხის უმრავლესობის მხარდაჭერა?..

III.

გასაკვირია, გასაკვირი ის ფაქტი, რომ მათ პუტჩისტობა აირჩიეს, თუმცა მათ თვალწინ მოხდა პუტჩისტების სასტიკი დამარცხება მოსკოვში 19-21 აგვისტოს, 1991 წელს, რომლის დროს რუსმა ერმა დიდი, დიდი დემოკრატიული ნებისყოფა გამოამჟღავნა, როცა რუსის ჯარისკაცებმა რუს დემონსტრანტებზე ცეცხლის გახსნაზე უარი თქვა და ხალხთა ერთად მოახდინა პუტჩისტების გარიყვა.
საინტერესოა, როცა ბატონი თენგიზ სიგუა, ბატონი თენგიზ კიტოვანი, შემდეგ, ბატონი ჯაბა იოსელიანი თუ ბატონი გიორგი ჭანტურია რაკეტებს უშენდნენ - როგორც "მშიერი" წურს - კავკასიის მთების იქეთ ყველაზე უფრო მშვენიერ რუსთაველის გამზირს და ანგრევდნენ ამ უნიკალურ ნაგებობებს, - რაზე ფიქრობდნენ ეს ვაჟ-ბატონები?.. "საქართველოს თავისუფლებაზე?" თუ "საქართველოს დანგრევაზე?!.." ვინ არის დამნაშავე ამ ჩვენს ეროვნულ ტრაგედიაში?.. მხოლოდამხოლოდ ზვიად გამსახურდია?.. მაგრამ ზვიად გამსახურდიას უკან რომ საქართველოს ამომრჩეველების 87 პროცენტი დგას?.. ესენიც ყველა დამნაშავეა ზვიად გამსახურდიასთან ერთად?.. მაშინ, გამოდის რომ, ქართველი ერის დიდი, დიდი უმრავლესობა "დამნაშავეა" და "მართალი" სიგუა-კიტოვან-იოსელიან-ჭანტურია არიან; და თუ ასე ფიქრობენ პუტჩისტები, მაშინ უნდა შევეცადოთ არა მარტო ზვიად გამსახურდია, არამედ თვით ქართველი ერიც და "ავირჩიოთ" ახალი ქართველი ერი. ნუთუ ვერ ხედავენ პუტჩისტები რა აბსურდულ მდგომარეობაში იმყოფებიან?.. შემდეგ: რა როლს თამაშობს ამ "პოლიტიკურ ჯუნგლებში" ედუარდ შევარდნაძე და გორბაჩოვის თუ ელცინის მოსკოვი?.. ევროპა უკვე ირონიულად ლაპარაკობს ედუარდ შევარდნაძეზე, როცა მან "შეიარაღებული ოპოზიციის" გამარჯვებისთანავე მოსკოვში განაცხადა, რომ საქართველოში "დიქტატურა დამარცხდა" და "გაიმარჯვა დემოკრატიამ", და რომ მან შუამავლობა შესთავაზა პუტჩისტებს.

IV.

როგორ? მოსკოვის პუტჩისტებს, რომლებსაც ერთი ტყვიაც კი არ გაუსროლიათ მოსკოვში 1991 წლის 19-21 აგვისტოს, სასტიკად გმობს ედუარდ შევარდნაძე, ხოლო ქართველ პუტჩისტებს დემოკრატიის მხსნელებად გვისახავს?.. ვითომ ბორის ელცინი უფრო ეროვნული დემოკრატია, ვიდრე ზვიად გამსახურდია?..

მერმეთ: მთავრობისა და "შეიარაღებული ოპოზიციის" გაუთავებელი შეჯარა-შეტაკებების დროს, რატომ არსად არ ჩანდა საქართველოს "ზომიერი" პარტია-დაჯგუფებები თუ უწყებები, რომლებსაც მართლაც შუამავლის როლი შეეძლოთ ეთამაშათ?.. ჩვენ კარგად გვახსოვს თუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა როგორც ცდილობდა დემონსტრანტების დაერწმუნებინა 1989 წლის 9 აპრილის წინ, თუმცა დემონსტრანტებმა მას არ დაუჯერეს, რასაც მოჰყვა 9 აპრილის ტრაგედია. მაშინ "შუამავლობა" მეტად რთული საქმე იყო, რადგან რუსის ჯარი დაპირისპირებული იყო ქართველი დემონსტრანტებისადმი, რასაც მოჰყვა ქიმიური საწამლავი ნივთიერებების გამოყენებაც კი. მაგრამ ახლა? - ახლა ხომ "ერთგული მაგიერის" პოზიცია-ოპოზიცია დაუპირისპირდა ერთმანეთს, ესე-იგი, ქართველებმა იარაღი ხელში აიღეს ქართველების წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა ბევრად მეტი მსხვერპლი, ვიდრე 9 აპრილის ტრაგედიას. და ამ დროს რატომ არ შეეცადა საქართველოს საპატრიარქო თავისი დიდი ავტორიტეტი გამოეყენებინა ქართველთა მხარეებზედ?.. ნუთუ მოსკოვის 19-21 აგვისტოს პუტჩი, როცა რუსმა ჯარისკაცებმა რუს დემონსტრანტებზე ცეცხლი გახსნაზე უარი თქვეს, რასაც მოჰყვა პუტჩისტების დამარცხება, - კარგი მაგალითი არ იყო ქართველი "შეიარაღებული ოპოზიციისათვის?.." ვითომ რუსის ერმა უფრო დაიცვა დემოკრატიის პრინციპები, როცა არ მიემხრო პუტჩისტებს, ვიდრე ქართველმა ერმა, როცა მოითმინა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის განდევნა და პუტჩისტების გაბატონება?..

V.

რა თქმა უნდა, ყოველი ჯურის დიდმპყრობელი-შოვინისტები საქართველოს დასამონებლად ყოველთვის ისევ ქართველებს იყენებდნენ, ბატონობდა საქართველოში მეფის რუსეთი თუ ბოლშევიკური რუსეთი; და ქართველობა მონურად ემსახურებოდა კრემლს. ვითომ ახლაც იგივე მდგომარეობაა?.. ვითომ რაც საქართველოში მოხდა თუ მოხდება, ამის ავტორები კრემლში ზიან, ხოლო ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ დიდმპყრობელ-შოვინისტების წინაშე "პირველობა" მოიპოვონ?.. და აქ არის საქართველოს, ქართველი ერის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის აქილევსის ქუსლი: უკვე ორი საუკუნეა მართლდება დიდმპყრობელ-შოვინისტების მრწამსი: "ყველას მივცემთ თავისუფლებას, მაგრამ საქართველოს, ქართველ ერს არა!" და ამ ლოზუნგის განხორციელებაში, ყოველი ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტი იყენებდა და იყენებს ისევ ქართველებს, ამჯერად, ორჯონიკიძე-მახარაძის მემკვიდრეებს, რომელთაგან თავის დაღწევა ქართველმა ერმა ვერ შეძლო, თუმცა ბევრი სისხლი დაღვარა ამ სასოწარკვეთილ ბრძოლაში.

VI.

ამგვარად, საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მთავარი მტრები თვითონ ჩვენს რიგებშია: სიგუა-კიტოვან-იოსელიან-ჭენტურიასათვის, როგორც ჩანს, უფრო მნიშვნელოვანია ისინი არიან პრეზიდენტები თუ არა, ვიდრე საქართველოს, ქართველი ერის ბედი, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა. რა თქმა უნდა, ისინიც, უთუოდ, მომხრეებია 26 მაისის დიადი იდეებისა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არიან საქართველოს ხელმძღვანელები, ესე-იგი, პიროვნულ ამბიციებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ბედ-იღბალს.

VII.

დამარცხებულ პუტჩისტებს ბორის ელცინის მართლმსაჯულება საგანგებო სასამართლოში მიცემას უპირებს, რაც "მოღალატეობის" ბრალდებისაგანაც კი არ იხევს უკან; საქართველოში კი პუტჩისტები "გამარჯვებულები" არიან და, როგორც ცნობილია, "გამარჯვებულებს" ვერავინ ვერ დასჯის. მაგრამ, საინტერესოა, რა პასუხს აძლევენ ეს ჩვენი "გამარჯვებულები" არა პირადათ ზვიად გამსახურდიას, რომელიც - მათი თენგიზ სიგუას აზრით - "სულიერი ავადმყოფი" კი ყოფილა, - არამედ საქართველოს ამომრჩევლების იმ 87-ც პროცენტს, რომელმაც სწორედ ზვიად გამსახურდია აირჩია საქართველოს პრეზიდენტად 1991 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს?.. ნუთუ "გამარჯვებულებმა" არ იციან, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის გადაყენება, კიდევ მეტი, სამშობლოდან განდევნა მხოლოდ იმავე ხალხს, ამომრჩევლებს, ამომრჩევლების უმრავლესობას შეეძლო?.. და თუ ეს ასეა,- და ეს ასეა უთუოთ, - მაშინ ვითომ ახალი არჩევნების ჩატარებით შეიძლება ამ გამოუვალ მდგომარეობიდან გამოსვლა?.. და თუ ახალი არჩევნები ჩატარდება, თვით ზვიად გამსახურდიასაც და ამით მის მიმდევრებსაც ხომ უნდა ჰქონდეთ სრული თავისუფლება მონაწილეობა მიიღონ ამგვარ "ახალ არჩევნებში?.."

VIII.

და თუ ახლა "ახალი არჩევნები" ჩატარდება, და, ვთქვათ, მისი შედეგები არ იქნება "სამხედრო საბჭოსათვის" სასარგებლო, მაშინ კიდევ ახალი "შეიარაღებული ოპოზიციის" სისხლის ღვრამდე მივდივართ, როგორც ეს მოხდა ახლა ჩვენს თვალწინ?.. თუ "შეიარაღებული ოპოზიცია" ფიქრობს მხოლოდ ის არჩევნებია ნამდვილად დემოკრატიული, რომელშიც ისინი გაიმარჯვებენ?!.. საკითხის ამგვარი სამართლიანი წამოჭრაც კი ნათელჰყოფს თუ რა ჩიხში მოაქცია 1990 წლის 28 ოქტომბერს დაწყებული ქართული დემოკრატიული პროცესი-მხედრობა ბატონებმა თენგიზ სიგუამ, თენგიზ კიტოვანმა, ჯაბა იოსელიანმა თუ გიორგი ჭანტურიამ, რა თქმა უნდა, თვით ბატონ ზვიად გამსახურდიას დაუფიქრებელი თუ ნაჩქარევი ნაბიჯებით, რომლის დროს ვერც პოზიციამ და ვერც ოპოზიციამ ვერ გამოიჩინა "ჯანსაღი აზროვნების" უნარიანობა, მომთმენლობა, სხვადასხვაგვარად მოაზროვნეთა პატივისცემა, რის შედეგია ის, რომ ახლა ყველა - პოზიცია თუ ოპოზიცია - ვდგევართ ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის ნამსხვრევების პირისპირ, საიდანაც გამოსავალი გზის მონახვა და, მით უმეტეს, განხორციელება მეტად რთული საქმეა, მით უმეტეს მაშინ, რომ არავითარი გარანტია უკვე აღარ არსებობს იმისა, რომ ამ "ახალი არჩევნების" შემდეგ გარკვეული პოზიცია-ოპოზიცია ისევ იარაღს არ მოკიდებს ხელს, რომ აამხედრებს "შეიარაღებული ოპოზიცია" პოზიციის წინააღმდეგ, რის პრეცედენტი, როგორც ავღნიშნეთ, უკვე მოგვცა, 1991 წლის 22 დეკემბრიდან დაწყებული, "შეიარაღებული ოპოზიციამ", რაც ამ "შეიარაღებული ოპოზიციის" "გამარჯვებით დამთავრდა 1992 წლის 6 იანვარს, როცა ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველოს ტერიტორია.

IX.

აქ კიდევ ერთი არც ისე უმნიშვნელო შენიშვნა: როცა 1921 წლის 17 მარტს საქართველოს ხალხის დიდი უმრავლესობით არჩეულმა მთავრობამ, ნოე ჟორდანიას მეთაურობით დატოვა საქართველოს ტერიტორია, ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ საქართველოს ტერიტორია დატოვა საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, რომ ბრძოლა გაეგრძო უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ საზღვარგარეთიდან. ვითომ ახლა საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებით დატოვა საქართველო, რომ ბრძოლა განაგრძოს, ამჯერად, მისი უკანონოდ გადაყენების წინააღმდეგ უცხოეთიდან?..

X.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სულ რაღაც ერთი წლის ჩვილი დემოკრატია დამსხვრეულია, რომლის გამრთელება უფრო რთული პრობლემების წინაშე გვაყენებს ჩვენ, ქართველებს, საქართველოს მოსახლეობას, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა 1921 წლის თებერვალ-მარტში, რადგან მაშინ ნათელი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენობის მტრები იყვნენ რუსი და ქართველი ბოლშევიკები, და ახლა? - ვინ დგას თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის თუ გიორგი ჭანტურიას უკან? ეს, ვფიქრობთ თვითონ მათაც არ იციან, ვინაიდან მოქმედებენ და მოქმედებდნენ დაუფიქრებლად, როცა სჯეროდათ, რომ ზვიად გამსახურდიას დამარცხება-განდევნა ხელის ერთი მოსმით მოაგვარებდა ყველა იმ რთულ და მრავალფეროვან პრობლემას, რომლის წინაშეც დგას დღეს საქართველო. გასაკვირია, ახალი ზერელე ანალიზის უნარიანმა ადამიანებმა როგორ მიიმხრო ის "შეიარაღებული ოპოზიციონერები", რომლებიც ჩვენს შესანიშნავ დედაქალაქს და მის თვალწარმტაც რუსთაველის გამზირს ისე ბომბავდნენ რაკეტებითაც კი, რომ თითქოს სადისტურ კმაყოფილებასაც კი განიცდიდნენ ამ დროს, როგორც ეს ნათლად გვაჩვენა ტელეხედვამ, როცა ერთი "შეიარაღებული ოპოზიციონერი"(ახლა უკვე "პოზიციონერი") შამპანიურის აქაფებული გახსნით ზეიმობდა გამარჯვებას; გამარჯვებას, მაგრამ ვისზე? - ვფიქრობ, ამდენი ჩაჩიქრების უნარიანობა არც კი გააჩნდა (არა მარტო) ამ აღტკინებულ გამარჯვებულებს კი?.. და მე ვხედე რა ამ აღტკინებული "გამარჯვებულის" სურათებს გერმანიის ტელეხედვის ეკრანზე, გავიფიქრე: ხომ არ ფიქრობს ეს "გამარჯვებული" თითქოს აღა-მაჰმად-ხანის ჯარების გაერეკოს თბილისიდან?!..

XI.

გავიხსენოთ ისევ დიდმპყრობელ-შოვინისტებისა და მათი ქართველი - შეგნებული თუ შეუგნებელი - მინიონების ლოზუნგი: "ყველა ერს მივცემთ თავისუფლებას, მაგრამ ქართველ ერს არა!" ვითომ ჩემი შენიშვნა ამ ლოზუნგზე, რომელიც არაერთხელ მიიქვამს დიდმპყრობელ- შოვინისტებისა და მათი ქართველი მინიონების-

თვის - "თავისუფლებას კი არ იძლევიან, არამედ მოპოვება უნდა" - მართლა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, თუ მხედველობაში მივიღებთ სიგუა-კიტოვან-იოსელიან-ჯანგირიას "საქმე-საგმიროს" თბილისში, ჩვენ დედაქალაქში, დაწყებული 1991 წლის 22 დეკემბრიდან, როცა იარაღის ძალით აღუდგენ ხალხის მიერ არჩეულ საქართველოს ხელმძღვანელობას და ორი კვირის სისხლიანი ბრძოლების შემდეგ, - ჩვენი რუსთაველის პროსპექტის - ამ შესანიშნავი გამზირის ნანგრევებზე - "გამარჯვებულთა პოზებით" ჰოკვევლინებ?..

XII.

განა შეძლებენ ეს კაუბოურნები უკანონო შეიარაღებული მოქმედება ქართველ ხალხს კანონიერ მოქმედებად მოაჩვენოს?.. ამ სტრიქონების დამწერი საქართველოს ახალ ხელმძღვანელობას - ზვიად გამსახურდიას - შეპაერობით, არა-ერთხელ აკრიტიკებდა, რადგან მან ვერ გამონახა საერთო ენა ოპოზიციასთან, მაგრამ ვის აქვს უფლება - თუ ჩვენ დემოკრატები ვართ - ხალხის ხმა უყურადღებოდ დატოვოს და იარაღის ძალით ჩამოაგდოს ან განდევნოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი და საკანონმდებლო ორგანო - პარლამენტი?.. განა ხალხის ხმა ღვთის ხმა არ არის და არჩეული პრეზიდენტის თუ პარლამენტის გადაყენება-დამხობა მხოლოდ ხალხის უმრავლესობის ძირითადი უფლებაა, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში მხოლოდამხოლოდ ხალხი, მოქალაქეებია სუვერენი, და არა "შეიარაღებული ოპოზიცია",რაც დემოკრატიის უარყოფაა საერთოდ?..

XIII.

"ყველა ერს მივცემთ თავისუფლებას, ქართველ ერს არა" - ეს ლოზუნგი ყველა ჯურის დიდმპყრობელ-შოვინისტებს შეიძლება მართლაც სჯეროთ, მაგრამ ივიწყებენ, რომ ქართველი ერის, საქართველოს თავისუფლება, მიუხედავად კრემლის ათასგვარი მახინაციებისა საქართველოს ამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში, - მარტო რუსეთზე არ არის დამოკიდებული, თუმცა დღეს რუსეთის იმპერიის შენარჩუნებისათვის იღწვიან დასავლეთის არაერთი დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკური მოღვაწეები. საქართველოს, ქართველი ერის თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ერის, ქართველი ხალხის საქმეა, და ჩვენ გვჯერა, რომ - მიუხედავად დიდმპყრობელ-შოვინისტებისა და მათი მონების ორჯონიკიძე-მახარაძეთა მემკვიდრეების ანტი-ქართული მოქმედებისა - ქართველი ხალხი შესძლებს 26 მაისის დიადი იდეების ისევ-განხორციელებას.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის იანვარი

## "კ ი ს ე რ მ ო ტ რ ე ხ ი ლ ე ბ ი..."

## "W e n d e h ä l s e..."

I.

"Wendehals", "Wendehälse"-ს, ე.ი. "კისერმომბრუნებულს","კისერმომბრუნებულებს" უწოდებენ გერმანელები ყოფილი"გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის" ზოგიერთ ხელმძღვანელებს, რომლებმაც, მსგავსად ანტიკური რომის იანუსის ღვთაებისა, რომელსაც გააჩნდა ორმაგი სახე, რომელთაგან ერთი "წარსულისაკენ", ხოლო მეორე "მომავლისაკენ"იხედებოდა, - უცბათ "დემოკრატები" გახდნენ და ისევ შეეცადნენ დემოკრატიული სახელმწიფოს სათავეში მოქცევას, რამაც, გასაგებია, გამოიწვია ხალხის აღშფოთება, თუმცა ამ ყოფილ კომუნისტ ბონზებს არავინ არ ავიწროებს და სრულად სარგებლობენ დემოკრატიული სახელმწიფოს დემოკრატიული უფლებებით; გამონაკლისია მხოლოდ ის პირები, რომლებმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რომელთა საქმეებს მართლმსაჯულების ორგანოები იხილავენ. მაგრამ "კისერმომბრუნებულების", მე ვიტყოდით, "კისერმოტრეხილების" გვერდით, არსებობს აგრეთვე ზოგიერთი ყოფილი კომუნისტი "ბონზები", რომლებსაც მე "კისერგაშეშებულებს"="Steifhälse" ვუწოდებდი, მაგრამ გერმანელებმ"Betonköpfe"= "ბეტონისთავებს" უწოდებენ, რადგანაც ისინი აქ უკვე გაკოტრებულ ლენინიზმს ებღაუჭებიან. გერმანელი ხალხის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამგვარი "კისერმოტრეხილები" და "ბეტონის თავე-

ბი" გამოთიშული არიან დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლებისა და პარტიების ხელმძღვანელობისაგან, თუმცა ზოგიერთები მაინც ახერხებენ "მეორეხარისხოვან" თანამდებობათა ხელში ჩაგდებას, რაც - თავის მხრივ - "კისერმოგრეხილების" ოსტატობაზე მეტყველებს.

II.

და ანალოგიური მდგომარეობაა, ამ მხრივ, ვთქვათ, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში თუ უნგრეთში, სადაც "კისერმოგრეხილები" გამოთიშულია ხელისუფლების წამყვან ორგანოებიდან. მაგრამ როგორ არის საქმე ამმხრივ სსრკ-ს დაშლის შემდეგ შექმნილი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ხელისუფლების წამყვან ორგანოებში? - რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი, ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი იყო; უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი სკკპ პოლიტბიუროს წევრი თუ ყაზახეთის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაიევი სსრკ-ს კპ პოლიტბიუროს წევრი იყო; და ანალოგიური მდგომარეობაა სსრკ-ს ყოფილ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, საქართველოს გამოკლებით. ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა უფრო ლიტვა-ლატვია-ესტონეთის გზას დაადგა, როცა - ჯერ - 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში, უზენაეს საბჭოში, კომუნისტები უმცირესობაში მოაქცია, ხოლო - შემდეგ - 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მისცა ხმა, რაც საქართველოს პარლამენტმა განახორციელა 1991 წლის 9 აპრილს. 1991 წლის 26 მაისს, ჩვენი ეროვნული დიდების დღეს კი, საქართველოს პრეზიდენტად აირჩია ზვიად გამსახურდია, ყოფილი დისიდენტი. ამ ფაქტს აღვნიშნავ ხაზგასმით იმიტომ, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებიდან, ერთადერთი რესპუბლიკა გახლდათ საქართველო, რომელმაც გარიყა ''კისერმოგრეხილები'' ხელისუფლების წამყვან თანამდებობებიდან, თუმცა შემდეგ იმის საკმარისი უნარიანობა ვერ გამოიჩინა, რომ შექმნა ნამდვილი დემოკრატიული სტრუქტურები სახელმწიფო ხელისუფლების კანონმდებლობით, აღმასრულებელ და მართლმსაჯულებით ორგანოებში. და ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების ეს სისუსტე ოსტატურად გამოიყენეს სწორედ ქართველმა ''კისერმოგრეხილებმა'', რომლის უკან, როგორც ახლა ირკვევა იდგენ არა მარტო მოსკოვის ''კისერმოგრეხილები''.

III.

ყველაფერი დაიწყო ე.წ-ლი ''შეიარაღებული ოპოზიციის'' აღმოცენებით, რასაც ხელი შეუწყო 19-22 აგვისტოს პუტჩმა მოსკოვში და, შემდეგ, 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ-ს დაშლა და ''დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის'' შექმნამ ალმა-ატაში, რომელშიც საქართველოს არ განუცხადებია შესვლის სურვილი; თუმცა ახლა ამბობენ, რომ საქართველოს სურდა ''თანამეგობრობაში'' შესვლა, მაგრამ არ მიიღეს, რადგან საქართველოში თურმე უგულებელყოფილია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, განსაკუთრებით ოსებისა, რომლის ექსტრემისტული ჯგუფი ბატონობდენ და ბატონობენ შიდა ქართლში; და ეს ყოფილა ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უგულებელყოფა საქართველოში.

IV.

მაგრამ, ჩვენის აზრით, თუ აღნიშნული ცნობა სინამდვილეს შეესაბამება, მეტად კარგია, რომ საქართველო არ არის ამ ე.წ-ლი ''დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის'' წევრი, რადგან ეს ''თანამეგობრობა'' თუ უკვე საბჭოთა კავშირი არ არის, მალე მაინც საბჭოთა კავშირად იქცევა, რაზედაც მეტყველებს, თუ გნებავთ, ის ფაქტიც, რომ ამ ''თანამეგობრობაში'' გაერთიანებულ ან უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მეთაურობა ''კისერმოგრეხილებია'', რომლებიც - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ''ლენინური'', ე.ი.''ერთიანი და განუყოფელი'' სტრუქტურების შენარჩუნებისაკენ მიისწრაფვიან.

V.

და ამ დროს საქართველოში ''შეიარაღებულმა ოპოზიციამ'' არა მარტო დაანგრია ჩვენი საამაყო თბილისი და საქართველოდან განდევნა საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, ე.ი.''კისერმოგრეხილებმა'' არა მარტო მოუგრიხეს კისერი არა-კისერმოგრეხილ-დისიდენტ ზვიად გამსახურდიას, არამედ საქართველოს მოევლინა, როგორც გერმანელი კომენტატორი კატრინ კალვაიტი (ზც-8.1.1992) წერდა, ''მხსნელი'', ''მოციქული'' ედუარდ შევარდნაძის სახით, რომელსაც სურს, როგორც მან განაცხადა, დემოკრატიის დამყარება საქართველოში და თურმე ''შეიარაღებულმა ოპოზიციამ'', როცა რაკეტები დაუშინა

რუსთაველის გამზირს, და ''გაიმარჯვა'' - ამით ''ერთობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ძალებმა გაიმარჯვა დიქტატურაზე''; და ამ სიტყვებს ეუზნება ქართველ ხალხს, საქართველოს ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი 1972 წლიდან 1985 წლამდე!..

გერმანელი ხალხი ახეთებს ''სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ'' კი არ ირჩევს, არამედ,- როგორც ერის ჰონეკერის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპარტიის პირველ მდივნის მაგალითი ნათელჰყოფს, - ცდილობს იგი ·· სასამართლოში მისცეს ჩადენილ კონკრეტულ ბოროტმოქმედებათა გამო. ჩვენ, ე.ი.ქართველი ხალხი კი - პირიქით - ''კისერმოგრეხილებს'' ისევ ''პირველ კაცად'' ვხედით და ვესალმებით მის მობრძანებას საქართველოს სახელმწიფოს სათავეში. თუმცა ისიც ვიცით, რომ ''რაღაც წესრიგში არ არის საქართველოში'', როცა ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი საქართველოდან გავაგდეთ და მის ადგილას ''კისერმოგრეხილი'' გავაბატონეთ. ალბათ, თვითონ შევარდნაძეც ფიქრობს ზოგჯერ, სინდისის ''გამოსხივების'' მომენტში:''რა ბრიყვია ქართველი ხალხი!''

VI.

მაგრამ ქართველი ხალხის ამგვარ ''სიბრიყვესაც'' აქვს თავისი ახსნა: ედუარდ შევარნაძე, მიხეილ გორბაჩოვთან ერთად, - გახდა რა იგი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი 1985 წელს,- დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისათვის მართლაც გახდა, როგორც სოვეტოლოგი ვოლფგანგ კოიდლი წერდა, ''ახალი აზროვნების ყველაზე უფრო სანდო ადამიანი''.(ზც-23.7.1991). ედუარდ შევარდნაძემ აგრეთვე გამოაქვეყნა წიგნი -''მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას'', რამაც დიდი დადებითი გამოხმაურება გამოიწვია დემოკრატიულ ქვეყნებში, რითაც იმის თქმაც შეიძლება, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს აზრის შეცვლის უფლებაც. ამას ემატება აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ედუარდ შევარდნაძემ დიდი პატივისცემა დაიმსახურა დასავლეთის პოლიტიკური აზროვნების ''გარდაქმნის'' საქმეში და,წარმოიდგინეთ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი - გენშერი - თუ აშშ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეიმ ბეიკერი შევარდნაძეს მის მეგობრად თვლიან. ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ რა აქვს საერთო ყველაფერ ამას საქართველოსთან, ქართველ ხალხთან?.. გენშერ-ბეიკერები შევარდნაძეს პატივს სცემენ იმიტომ, რომ ის იყო გორბაჩოვის დამხმარე ე.წ-ლი''ცივი ომის'' დამთავრებაში. ''ცივი ომი'' კი საქართველოს თავს მოახვია მოსკოვმა. მაშ, როგორი უნდა იყოს შევარდნაძის დამოკიდებულება საქართველოს, ქართველი ხალხისადმი და საქართველოს, ქართველი ხალხის დამოკიდებულება შევარდნაძისადმი?..

VII.

საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში, ჩვენი აზრით, ''ინკვიზიცია'', ე.ი. ქართველი და არა-ქართველი ბოლშევიკების ''საქმენი-საგმიროის'' მართლმსაჯულების გზით განსჯა, ნაადრევია, რადგან - ჯერ - საქართველომ უნდა მოიპოვოს დამოუკიდებლობა და სუვერენობა, რომ შევქმნათ სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფო. და ამ პროცესში განსაზღვრული როლის თამაში შეუძლია თვით ედუარდ შევარდნაძესაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გამოყენებით გზით..

მაგრამ ვითომ ის ადამიანი, რომელიც 1972 წლიდან საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი იყო 1985 წლამდე, არავითარ შემთხვევაში, ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამხდარიყო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარე და, რაც არანაკლები არსებითია, ედუარდ შევარდნაძე არასოდეს, (თუმცა, ადამიანმა არასოდეს არ უნდა თქვას არასოდეს პოლიტიკაშიც კი),

ვიმეორებ, არასოდეს არ უნდა იქნეს არჩეული საქართველოს ''პირველ ხელმძღვანელად'' - არის ეს პრეზიდენტის,მთავრობის თავჯდომარის თუ პარლამენტის თავჯდომარის პოსტი?.. ვითომ ამას არ მოითხოვს პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური მორალი, რაც დემოკრატიის, სოციალური დემოკრატიის საძუძველია,რასაც საქართველოში საძუძველი ჩაეყარა 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, რასაც მოყვა ''პატარა ოქროს ხანა'',რომელიც გაგრძელდა 1921 წლის 25 თებერვლამდე, როცა საქართველოს ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს რუსმა-და-ქართველმა ბოლშევიკებმა, რომელთა უშუალო მემკვიდრე თვით ბატონი ედუარდ შევარდნაძე ბრძანდებოდა?..

VIII.

მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ისევ-გაბატონებას საქართველოში აქვს კიდევ სხვა მხარეც: როგორ ფიქრობს ედუარდ შევარდნაძე და მისი თაყვანისმცემელნი - ვითომ საქართველოს ისტორიის მცირე,მაგრამ არსებითი მონაკვეთი,დაწყებული 1990

წლის 28 ოქტომბრიდან, როცა საქართველოში,1919 წლის თებერვლის პირველი დემოკრატიული არჩევნების შემდეგ, მეორეჯერ ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები,- გათავებული 1992 წლის 6 იანვრამდე, როცა საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ''შე იარაღებული ოპოზიცია'',უკვე ''სამხედრო საბჭოს'' სახელმწოდებით, რაც ჩვენში სერგო ორჯონიკიძის ''რევკომის'' ასოციაციას იწვევს, - ეს პერიოდი ვითომ ''......გაქრა ვითა სიზმარი ღამისა?..'' და თუ არ ''გაქრა'', მაშინ რა გამოსავალია ამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან? - რა თქმა უნდა, მომხდარი ფაქტის, ისტორიული ფაქტის ''ბოლშევიკური გაუქმება'', როგორც ეს გააკეთეს რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა დამოუკიდებელი საქართველოს ''პატარა ოქროს ხანის'' მიმართ, - შეუძლებელია. ამას ემატება კიდევ ისიც, რომ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის ''შეიარაღებული ოპოზიციის'' მიერ განდევნით, საქართველო, როგორც სახელმწიფო გახდა, ''ბანანების რესპუბლიკა'', რადგან უგუბელებლყოფილ იქნა ''კანონის უზენაესობა'', რომლის მალით ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი გადაყენების უფლება აქვს არა ''შეიარაღებულ ოპოზიციას'', რომლის უკან ყოველთვის ბნელეთის ძალები დგას, არამედ მხოლოდდამხოლოდ იმავე ხალხს. და როგორ უნდა გამოვიდეთ ამ ''ბანანების რესპუბლიკის'' თითქმის ჯადოსნურ წრიდან?..

## IX.

ერთი, ყველაზე უფრო მისაღები გამოსავალი ამ ''ჯადოსნურ წრიდან'' იყო და არის თუ შეთანხმება მოხდებოდა პოზიციასა და ოპოზიციას შორის ახალი არჩევნების ჩატარებისათვის. ვითომ ეს შეუძლებელი გახდა 1992 წლის 6 იანვრამდეც და 6 იანვრის შემდეგაც, რის შედეგად პრეზიდენტი ჩეჩნეთ-ინგუშეთს აფარებს თავს, ხოლო ''სახელმწიფო საბჭო'' ისე მოქმედებს საქართველოში, რომ - თაიგდო რა საქართველოს სახელმწიფოს ძალაუფლება ხელში ''შეიარაღებულ ოპოზიციამ'', როგორც ჩანს, ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, - თითქოს ყველაფერი რიგზეა?.. შემდეგ: დავუშვათ, ზაფხულში თუ შემოდგომაზე ჩატარდეს საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს დემოკრატიული არჩევნები, შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეებსაც?.. და თუ არ შეუძლიათ, ეს ხომ სამოქალაქო ომისაკენ მიუთითებს?.. მაკვირვებს, მაკვირვებს:

რას ფიქრობდენ ''შეიარაღებული ოპოზიციის'' და ზვიად გამსახურდიას მომხრეები , როცა იარაღს მოკიდეს ხელი და ქართველები ქართველებზე კალაშნიკოვებით ნადირობდენ ერთმანეთზე თბილისის ქუჩებში, როგორც ეს დაწერა ერთმა ევროპიელმა კომენტატორმა განსაზღვრული ირონიით. თუ ახლაც შეუძლებელი გახდა პოზიცია-ოპოზიციის ურთიერთობის მშვიდობიანი მოგვარება და საქართველოში არ დაბრუნდა ზვიად გამსახურდია, მდგომარეობა,არჩევნების შემდეგაც, მიგვიყვანს - ''კისერმოგრეხილების'' ან მათი მემკვიდრეთა ავტორიტარულ წესრიგამდე, რაც ''კასანდრას ძახილს'' წაავავს თუ ჩვენ ნამდვილი დემოკრატიის, სოციალური დემოკრატიის დამყარება გვსურს საქართველოში, როგორც ეს იყო საქართველოს ''პატარა ოქროს ხანაში'', ე.ი. 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. მართალია, მას შემდეგ უკვე გავიდა სამოცდა-ათი წელი, ბოლშევიკური ბატონობის ხანა; მაგრამ თუ დღესაც ორჯონიკიძე-მახარაძეების მემკვიდრეებო ათასნაირი ფორმებით გვევლინება, რომლებიც ისევ საქართველოს კრემლის კლანჭებში მოქცევას ლამობენ, რატომ არსად არ ჩანს ჩვენი ''პატარა ოქროს ხანის'' შესანიშნავი თაობის მემკვიდრეები, ე.ი.''ზომიერი'', ''ჯანსაღი'' ეროვნული პოლიტიკის მომხრეები, რომლის მაგალითის მომცემია ''პატარა ოქროს ხანის'' მთავარი არქიტექტორი - ნოე ჟორდანია?..

## X.

და 'კისერმოგრეხილების' გზისმაჩვენებელია გერმანელი სოციალ-დემოკრატის პერბერტ ვენერის ცხოვრება-მოღვაწეობა? -'როგორც ანარქისტ წამდა მას,რომ თავისუფლება შეიძლება განხორციელებულიყო პირდაპირი მორალური გაფრთხილებით და გათვითცნობიერებით; როგორც კომუნისტი, ანიჭებდა ის ამ ავანგარდისტულ პარტიას უფლებას ყოფილიყო ხელმძღვანელი 'გაყვლეფილი მასების'თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლაში კაპიტალიზმის, ბურჟუაზიისა და მათ დამხმარეთა წინააღმდეგ. პირველად, როცა ის იძულებული გახდა შეეცნო როგორ დემორალიზებას ახდენს კომპარტიის ბიუროკრატიულ-ცენტრალისტური ხელმძღვანელობა,რომელმაც გარდაუვალი ხდება ბრძოლა უკონტროლო კადრების კლიკებისა, - ჩამოშორდა ის კომუნიზმს და უკვე გახდა უფრო დარწმუნებული მიმდევარი პლურალური, პარლამენტარული, სამართლებრივი დემოკრატიისა'.(Hartmut Soel,"Sp.",32/1992,S.54). და არასოდეს,'კისერმოგრეხილების'მსგავსად,არ მიისწრაფვოდა'პირველობისაკენ'.

კარლო ინასარიძე
პარიზი,1992 წლის .26 მაისი

"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა"

და

საქართველო

I.

1991 წლის 19-22 აგვისტოს პუტჩის დამარცხების შემდეგ, მართალია, მიხეილ გორბაჩოვი, ბორის ელცინის წყალობით, ისევ დაბრუნდა მოსკოვში და შეუდგა სსრკ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ, ერთ დროს ძლიერი საბჭოთა კავშირი, უკვე სულს ღაფავდა, რასაც მოჰყვა სსრკ-ს მოკავშირე რესპუბლიკათა პრეზიდენტების თავშეყრა ქალაქ ალმა-ატაში, რომელშიც საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო ლიტვა-ლატვია-ესტონეთი უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყვნენ, რომლებიც თვით რუსეთმაც დე ფაქტო და დე იურე იცნო. და 1991 წლის 21 დეკემბერს შექმნილ იქნა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" თერთმეტი ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკისა, და საქართველო მასში, როგორც წევრი, არ შესულა. ამგვარად, 1991 წლის 21 დეკემბერს სსრკ გაუქმდა და შეიქმნა თერთმეტ"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რითაც ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს გზა გაეხსნათ საერთაშორისო ასპარეზზე.

II.

საქართველო "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" წევრი არ არის, თუმცა ალმა-ატის მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღო როგორც მეთვალყურემ. საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის ეს ნაბიჯი ჩვენ სწორად მიგვაჩნია, რადგან ეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" სხვა ფორმისა და ფერის იგივე სსრკ-ად მიგვაჩნია. მაგრამ, საერთაშორისო ინფორმაციის საშუალებებმა გაავრცელეს ცნობა, რომ საქართველოს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" შესვლის სურვილი განუცხადებია, და თითქოს საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ალმა-ატაში ვერ წავიდა იმიტომ, რომ მისი სადგომი ალყაშემორტყმული იყო ე.წ-ლი"შეიარაღებული ოპოზიციის" მიერ. ამავე დროს გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში წევრად შესვლაზე უარი უთქვამს ამ თანამეგობრობის წევრებს, რადგან საქართველოში თურმე უგულებელყოფილია ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, განსაკუთრებით შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებისა, რომლის ექსტრემისტული ნაწილი შიშის ზარს გვრიან ქართველებს საქართველოში.

III.

ამასობაში, 1992 წლის 6 იანვარს, "შეიარაღებულ ოპოზიციამ" "გაიმარჯვა" თბილისში, ხელში აიღო საქართველოს სახელმწიფო ძალაუფლება "სამხედრო საბჭომ" და მისგან შექმნილმა დროებითმა მთავრობამ, გამსახურდიას ყოფილ მთავრობის თავმჯდომარემ - თენგიზ სიგუამ. საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდია - და მისი მომხრეები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარეს უცხოეთს. ამდენად საქართველო, როგორც სახელმწიფო, შებოჭილი აღმოჩნდა როგორ შინაო, ისე საგარეო მოქმედებაში, რის შედეგად საქართველოს საერთაშორისო ცნობის საკითხი გაურკვეველი დარჩა.

და ამ მომენტში საქართველოს მოევლინა "მხსნელი","მოციქული", როგორც ამას ირონიულად წერდა გერმანული ჟურნალი "შპიგელი"(შპ-5-1992). ედუარდ შევარდნაძის მრავალ "გულამაჩუყებელ" განცხადებებიდან, უთუოდ, სწორად მიგვაჩნია ჩვენ 1992 წლის 15 მარტის განცხადება, რომ ის არის იმის წინააღმდეგი, რომ საქართველო გახდეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" წევრი, და დასძინა:"რაც შეეხება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, მის მომავალს იგი უყურებს სკეპტიკურად".(ზც-14.5.92). მაგრამ თუ ჩვენ ედუარდ შევარდნაძის ბიოგრაფიას გადავხედავთ, უადგილო არ იქნება თუ ეჭვს გამოვთქვამთ მის გულწრფელობაში, რადგან იგი 1985 წლამდე საქართველოს ბატონ-პატრონი იყო, როგორც საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი და ახლა საქართველოს ბატონ-პატრონია, როგორც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე, თუმცა იგი თავის წიგნში - "მომავალი ეკუთვნის თავისუფლებას" -, რომელიც "ბესტსელერია", ე.ი. მეტად გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით, გვარწმუნებს, რომ ის გახდა დემოკრატი; და უნდა დავიჯეროთ ეს, რადგან ყოველ ადამიანს აქვს, უნდა ჰქონდეს აზრის შეცვლის თავისუფლებაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV.

და ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მიდგომას "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისადმი" სწორად მიგვაჩნია, რადგან თუ საქართველო გახდებოდა ამ "თანამეგობრობის" წევრი, ვფიქრობთ, შორს არ არის ისიც, რომ ეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაც" მალე გახდება სახეშეცვლილი საბჭოთა კავშირი, რომელშიც, ცხადია, იმპერიული ძალაუფლება ისევ რუსეთის ხელში მოექცევა არა მარტო მისი ეკონომიკური რესურსების გამო.

V.

რა თქმა უნდა, გადამწყვეტი ამ საკითხისა არის საქართველოს დემოკრატიული გზით არჩეული პარლამენტი, როგორც ეს თენგიზ სიგუამ განაცხადა, მაგრამ უკვე არჩეული პარლამენტი, რომელშიც უმრავლესობა ჰქონდა, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად, "მრგვალ მაგიდას - თავისუფალ საქართველოს", დაშლილი და მის ადგილზე შექმნილია "შეიარაღებული ოპოზიციის" არაკანონიერი სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით. როგორც ვხედავთ, თითქმის "ჯადოსნურ წრეში", ე.ი. გამოუვალ მდგომარეობაში ვართ მოქცეული. მაგრამ როგორც არ უნდა წარიმართოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ვფიქრობთ, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" წევრი. საქართველოს სახელმწიფო უნდა გაჰყვეს ლიტვა-ლატვია-ესტონეთის მაგალითს. მაგრამ რა საჭიროა უცხო სახელმწიფოთა წაბაძვა, როცა ჩვენ გაგვაჩნია "პატარა ოქროს ხანა", დამოუკიდებელი საქართველოს მაგალითი 1918-1921 წლებში, როცა ჩვენ - გავხდით რა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო - ბილატერალური, ე.ი. "ორმხრივი" ურთიერთობა დავამყარეთ ბევრს უცხო სახელმწიფოსთან, მათ შორის, საბჭოთა რუსეთთან, რასაც მოყვა 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს საზავო ხელშეკრულება, რომელსაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა რუსეთის ფედერაციასთან.

VI.

"დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", თუ მხედველობაში მივიღებთ ე.წ. "ხუალინურ კომუნიკეს", რომელშიც მოკავშირე რესპუბლიკები "სუვერენულად" იწოდებოდა, - ზედაპირულად სახეშეცვლილი სსრკ-აა: "სუვერენულის" ცნება შეცვლილია "დამოუკიდებლობის" ცნებით; და ამ ანკესზე საქართველო, ჩვენის აზრით, არ უნდა წამოეგოს.

VII.

მაგრამ საით მიდის საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს გზა? - გავიხსენოთ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვები, რომელმაც საზეიმოთ აღნიშნა საქართველოსგზა მიდიოდა და მიდის დასავლეთ ევროპისაკენ. მართალია, 1452 წელს, როცა თურქებმა აიღო კონსტანტინეპოლი და ამით საქართველოს გადაუჭრა გზა ევროპისაკენ, უკვე გავიდა 450 წელი. მაგრამ საქართველოს არასოდეს არ შეუწყვეტია ლტოლვა დასავლეთ ევროპისაკენ, ვინაიდან საქართველო ელინისტური და ამით ევროპული კულტურის სფეროს ეკუთვნის. ამდენად, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო უნდა გახდეს ევროპის გაერთიანების თანა-მონაწილე. როგორი ფორმითაც არ უნდა იქნეს ეს განხორციელებული. ჩვენი გზა ევროპის გზაა, და ამის განხორციელებისაკენ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად, სოციალურად.

VIII.

და-ბოლოს, დიდი გერმანული გაზეთის "ფრანკფურტერ-ალგემაინე-ცაიტუნგის" კომენტარიდან ამონაწერი, რომელიც ეხება ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში: "ედუარდ შევარდნაძე როგორც პრეზიდენტი? - მაშინ მან უარი უნდა თქვას მის 'ახალი კავშირის სტრუქტურებზე'. მოცემულ პირობებში, მისი არჩევა პრეზიდენტად იქნებოდა ყველაზე უკეთესი."(ფაც-7.3.1992).

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1992 წლის 21 მარტი

# რუსეთის იმპერიის დასასრული?..

"ტროიკასავით იქით არ მიექანები შენ, ჩემო რუსეთო,
როგორც მქროლავი ტროიკა, რომელსაც ვერავინ დაეწევა?
მკრთალი თვალებით იხედებიან გვერდზე სხვა ხალხები-
და სახელმწიფოები და უთმობენ მას გზას".

ნიკოლაი გოგოლი

I.

"ჩვენ გავიარეთ გრძელი გზა, ზოგჯერ მეტად ძნელი გზა, მაგრამ არაფრისათვის ამ მსოფლიოში ერთ დღესაც კი არ გავცვლიდი ზედაპირული აღმოჩენებისა და მეშჩანების მთელ ცხოვრებაში". ლენინის ეს სიტყვები მოიყვანა მიხეილ გორბაჩოვმა თავის წიგნ "გარდაქმნაში". 47 წლის იყო მიხეილ გორბაჩოვი, როცა სტავროპოლიდან გადაყვანილ იქნა მოსკოვში; და მისი მოღვაწეობის უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში, მესამე მსოფლიო ომის საშიშროების გაქარწყლება, "ცივი ომის" დამთავრება, საბჭოთა ჯარების გამოყვანა ავღანისტანიდან, ატომური რაკეტებზე განსაზღვრული კონტროლის დაწესება, უარის თქმა ექსპანსიურ პოლიტიკაზე ე.წ.-ლ"მესამე მსოფლიოში" და გერმანიის გაერთიანება. ამგვარად, ლენინ-სტალინის უზარმაზარი იმპერიული სახელმწიფო, რომელიც თავის ხალხს ტერორის ქვეშ ამყოფებდა და მთელს მსოფლიოს ომის ზარს სცემდა, გაანადგურა უმოკლეს ხანში, თუმცა ეს გორბაჩოვის მიზანში არ შედიოდა.''

II.

"მისი ტრაგედია გამოიხატებოდა იმაში, - თქვა აშშ-ს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰენრი ა.კისინჯერმა, - რომ მან სისტემის სუსტი ადგილები სწორად შეიცნო, მაგრამ უუნარო გამოდგა, თვითონ ეს დაენგრია, რისთვისაც ის მთელი თავისი ცხოვრება მუშაობდა". მაგრამ საბჭოთა კავშირის დანგრევით დაიბადა ძველი დიდი სახელმწიფო: რუსეთი, და მისი "მეფე" ბორის ელცინი. და თვალსაჩინოთ ეს მოხდა 1991 წლის 25 დეკემბერს, 19 საათსა და 32 წუთზე, როცა კრემლში წითელი დროშა, ჩაქუჩითა და ნამგალით, დაშვებულ იქნა, და ისევ აღმართულ იქნა რუსეთის სამფეროვანი დროშა.

III.

ამბობენ, დანგრევა უფრო ადვილია, ვიდრე აშენებაო, მაგრამ საქმეა, რომ ლენინ-სტალინის იმპერიის დანგრევა ადვილი საქმე იყო. აქ კი, "დანგრევას", ამ შემთხვევაში, სრულიად სხვა განზომილება გააჩნია, რადგან "რუსეთის ხელმძღვანელები აზროვნებენ იმპერიული ცნებებით" - არის ის იმპერატორი, ლენინი, სტალინი, გორბაჩოვი თუ ელცინი. და რა გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა საკავშირო უწყება უკვე რუსეთმა გადაიბარა თვით ვეტოს უფლების ჩათვლით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში. და როგორ შეაფასა რუსეთის როლი თვით გორბაჩოვმა რუსეთის პარლამენტში, 1959 წელს? -

"ჩვენ უკანაა ათასობით წელი, და რუსის ხალხმა უდიდესი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ამ უშველებელ ტერიტორიაზე ამდენი ხალხები ფედერაციაში შეაერთა, ერთ ოჯახად შეაერთა, რომელმაც შესძლო როგორც უძლიერესმა სახელმწიფომ მსოფლიო არენაზე გამოსვლა". ("ვ.ც.", 28.12.91 წ.).

IV.

და ვითომ ამ "ამდენი ხალხების ფედერაციის" მემკვიდრედ შეიძლება ჩაითვალოს "სოდრუჟესტვო ნეზავისიმიხ გოსუდარსტვ"="დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობა", რომელიც 1991 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების დღეს, ჩამოყალიბდა ალმა-ატაში თურმე აწ უკვე დამოუკიდებელი რესპუბლიკის პრეზიდენტების ხელმოწერით?..

V.

თუ "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" არის ახალი ნერგი, რომელმაც ისე უნდა გაიხაროს, რომ რუსეთმა ისევ "ტროიკასავით" წინ გაექანოს, სხვა სახელმწიფოებმა და ხალხებმა მას გზა დაუთმონ, რომ ისევ აღსდგეს სახეცვლილი რუსეთის იმპერია?..

კ.ი., მიუნხენი, 1992 წლის იანვარი

# ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები?..

## გამსახურდია და გორბაჩოვი

"გორბაჩოვი:-და თქვენ არ გსურთ ხელი მოაწეროთ საკავშირო ხელშეკრულებას?
გამსახურდია:-ეს არის არა ჩემი, არამედ ჩემი ხალხის პოზიცია.
გორბაჩოვი: - იცით თქვენ, რომ აფხაზეთსა და ოსეთს სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელისმოწერა და საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა სურთ?
გამსახურდია:- ესენია სულ 140000 ადამიანი, მაგრამ საქართველოში ცხოვრობს ხუთი მილიონი კაცი.
გორბაჩოვი: - (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) - კარგად მოიფიქრეთ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.
გამსახურდია: -ეს საკითხი ჩვენთვის არ არსებობს.
გორბაჩოვი: - მაშინ მიიღებთ დიდ სიძნელეებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში".
(გერმანული ჟურნალი "შპიგელ",1991 წლის 11 მარტი, ნომერი 11).

## გამსახურდია და ეროვნული კონგრესი

საქართველოს ეროვნული "...კონგრესის უკან დგას კრემლის აგენტურა... განსაკუთრებით ჭანტურიას პარტია უკვე შეეზარდა "მხედრიონს", მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ესაა შეიარაღებული ტერორისტული ბანდები..." (ზ.გამსახურდიას პრესკონფერენცია, გაზეთი"ს.რ.",26.3.1991 წ.).

## გამსახურდია და "მხედრიონი"

"თბილისში დაკავებული იქნა უკანონო შეიარაღებული ფორმირების - საქართველოს "მხედრიონის" მეთაური, ადრე ორჯერ ნასამართლევი ქურდობისა და ყაჩაღობისათვის ჯაბა იოსელიანი..."

## გამსახურდია და რადიო"სვობოდა"

"...რადიო"სვობოდას" მიკროფონთან იყო ორი ქართველი - კონსტანტინე ნაცირაშვილი და ირინე კუჯარია...გადაცემა მიდა ქართულ მიმდინარე მოვლენებს ეხებოდა....ცენტრალური(მოსკოვის. კ.ი.) პრესა, რადიო და ტელევიზია ყოველდღე ერთმანეთს ეჯიბრებიან ახალ-ახალი პრო-ოსური ანტიქართული დეზინფორმაციის გავრცელებაში... და ქართველები...კრემლის ბრმა იარაღის - ოსი-ექსტრემისტების ქება-დიდებაში არიან".(გაზეთი "ს.რ.",6.2.1991 წ.).

## გამსახურდია და რადიო"თავისუფლება"

"...რადიო "თავისუფლების" ქართული რედაქციის თანამშრომელმა - ჯონი კაშიამ გასაუბრება ბატონ რამაზ კლიმიაშვილთან.....საქართველოს უზენაესი საბჭოს "დამუნჯებას" და საქართველოს ეროვნული კონგრესის "მოწონებას" მოანდომა..."(გაზეთი "ს.რ.",1.2.1991 წ.).

"...რადიოსადგური "თავისუფლება" ძველი გასარჩული ხლუზა "პრავდის" ან სხვა იმპერიული გამოცემების პასკვილებისაგან...თითქოს რადიოსადგურ "თავისუფლების" ხელმძღვანელობა განზრახ და დაგეგმილად ახორციელებს ანტიქართულ კამპანიას...ამირან თარბამ წაიკითხა ეთერში ტექსტი(9.2.1991 წ.)...თუ ავტორს დავუჯერებთ, ზვიად გამსახურდიას იდეები არ აღუქვამთ საზოგადოების ფართო ფენებს..."(გაზეთი "ს.რ.",21.2.1991 წ.).

"...მე რადიო"თავისუფლების" ქართულ განყოფილებას ვუცხადებ ბოიკოტს, ვინაიდან ის მოღალატურ საქმიანობას ეწევა, თქვენ პირადად კი გაგცემთ პასუხს, მაგრამ მოგითხოვთ, რომ ჩემი სახელით არ გადაიცეს არაფერი რადიო "თავისუფლებაში", ვინაიდან ის მოღალატურ გზას ადგას".(ზვიად გამსახურდიას პასუხი რადიო "თავისუფლების ქართული რედაქციის წევრ კიორკი ტეხამინაშვილს. გაზეთი "ს.რ.",25.2.1991 წ.).

"ჩვენ,დღეს კრემლის უზარმაზარი საინფორმაციო მანქანა გვიპირისპირდება, უფრო სწორად დეზინფორმაციის მანქანა...ამაში მათ გადაბირებული ქართველე-

ბი უწყობენ ხელს როგორც აქ, ასევე საზღვარგარეთ...უცხოეთში მათი აგენტუ-რა ჯანრი კაშიას, რამაზ კლიმიაშვილის და სხვა ავანტიურისტების სახით. ისინი ლანძღავენ პარლამენტს, აქეზებენ კონგრესს..."თავისუფლების" ქართული რედაქ-ცია საქართველოს მტრების ხელშია..." (ზ.გამსახურდია, გაზეთი"ს.რ.", 1991 წლის 7 თებერვალი).

ელდარ შენგელაია პოზიცია-ოპოზიციის შესახებ

"თითქმის ერთი წელია, ახალი ხელისუფლება გვყავს...მაგრამ...არაფერი გაკეთებულა...დღეს საქართველოში ყველა სფეროში დაცემის პროცესი მიმდი-ნარეობს."

"...დაიწყო ძველი სტრუქტურების გაძლიერება, ოღონდ ერთი ნიუანსის მიმატებ-ით - ეროვნული!"

"ხაშურში გადაღებისას შევესწარი გაფიცვას. მიტინგზე მოსულნი მოითხოვდნენ არა დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, არამედ ჯამაგირს, პურს, შაქარს, საკვებს შვილებისათვის."

"...აუცილებელია ყოველგვარი პარტიულობის გარეშე არსებული ძალების გაერ-თიანება...დმანისის რაიკომის მდივანი ომარ ელოშვილი გავიხსენოთ, რომელ-მაც საოცარი საქმეები გააკეთა დმანისში, თვით დემოკრატიული ზავანის მე-ცვლაც კი მოახერხა. ამ კაცის გაშვება შეიძლებოდა?"

"...საქართველოში ჩამოსული ამერიკელი კონგრესმენების აზრი გაიხსენეთ: თუ საქართველოში განხორციელდება მიწის რეფორმა(რადგან საქართველო აგრარუ-ლი ქვეყანაა), პრივატიზაცია, დაცული იქნება ადამიანის უფლებები, ჩვენ გი-ცნობთ."

"ხშირად ის გახლავთ ხელისუფლების უნებობა, რომ პრესა და ტელევიზია და-ხურა ოპოზიციისათვის."

"სამწუხაროდ, საქართველოს სათავეში მყოფმა ვერც ერთმა ლიდერმა ცივილიზე-ბული ერის წარმომადგენლის შთაბეჭდილება ვერ შექმნა."

"თუ პოლიტიკოსი პოლიტიკოსს ლანძღავს, მოლაპარაკებების შესაძლებლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია".

"გარკვეული დაპირისპირების არსებობა აუცილებელია, რადგან ჩვენ ვიბრძვით, ოღონდაც დაპირისპირება მშვიდობიანი უნდა იყოს". "ორ აზრს არსებობის უფლე-ბა უნდა ჰქონდეს." (ამონაწერები ინტერვიუდან. გაზეთი"დრონი", 4 ოქტომბერი,1991 წ.,თბილისი).

გაზეთ "დრონის" მკითხველთა აზრები

"მათ სურთ გაანთავისუფლონ 'დემოკრატი' ჯაბა იოსელიანი; მათი დაცვა ითავა სახელმწიფო დამნაშავემ, ერის მოღალატე თენგიზ კიტოვანმა..."

"რატომ უყვარს ხალხს ზვიად გამსახურდია? იმიტომ, რომ ის სიცრუეს არ კა-დრულობს..."

"...თქვენ ეს კერპი - დემოკრატია დააყენეთ სამშობლოს თავისუფლებაზე მაღ-ლა..." (გაზეთი "დრონი", 4.10.1991 წ.)

მაია ნათაძე ზვიად გამსახურდიას მოწოდების შესახებ

საქართველოს უზენაესი საბჭოს 20 სექტემბრის სესიაზე, ქალბატონმა მაია ნათაძემ, სხვათა შორის, განაცხადა:

"...მე მზარავს, როცა ვისმენ პრეზიდენტის მოწოდებებს სასესიოში: დაგვიდექით გვერდით, ქუდზე კაცი ჩამოდით საქართველოს ყველა კუთხიდან და დაგვიცავით, გადავუვლი და გავანადგურებ ოპოზიციას, გამოვაცხადებ ტოტალურ მობილიზაციას ოპოზიციის წინააღმდეგ... ვისგან უნდა დავიცვათ ქართველმა ხალხმა? ვინ არის ეს ოპოზიცია? ...ეს არის ფაქტიურად მოწოდება სამოქა-ლაქო ომისაკენ, ქართველისა ქართველის წინააღმდეგ."(20.9.1991 წ.).

დეპუტატი ვაჟა ადამია და ზვიად გამსახურდია

"თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პრეზიდენტის მდგომარეობას, იმასაც... ოპოზიციონერ ქართველთა წინააღმდეგ საშველად უხმობს უცხოტომელებს, ჩეჩ-ნებსა და ინგუშებს(რომელთა ნაწილი უკვე ჩამოიყვანა კიდეც), და სხვა გარე-მოებებს, ყველაფერია მოსალოდნელი". ("დრონი",4.10.1991 წ.)

## მიმართვა გაეროს!

"საქართველოს ახლადარჩეულ ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც იღწვის სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისათვის...დღეს იარაღით ხელში უპირისპირდებიან ის ძალები, რომელთაც ბოიკოტი გამოუცხადეს მრავალპარტიულ საპარლამენტო არჩევნებს...მათ მძევლად აიყვანეს ქალაქ თბილისის მერი ბატონი თამაზ ვაშაძე და მომწამლავი გაზი შეასხურეს მათთან მოლაპარაკებაზე მისულ შინაგან საქმეთა მინისტრ დილარ ხაბულიანს, რომელიც ამჟამად მძიმე მდგომარეობაშია. მოსალოდნელია სისხლისღვრა. გემუდარებით გთხოვთ, დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ საქართველოში თქვენი ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ადგილზე შეისწავლიან ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას... საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მსოფლიოს ქვეყნების მიერ ერთადერთი გზაა, რომელიც თავიდან აგვაცილებს დაძაბულობის შემდგომ ესკალაციას."

ამონაწერი: საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი...

თბილისი,1991 21 დეკემბერი

## "შეწყდეს ძმათა ომი!"

"...22 დეკემბერს, როცა ქვემეხების და ტანკების გრგვინვამ საბოლოოდ გააცხადა ოპოზიციის "დემოკრატიული პრინციპების მშვიდობიანი" ხასიათი, უნივერსიტეტთან შეიკრიბა ქართველ ახალგაზრდათა ჯგუფი...ახალგაზრდებს ჰქონდათ ტრანსპარანტები:"მოვითხოვთ მშვიდობას!","შეწყდეს ძმათა ომი!", "საქართველო იღუპება!", "ძმათა შორის ომში გამარჯვებული არ არსებობს!"

("საქ.რესპ.",24.12.91 წ.).

"...უმცირესობას სურს საკუთარი ნება თავს მოახვიოს მთელ საქართველოს და ამას სჩადის ძალადობის გზით...საპარლამენტო ოპოზიცია კი ახლა დროს ხედავს... ნიშანდობლივია, რომ ჩვენი დროის ორჯონიკიძეებმადა მახარაძეებმა, ლოლობერიძეებმა და ორახელაშვილებმა იოსებ სტალინის დაბადების დღეს დაამთხვიეს საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის ცდა".

"საინტერესოა,- ...ვისი სახელით მოქმედებენ?" (იქვე).

## ისევ რადიო "თავისუფლება"

"ამოძრავდა ყოფილი კომუნისტური იმპერიის რეაქციული პროპაგანდისტული მანქანა. მსოფლიოს მოედო ცენტრის მიერ დაქირავებული პროვოკატორების ყალბი ინფორმაციები საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. სამწუხაროდ, რადიო"თავისუფლების" თითქმის ყველა ქართველი კორესპონდენტი საქართველოს საარსებო ინტერესების გამყიდველი გამოდგა. ადვილი მისახვედრია, რომ მათ ქართული გვარები დარქმეული აქვთ...უმორჩილესად გთხოვთ საქართველოში გამოგზავნოთ მეთვალყურეები და ექსპერტები ჩვენში მიმდინარე პროცესების ობიექტურად შეფასებისათვის..."

მიმართვიდან გაეროს გენერალურ მდივანისადმი "ს.რ.," 16.11.1991 წ.

## საქართველო და გაერო

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს ამ მძიმე მიწა-წყალზე მიმდინარე პროცესები(აქ ლაპარაკია ე.წ.-ზე "სამხედრო ოპოზიციაზე", კ.ი.) ინსპირირებულია სსრკ ტერიტორიაზე ახალი ზესახელმწიფოს გაჩენის მოსურნე ძალების მიერ... აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოგმართავთ თხოვნით შექმნილი ვითარების შესასწავლად მოავლინოთ თქვენი წარმომადგენელი".

("ს.რ.",4.12.1991 წ.)

## "ძმამ ძმის სისხლი დაღვარა"

"დღეს ყოველ ნაბიჯზე გაიგონებთ: ამას რას მოვესწარით, ქართველმა ქართველზე იარაღი აღმართა, ძმამ ძმის სისხლი დაღვარა...1801 წლის შემდეგ...საუკუნეებით გაუქმდა ქართული სახელმწიფო, წაიშალა მსოფლიო რუკიდან და რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა. აი, თვალწინ დაედგა [illegible] ჩვენი გარეგნა-უთანხმოების საუკუნოვან პროცესს... ის სამი ბედნიერი წელი(1918-1921) საკმარისი ვერ გამოდგა ამ "[illegible] ხე-

ნის" განსაკუთრებით...რომელი დემოკრატიული ოპოზიცია ებრძვის კონსტიტუციურ ხელისუფლებას ქუჩაში და პარლამენტით? რომელ დემოკრატიაზე აქ საუბარი? ოდესმე ხომ უნდა იკანონოს ჩვენთვის კანონმა?! ცოტა დავფიქრდეთ: ცივილიზებული, კულტურული ერი ვართ, თუ აფრიკის ჯუნგლების ველური ბინადარნი? მსოფლიოს სასაცილოდ ნუ გავიხდით თავს..."

("თავ-საქართველო",4.10.1991 წ.)

## ზვიად გამსახურდია და კადრები

"საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, მინისტრი უნდა იყოს ჩემი მეგობარი, ჩემი სანდო ადამიანი, რომელსაც მე ვანდობ გარკვეულ სფეროს, ვანდობ გარკვეულ დარგებით ერის ბედს...მე ხელი მომეცარა ზოგიერთი კადრების შერჩევისას..."

("ს.რ",23.11.91)

## უცხოელი"ნეზავისიმაია" "ოსეთის საკითხზე"

"65 ათასი ოსის გარდა სამხრეთ ოსეთში სამჯერ მეტი ქართველი ცხოვრობს. მიუხედავად ამისა, რეგიონში არსებულ 145 საერთო სკოლიდან 90-ში სწავლება ოსურ ენაზეა, აქვთ თავიანთი ინსტიტუტი, გაზეთი - ყველაფერი ოსურ ენაზე...ავტონომიის კომუნისტური ნომენკლატურა ვერ შეურიგდა იმას, რომ საქართველომ თანდათანობით სუვერენიტეტი მოიპოვა და ჩრდილოეთ ოსეთიდან გამოგზავნილი ტერორისტებით შეიარაღებული აჯანყება დაიწყო: ჩრდილოეთ ოსეთში 250 ათასი ოსი ცხოვრობს, რომელთაც უახლოეს წარსულშიც კი თავიანთი სკოლები არ ჰქონიათ. ჩრდილოეთელი ოსების გარუსება ნამდვილი კულტურული გენოციდია. რატომ ამაზე არავინ წერს პრესა? არც იმაზე, თუ რას უმტრებიან სამხრეთელი ოსები ავტონომიის მოსახლეობის უმრავლესობას..."

("ს.რ.",22.11.91 წ.)

## ელენე ბონერი და ზვიად გამსახურდია

"განსაკუთრებული ნოსტალგიის გამო ვერ იკურნებიან, სურთ, რომ საქართველო კავშირში დატოვონ. ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ელენე ბონერი ჟურნალ "მეტროპოლში" წერდა ამ სტრიქონებს:"გამსახურდიას უნდა "ვუმადლოდეთ", რომ დავკარგეთ სამხრეთი კავკასია, რომლის მნიშვნელობა ერმოლოვსაც კი(მეფის იმპერიისათვის კავკასიის დამპყრობს) კარგად ესმოდა. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რაც შესაძლებელია, რომ სომხეთი შევინარჩუნოთ".

("ს.რ.",22.11.91)

## თავისუფლება გმირთა ხვედრია

"ბრძენს უთქვამს: ყველანაირი ომი მძიმეა, რადგან იგი ერთნაირად სპობს კეთილსაც და ბოროტსაც. ეს რომ მართლაც ასეა, ნათლად დაგვანახა შიდა ქართლში შექმნილმა ვითარებამ. უკვე ერთი წელიწადია, ეს პირსისხლიანი დემონი განურჩევლად სპობს დიდსა და პატარას, უდანაშაულოსა და დამნაშავეს...." ("ს.რ.", 7.12.91)

"კვლავ ეს დანაშაული...ხდება საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარის თვალწინ, ზოგჯერ მათი უშუალო მონაწილეობითაც, რაც ფრთას ასხამს ისედაც გათავხედებულ სეპარატისტებსა და ექსტრემისტებს". ("ს.რ.",11.12.91)

"ახლა დუმილი ღალატის ტოლფასია.ხომ კარგად ვიცით, თავისუფლება გმირი ერის ხვედრია მხოლოდ. მტერს მტერი ვეწყოთ, მოყვარეს - მოყვარე. გმირები ვიყოთ ქართველები!" ("ს.რ.",7.12.91)

## 10 დეკემბერი - ადამიანის უფლებები

"10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა...საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება მტკიცედ ადგას დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის გზას...იმპერიული ცენტრის დეზინფორმაციულმა მანქანამ რომ ვერ შეძლოს ცრუ ინფორმაციისა და დეზინფორმაციის თქვენთვის თავს მოხვევა, გთხოვთ ითანამშრომლოთ ჩვენს კომისიასთან".

ადამიანის უფლებათა დაცვის მუდმივი კომისია

("ს.რ.",10.12.1991)

## ჯეიმს ბეიკერი და საქართველო

აშშ საგარეო საქმეთა მინისტრმა - ჯეიმს ბეიკერმა - 1991 წლის 13 დეკემბერს პრინსტონის უნივერსიტეტში შეეხო საბჭოთა კავშირის ბედს და, სხვათა შორის, განაცხადა:
"...ეს მიღწევები(ლაპარაკია აშშ და სსრკ თანამშრომლობაზე.კ.ი.) შესაძლებელი გახდა ერთი ადამიანის მოღვაწეობით - მიხეილ გორბაჩოვით - უპირველეს ყოვლისა...იგივე უნდა ითქვას მისი პარტნიორის ედუარდ შევარდნაძის შესახებ..."
"ზოგიერთები ნათელს ხდიან - რუსეთი, უკრაინა, სომხეთი და ყირგიზეთი - უკვე მათ მისწრაფებას, რომ აღიარონ პასუხისმგებლობა ერთა დემოკრატიული თანამეგობრობისადმი. მათ გაიგეს, რომ წარმატება დამოკიდებულია დემოკრატიისა და ეკონომიკური თავისუფლების აღიარებისაგან. სხვებმა ნათელი გახადეს აგრეთვე - მაგალითად საქართველომ -, კომუნიზმი შეიძლება შეცვლილ იქნეს ავტორიტარული მთავრობებით და ამის შესაბამისად ისინი ჩვენს ცნობასა და დახმარებას ვერ იმსახურებენ..."

("ზ.ც",14-15.12.1991 წ.)

## გამსახურდია და სამხედრო საბჭო

"იურიდიულად ვრჩები მე პრეზიდენტი. მე უარი არ მითქვამს პრეზიდენტობაზე და არ გადამდგარვარ". მის მოწინააღმდეგე დროებით მთავრობას თბილისში უწოდა გამსახურდიამ "სამხედრო ხუნტა" .

("ზ.ც",30.12.92)

## ჰელსინკის-შეთანხმება და საქართველო

ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქ - პრაღაში - ჩატარდა "ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის" კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა და ერთხმად მიიღეს ამ ორგანიზაციის წევრებად - უკრაინა, სომხეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თაჯიკეთი და თურქმენეთი, რითაც ამ ორგანიზაციაში ახლა გაერთიანებულია 48-ა სახელმწიფო. მალე წევრებად მიღებულ იქნებიან აგრეთვე კროატია და სლოვენია, რომელთა მიღება ამჟერად იუგოსლავიამ აღკვეთა. საქართველოს კი, როგორც იტყობინებიან, ამ ორგანიზაციაში მიღების სურვილი არ განუცხადებია.

კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ სინამდვილეში ამ ორგანიზაციას დღეიდან უნდა ეწოდოს არ "ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის" ორგანიზაცია, არამედ "ევროპაში და ცენტრალურ აზიაში უშიშროებისა და თანამშრომლობის" ორგანიზაცია, ვინაიდან მასში მიღებულ იქნა ცენტრალური აზიის სახელმწიფოები." "საქართველო დაკავებულია თავისი შინაგანი საქმეებით!"

("ზ.ც.",31.12.92 წ.)

## "სამხედრო საბჭო" და გამსახურდია

"სამხედრო საბჭოში...უთანხმოებაა გამსახურდიას წინააღმდეგ მოქმედების საქმეში. დროებით მთავრობას სურს ჯერ არჩეული და შემდეგ ჩამოგდებული გამსახურდიას გაქცევა უცხოეთში, რომ ეს "ხალხის მტერი" თავიდან მოიშოროს და ამავე დროს მისი საქართველოზე გადაცემა მოითხოვოს...ამგვარი შეუსაბამობა ეჭვს იწვევს საქართველოს ამ ახალ გადამრჩენების მიმართ.."

("შპიგელ",5-1992, გვ.128)

## "თანამეგობრობაში საქართველოს არმია

"საქართველოს სურს შეუერთდეს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თავდაცვის სისტემას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი არ არის. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა - შარაშენიძემ - განაცხადა, რომ საქართველოს არ შეუძლია თავდაცვისუნარიანი არმიის შექმნა ეკონომიკური მიზეზების გამო".

("ზ.ც.", 31.1.1992 წ.)

## ედუარდ შევარდნაძე და "სამხედრო საბჭო"

"...კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა საქართველოს: გორბაჩოვის გარდაქმნის-თანამებრძოლი და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც თავის სამშობლო საქართველოში პოლიციის მინისტრი და კომპარტიის მეთაური იყო 1972-1985 წლებში. მას სურს, თქვა მან, 'ყველა სიძნელეები მისი ხალხისა გაიზიაროს' და 'ინტენსიურად მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესში', და მსახიობური თავმდაბლობით შეხოტბა სამხედრო გამარჯვებულებს".

("შპიგელ",1992 წ.,ნომერი 3, გვ.122).

## ჯაბა იოსელიანი და "მეთვალყურე"

ერთი საფრანგეთში დაბადებული და აღზრდილი ფრანგი, წარმოშობით ქართველი, მიიწვიეს 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების მეთვალყურედ საქართველოში, რომელმაც (მ.თ.) მოგვითხრო:

ერთ საარჩევნო უბანში ბატონი ჯაბა იოსელიანი თავისი "მხლებლებით", ჩემს თვალწინ, ჩაერია საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებაში, და მე შევნიშნე ბატონ ჯაბა იოსელიანს, რომ მას უფლება არ აქვს ჩაერიოს საარჩევნო კომისიის საქმეებში, და აუხსენი, რომ მე ვარ არჩევნების მეთვალყურე საფრანგეთიდან. მან მიპასუხა ირონიულად, ხოლო მისმა "მხლებლებმა" სასტიკი ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს.

## საქართველოს ინტელიგენცია და აჯანყებულები

"საქართველოს ინტელიგენცია კი, რომელიც აჯანყებულებისადმი სიმპათიითაა განწყობილი, ეძებს ისტორიულ შედარებებს ფაქტს, რომ პუტჩი გაამართლონ. მართალია, - ამბობენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, - 'ძალადობით განდევნა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტისა არის არაკანონიერი აქტი', მაგრამ თვით ჰიტლერიც 1933 წელს 'არჩევნებით მიიღო ხელისუფლებაში და რამდენად უკეთესი იქნებოდა, რომ ის რამდენიმე თვეში ძალით ჩამოეგდოთ'".

("შპიგელ",1992 წ.,ნომ.3,გვ.123).

## ტელეკრატია და თენგიზ კიტოვანი

მასობრივი ინფორმაციის დღევანდელ შესაძლებლობათა პირობებში, ტელეხედვას, "ტელევიზიას" ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ, ზოგიერთები, "დემოკრატიას" "ტელეკრატიას" უწოდებენ, რადგან ტელეეკრანზე, განსაკუთრებით პოლიტიკურ მოღვაწეს, ზოგჯერ, მისი "მსახიობობით" უფრო დადებითად ან უარყოფითად აფასებენ, ვიდრე მის წარმოთქმულ სიტყვების შინაარს. ამან გამოიწვია ის, რომ პოლიტიკური მოღვაწის ჩაცმა-დახურვას, მოქცევას ტელეკამერას წინ უკვე დიდ ყურადღებას აქცევენ თვით პოლიტიკური მოღვაწეები და მათი მრჩევლები. როგორც ჩანს, თქვა ერთმა ფრანგმა ტელემაყურებელმა, რომელმაც 1991 წლის აგვისტოს დასასრულს საფრანგეთის ტელეხედვაში "შეიარაღებული ოპოზიციის" მეთაური თენგიზ კიტოვანი ნახა, - ტელეხედვის ამგვარ გავლენას საქართველომდე ვერ მიუღწევია. ეკრანზე გამოჩნდა გაუპარსავი კაცი პერანგში, რომელმაც გაიხსნა პერანგი, აჩვენა ტელეკამერას ტიტველი მკერდი და თან, როგორც ტელერეპორტიორმა თარგმნა, თქვა: "ხომ ხედავთ, მე იარაღი არ მაქვს, მაგრამ თუ დამჭირდა, რამდენიც მინდა იმდენს ვიშოვნი!" ფრანგმა ტელემაყურებელმა დასძინა: "ასეთ კაცს უნდა პრეზიდენტის შეცვლა?!.."

1992 წლის 7 იანვარი: "ასეთ კაცმა" უკვე ჩამოაგდო ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი; და მისი გვარდიელების მიერ დანგრეული საქართველოს მთავრობის სასახლესთან, ქუჩაში, ნანგრევებში, ისევ გამოჩნდა, ამ-ჯერად, გერმანიის ტელე-ეკრანზე იგივე ბატონი თენგიზ კიტოვანი, მაგრამ ახლა უკვე გამარჯვებული და, როგორც გაზეთი "ინტერნეშენელ ჰერალდ ტრიბუნი" წერს (17.1.1992), "სამხედრო საბჭოს" თანა-თავმჯდომარე="კო-ჩეირმენ": აქაც ტელე-ეკრანზე გამოჩნდა "კო-ჩეირმენი" გაუპარსავი, ჩამოძონძილი, გაუკებარი ფორ-მის მოქსოვილი ქუდით... ერთმა ქართველმა, რომელმაც ჩემთან ერთად ნახა ეს ტელესურათები, თითქმის თავისთავის ჩაილაპარაკა: "მოგვეჭრა თავი!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გახდება საქართველო მონარქიული სახელმწიფო?..

(Jorge Bagration de Mukhrani)

ლონდონი, 12 მაისი, 1992 წელი. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკა საქართველოში უკვე მალე აღდგენილ იქნება მონარქია, რომელიც გახდებოდა შემარიგებელი და სტაბილიზაციის ფაქტორი ამ ქვეყანაში.

ამგვარი იმედი გამოთქვა საქართველოს სამეფო ოჯახის მეთაურმა პრინცმა გიორგი ბაგრატიონმა ლონდონში.

ეს იმედი ეყრდნობა, - განაგრძო მან, - ქართველობაში მტკიცე გავრცელებულ მიდრეკილებას დაუბრუნდენ მონარქიას, რომელიც საბოლოოდ აღკვეთილ იქნა ბოლშევიკების მიერ, 1917 წელში, რის შემდეგ ქართველობამ, სსრკ-ის სხვა ხალხებთან ერთად, განიცადა დევნა და ეროვნული იდენტიურობის შევიწროება, რომელთა ისევ აღდგენა ყველაზე უფრო უკეთესად შესაძლებელია განხორციელდეს მონარქიულ, ვიდრე რესპუბლიკურ წესყობილებაში.

საქართველოში მონარქიული წესყობილების შემოღების იმედის ნიშნად თვლის პრინცი ბაგრატიონი იმ ფაქტს, რომ საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ და ყოფილი სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ის არ არის საქართველოში მონარქიული წესყობილების შემოღების წინააღმდეგი. საქართველოს სხვა წამყვანმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმაც თანხმობა ან კეთილგანწყობილება გამოთქვეს მონარქიული წესყობილების ისევ-დამყარების საკითხზე. თვით ქართველ ხალხში გაბატონებულია აზრი, რომ საჭიროა მონარქიის ისევ აღდგენა. პრინცი გიორგი ბაგრატიონი არის კონსტიტუციური მონარქიის მომხრე, როგორც ეს არის ესპანეთში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება,- თქვა მან -, არ იქნეს დაშვებული საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმი.

პრინცი ბაგრატიონი 48 წლისაა, დაიბადა რომში და ცხოვრობს იტალიასა და ესპანეთში. მან დიდი სახელი მოიხვეჭა როგორც საავტომობილო სპორტის პილოტმა. ახლა ის არის იტალიის უდიდესი საავტომობილო კონცერნის -'ფიატის'- პრესის განყოფილების რეფერენტი ესპანეთში. ის ლაპარაკობს ესპანურად, იტალიურად და ფრანგულად; ქართულს კი თავისუფლად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ,როგორც მან თქვა, 'ამისათვის მე დამჭირდება რამდენიმე თვე ყოფნა საქართველოში'.

პრინცი ბაგრატიონი მეორეჯერაა დაქორწინებული და ჰყავს ოთხი შვილი. ის არის მართლმადიდებელი, მაგრამ საქართველოს სამეფო სახლი ყოველთვის დიდ შემწყნარებლობას(ტოლერანტობას) იჩენდა სხვა რელიგიების მიმართო,- დასძინა პრინცმა.

"Frankfurter Allgemeine Zeitung",13.Mai 1992

## შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი?..

შევარდნაძე საქართველოს პრეზიდენტი? - აყენებს კითხვას გერმანიის გავრცელებული გაზეთი "ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი"(7.3.1991 წ.) და, სხვათა შორის, წერს:"მაშინ შევარდნაძემ უარი უნდა თქვას მის 'ახალი კავშირის სტრუქტურებზე'. საქართველოსათვის შევარდნაძის არჩევა პრეზიდენტად, მოცემულ მდგომარეობაში, იქნებოდა ყველაზე უკეთესი".

"დაც"-7.3.92 წ.

## ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს

"რვა წლის დუმილის შემდეგ - ღია წერილი ედუარდ შევარდნაძეს" - ასეთი სათაური და ქვესათაური აქვს პროფესორ ვაჟა იკერიძის, ენციკლოპედიის ქართული სამოკავშირო თავმჯდომარის - ღია წერილს შევარდნაძისადმი, რომელიც დაწერილია ინგლისურ ენაზე და დაურიგდა დასავლეთის დაინტერესებულ წრეებს.

ესება რა ახალგაზრდების, . რომ არ ვთქვათ, "ბავშვების" მიერ თვითმფრინავის გატაცების ფაქტს თბილისში, 1983 წელს და ამ "ბავშვების" დახვრეტას, პროფესორი ვაჟა იკერიძე წერს:"თქვენ გაქვთ ორი სახე. საქართველოში თქვენ ხართ ბოროტი იმპერიის წარმომადგენელი, ხოლო საზღვარგარეთ თქვენ ხართ მშვიდობიანობის ანგელოზი. ბუნებრივი შეკითხვაა: რომელია თქვენი ნამდვილი სახე? ...თქვენ ყოველთვის ახერხებს იყოთ პირველ რიგში. მაგრამ როგორი ნიღაბიც არ უნდა აირჩიოთ, თქვენ ყოველთვის დარჩებით იგივე შევარდნაძე."

"ს.რ.",24.12.91 წ.

## "ვაშინგტონ პოსტ-ი" და შევარდნაძე

"დასავლეთში, ედუარდ შევარდნაძეს იცნობენ როგორც თანა-არქიტექტორს ცივი ომის დამთავრებისა..............საქართველოს ნაციონალისტები, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, უწოდებენ მას ხალხის მტერს, კრემლის აგენტს, რომელმაც თქვა -"ჩვენთვის, ქართველებისათვის მზე ამოდის არა აღმოსავლეთში, არამედ ჩრდილოეთში, რუსეთში".

"როცა 1985 წელს ცოტა ხნით იყო საქართველოში, - წერს "ვაშინგტონ პოსტი"-ის დაინტერესდა საქართველოს საქმეებით და შექმნა ქართველ მრჩეველთა წრე მოსკოვში. ქართველი ნაციონალისტების განცხადებით, საქართველოს სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელებმა მიიღო მორალური და ფინანსური დახმარება ყოფილ კომუნისტ ხელმძღვანელებიდან, რომლებიც ახლოს არიან შევარდნაძესთან. მაგრამ შევარდნაძე უარყოფს ამას... მოსახლეობის მეორე ნაწილი ლაპარაკობს თბილისში, რომ ყოფილი კომპარტიის პირველი მდივანი საქართველოში არის მოღალატე, რომელმაც მისი ხალხი მიყიდა კრემლს.

შევარდნაძე კი იმით იმართლებს თავს, რომ ის "...ყოველთვის იცავდა კანონს იყო ის კარგი თუ ცუდი".

"ვ.პ.",17.2.92 წ.

---

## კრემლი და დასავლეთი

"საბჭოთა მიმომხილველი"(ტომ.21, ნომერი 3) შეეკითხა, სხვათა შორის, საქართველოს პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, რომ საქართველო იზოლაციაშია კრემლისა და დასავლეთისაგან, და რას ფიქრობს ის ამის შესახებ?
გამსახურდიამ უპასუხა:"ეს მე არ მიკვირს, რადგან დასავლეთი საბჭოთა კავშირში რუსეთს ხედავს....ღიად რომ ვთქვათ, გასაკვირია: მე არასოდეს არ ვფიქრობდი, რომ დასავლეთი ამდენად დამოკიდებულია კრემლზე. დასავლეთის საზოგადოებრივი აზრის კონტროლი ხდება კრემლიდან."

## "რეიტერის" სააგენტო შევარდნაძის შესახებ

"შევარდნაძე ტრიუმფით დაბრუნდა საქართველოში",- ასეთ სათაურს აძლევს თავის ცნობას რეიტერის სააგენტო და განაგრძობს:
შევარდნაძეს თბილისის აეროპორტზე მიესალმა დაახლოებით ორი-ათასი კაცი.
"შეიძლება იმან, რომ მე მოვედი საზღვარგარეთიდან, გამხადა მე ნერვიული. მაგრამ მე მოვედი ჩემს ხალხთან".

## ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი და 'შეიარაღებული ოპოზიცია'

'...ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის უშუალო დახმარების გარეშე 'ოპოზიცია' ვერ მოახერხებდა იმ მძლავრი ტექნიკისა და შეიარაღების შეძენას, რომელსაც დღეს ფლობს. კერძოდ, გასული წლის სექტემბერში, როცა ოპოზიციამ დაიწყო გამოსვლები ჩვენს წინააღმდეგ, მას ჰქონდა მხოლოდ სამი ბრონეტრანსპორტიორი და ერთი ჰაუბიცა, ამიტომ მათ მოქმედებას წარმატება არ მოყოლია. მოგვიანებით კი, გასული წლის დეკემბრიდან გამოჩნდა ათობით ტანკი ბე-ემპე, ჰაუბიცები, ჭურვსასროლები, რაკეტები და სხვა. 'ოპოზიცია' დაუფარავად აცხადებს, რომ ყოველივე ამას მას აძლევს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ბრძანებით.'

'არ არის შემთხვევითი, რომ მოსკოვის მიერ ინსპირირებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ ხუნტის უხმო თანხმობით ფაქტობრივად მოხდა საქართველოსაგან ისტორიული შიდა ქართლის (ე.წ.სამხრეთ ოსეთის) მოწყვეტა და მისი რუსეთის ტერიტორიად გამოცხადება.'

'ზემოხსენებული ალიანსი იქიდანაც ჩანს, რომ მთელ მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მიესალმა საქართველოში სამხედრო გადატრიალებასა და ხუნტის მოსვლას ქვეყნის სათავეში, იყო რუსეთის პარლამენტის თავმჯდომარე რ.ხასბულატოვი.'

ამონაწერი 'ღია წერილიდან' ბორის ელცინს
ზვიად გამსახურდიასაგან. 5.2.1992 წ.

---

## საქართველო ეუთ კონფერენციის წევრი

ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციის მეოთხე მომდევნო შეხვედრაზე - ჰელსინკში - საქართველო, სლოვენიასთან და ხორვატიასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად, მიღებულ იქნა ამ ორგანიზაციის წევრად. ახლა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციაში გაერთიანებულია სულ 51-ი სახელმწიფო. ამ კონფერენციის შექმნისას კი მასში შედიოდა სულ 35 სახელმწიფო.

გერ.ფელეხელდეა, 24.3.1992 წ.

შევარდნაძე და დასავლეთი

ეხება რა ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლას საქართველოში და მის არჩევას საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, ჰელენ კარერ დ'ანკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, სტატიათა ციკლში -"რა მომავალი აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას?"-"ტყვიაწამლის საწყობი კავკასია" -, სხვათა შორის, წერს:

"შევარდნაძისათვის ეს მისია არის უფრო ნაკლებად პრესტიჟული, ვიდრე ის იყო ძველი სსრკ-ს წარმომადგენელი. მაგრამ გააჩნდა მას კი სხვა შესაძლებლობა? - უკეთესია გახდეს საქართველოს პრეზიდენტი და მშვიდობიანობა დაამყაროს მასში, ვიდრე დარჩეს სანახევროდ მივიწყებული რუსეთში, რომელშიც ის არავის არ უნდა".("ფიგარო",20.3.1992).

'შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში'

'შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში' - ასეთი სათაურით აქვეყნებს ვრცელ სტატიას რობერტ პარსონსი გავრცელებული ჟურნალის -'ესტ - უესტ'-ის' - 1992 წლის აპრილის ნომერში, რომელშიც, სხვათა შორის, წერს:

'ედუარდ შევარდნაძე...,რომელიც რამდენიმე თვის წინათ იწოდებოდა საქართველოში როგორც მოღალატე და ხალხის მტერი, გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ ახალი არჩევნების ჩატარებამდე.'

'საქართველოსათვის, თქვა მან ერთ დღეს, მზე ამოდის არა აღმოსავლეთიდან, არამედ ჩრდილოეთიდანო'.

'ამასწინანდელი გამოკითხვამ თბილისში ნათელჰყო, რომ შევარდნაძე მნიშვნელოვნად პოპულარულია, ვიდრე გამსახურდია'. 'შევარდნაძემ თქვა, რომ გამარჯვება ყოფილ პრეზიდენტ გამსახურდიაზე არის დემოკრატიის გამარჯვება '.

'შევარდნაძემ შესწირა 100 000 დოლარი ეროვნული განახლების ფონდს, იმოგზაურა აშშ-ში...,რომლის დროს სამოცმა ამერიკულმა ფირმამ დაპირდა მას დახმარება...'

'1992 წლის მარტის დასაწყისამდე საქართველო დე ფაქტო იცნო 26 ქვეყანამ...'

'გამსახურდიასათვის შევარდნაძის დაბრუნება საქართველოში არის იმის დადასტურება, რომ მისი საქართველოში ჩამოსვლა კარგად იყო ორგანიზებული მოსკოვის კომუნისტური მაფიას მიერ და იმ ხალხის მიერ, რომელთაც სურს საქართველო გახადონ რუსეთის ახალი იმპერიის კოლონია...'

'შევარდნაძე დიდი ენთუზიაზმით მხარს უჭერდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის შექმნას, მაგრამ ახლა შეუერთა თავისი ხალხის აზრს, რომ საქართველო არ უნდა გახდეს ამ თანამეგობრობის წევრი'.

'ესტ - უესტი' -აპრილი, 1992 წელი, პარიზი

ილია მეორეს 'საშობაო ეპისტოლე'

'საშობაო ეპისტოლეში', ეხება რა 1991-1992 წლის მიჯნაზე მომხდარ ტრაგედიას თბილისის ქუჩებში, -, სხვათა შორის, ნათქვამია:

'ძმათა სისხლისღვრით გამოწვეული ტკივილი ბოლომდე გაცნობიერებული არც არის. ტრაგედია მოხდა...მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება გამოვლინდა ეკლესიის მიმართაც..დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება მოთხოვეს...ჩვენ წინ რომ უცხო მტერი ყოფილიყო, პირველნი შევეგებებოდით მას, მაგრამ ჩვენს სამწყსოში, ჩვენს შვილებს შორის არჩევანის გაკეთების უფლება არ გვქონდა...და ჩვენ დაგვრჩა ერთადერთი საშუალება მოქმედებისა - ლოცვა...'

'სამწუხაროთ, არაეკლესიური ხელისკვეთების სენი ჯერ კიდევ ძალიან ღრმად ყოფილა ჩვენში ფესვგამდგარი. უპირველეს ყოვლისა ეს უნდა გააცნობი-

ერის ინტელიგენციამ, რადგან იგია ერის მოაზროვნე და წარმმართველი ძალა. ინტელიგენცია ჭეშმარიტების შეცნობაში უნდა დაეხმაროს ხალხს...ინტელიგენცია უნდა იქცეს მრევლის იმ რჩეულ ნაწილად, რომელიც, ვითარცა ანთებული სანთელი, წყვდიადში მყოფ ერს ღვთისაკენ მიმავალ გზას გაუნათებს...ამპარტავნების გამო ვისჯებით...'

'თავადი იგი დაიბადა ბეთლემს გამოქვაბულში, იქ,სადაც მწყემსები უამინდობისას საქონელს აფარებდნენ. ამ დიდი საიდუმლოს აღსრულებისთვის ეს გამოქვაბული და ბაგა უფრო სასურველი და წმინდა აღმოჩნდა, ვიდრე მსოფლიოს ყველა სასახლე და სამეფო პალატა. საოცარია, პირველმხილველნიც განხორციელებული მაცხოვრისა იყვნენ უბრალო მწყემსები და არა განმგებელნი ქვეყნისა ანდა სხვა მაღალი თანამდებობის პირნი; მწყემსები, რომელთა ყველაზე დიდი სიმდიდრე მათი სუფთა, წრფელი გული იყო.'

<u>ქრისტეს შობა, 1991 წელი</u>

## <u>პროფესორი გიორგი შარაშიძე და გამსახურდია</u>

პარიზის უნივერსიტეტის პროფესორმა - გიორგი შარაშიძემ - ინტერვიუ მისცა 1992 წლის 9-15 იანვრის გაზეთ 'ნუველ ობსერვატორს', რომლის საერთო სათაურია 'თეო-დემოკრატია თბილისსა', და ქვესათაურია:'არჩეული დიქტატორის ჩამოგდების შემდეგ...', რომელშიც, სხვათა შორის, ნათქვამია:

'<u>ნუველ ობსერვატორი</u>': თბილისში, ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი ჩამოაგდო ერთმა ჯგუფმა, რომელიც თავისთავს თვლიან დემოკრატებად. ვინ არიან ესენი?

<u>შარაშიძე:</u> მე ვასხვავებ სამ ჯგუფს: ინტელიგენციას, სტუდენტებს და ნამდვილ დემოკრატებს...დაბოლოს არიან ისინი, რომლებმაც სინამდვილეში 'განახორციელეს სამუშაო', ე.ი.შეიარაღებული ჯგუფი. შეიარაღებული ბანდის ერთი ნაწილის მეთაურია ჯაბა იოსელიანი, თავისებური რობინ ჰუდი,რომელმაც შექმნა მილიცია ყოფილი პატიმრებისაგან. მეორე ნაწილის მეთაურებია ყოფილი პოლიტიკური მოღვაწეები, მინისტრები თუ გამსახურდიას მომხრეები, როგორც, მაგალითად, თენგიზ კიტოვანი, ეროვნული გვარდიის უფროსი და თენგიზ სიგუა.

'...მათ შექმნეს სამხედრო საბჭო, რომლის პირველი მოქმედება იყო შინაგან საქმეთა მინისტრის და პოლიციის და გენერალური პროკურორის დანიშვნა. ეს კი არ არის იმის ნიშანი, საქმეს წინ უძღვის დემოკრატიული ბჭობა.

'მართალია, რომ გამსახურდიას რეჟიმი დეგრადირებულ იქნა მაჟორიტარული დიქტატურის ერთ სახედ...ეს დიქტატურა წარმოიშვა მისი რწმენის იდეისა და მისი ფსიქოპათოლოგიურობისაგან...ადამიანს არ შეუძლია სერიოზულად მიიღოს მისი ლოზუნგი:'მიწა, ენა,რელიგია'...გამსახურდია, ეს არის ულტრა-ნაციონალიზმისა და რელიგიური ერთობის დაკავშირება...'

'ნუველ ობსერვატორ',9-15 იანვარი

<u>1992 წელი</u>

## <u>ედუარდ შევარდნაძე და ზვიად გამსახურდია</u>

გერმანული ყოველკვირეული ჟურნალი "შპიგელ"="სარკე"(16 მარტი, 1992 წელი) ეხება ედუარდ შევარდნაძის დაბრუნებას საქართველოში და,სხვათა შორის, წერს:

"საქართველოს დედაქალაქის აეროდრომიდან თბილისში შესვლამდე - ედუარდ შევარდნაძემ, ყოფილმა კომუნისტმა, ესტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II თავის რეზიდენციაში, რომ მისთვის პატივი ეცა... და დაბრუნდა რა თავის სამშობლოში, 64 წლის შევარდნაძემ ისევ მოკიდა ხელი პოლიტიკას. თვითმარქვია სამხედრო საბჭომ, სისხლიანი ბრძოლების შემდეგ, იანვარში ჩამოაგდო ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია, და 19 მარტს აირჩია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ, რომლის წევრებია დროებითი მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ სიგუა -(მან, როგორც მთავრობის თავმჯდომარემ, გადაუდგა ზვიად გამსახურდიას) და ორივე მილიციის ჯარ-სარდლები ზურაბ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი."

"აქამდე საბჭოთა კავშირის დამცველი შევარდნაძისაგან მოელიან მისი მომხრეები, რომ ის გამოიყენებს მის "ინტერნაციონალურ ავტორიტეტსა და პიროვნულ კონტაქტებს, რომ კავკასიის ეს რესპუბლიკა იზოლაციისაგან გამოიყვანოს..."

"გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა- ჰანს-დიტრიხ გენშერმა,მის მეგობარს ედუარდ შევარდნაძეს უკვე უსურვა "ძალა და წარმატება". შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს საერთო არჩევნები, რომლითაც 1991 წლის 26 მაისის პრეზიდენტის არჩევნების გადასინჯვა სურთ..."

"მაგრამ რა მოხდება თუ გამსახურდიას მომხრეებმა არჩევნებში გაიმარჯვეს? - ძალით ჩამოგდებული"პრეზიდენტი იმყოფება მოსაზღვრე ჩეჩენო-ინგუშეთის რესპუბლიკაში.მას დიდი მხარდაჭერა აქვს გლეხებსა და მუშებში ახლაც. სამხედრო საბჭო კი,საწინააღმდეგოდ, ეყრდნობა ინტელიგენციას , აპარატჩიკებს და ზოგიერთ უკმაყოფილო ჯგუფებს. შევარდნაძე , რომელმაც მოსკოვში 1990 წელს გაილაშქრა "ახალი დიქტატურის" საშიშროების წინააღმდეგ, 1972 წლიდან, 13 წლის განმავლობაში, პირველი მდივანი იყო საბჭოთა პროვინცია-საქართველოში, რომელმაც მაშინ ინტელიგენციას თავისუფალი არე შეუქმნა, მაგრამ დისიდენტებს სასტიკად დევნიდა. როცა შევარდნაძე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, ერთი დისიდენტი, რომელიც არალეგალურ დოკუმენტაციას აქვეყნებდა სატუსაღოებში ჯანჯვაწამების შესახებ, დააპატიმრა და ეს იყო ზვიად გამსახურდია, შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი."

"ახლა შევარდნაძე ამჟღავნებს დიდსულოვანებას მისი ძველი მტრის წინააღმდეგ: უნდა დავივიწყოთ ძველი მტრობა. გამსახურდიას აქვს უფლება დაბრუნდეს საქართველოში,რომ"ხალხის ბედნიერებისათვის იმუშაოს". მაგრამ აქვე შეზღუდვა:"...თუ მას ცეცხლის გახსნის ბრძანება არ გაუცია უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ, არ მოუპარავს ხალხის ქონება ან არ იყო ჩართული კორუფციაში". და ხშირედ ამგვარ ბრალდებას უყენებს სამხედრო საბჭო გამსახურდიას და სურს მისი სასამართლოში მიცემა, მიუხედავათ იმისა, რომ პუტჩისტებმა თვითონ ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან დემონსტრანტებს."

"ზვიად გამსახურდია კი ხედავს შევარდნაძის დაბრუნებაში მის ეჭვის დადასტურებას,. რომ სახელმწიფო გადატრიალებას საქართველოში ხელმძღვანელობდა,გამსახურდიას წინააღმდეგ,შევარდნაძე".

ასე წერს გერმანული საერთაშორისო ასპარეზზე აღიარებული ჟურნალი "შპიგელ" თავის 1992 წლის 16 მარტის ნომერში".

(შპ-16.3.1992 წ.)

## ისევ პოლიტიკური პატიმრები საქართველოში

"დე-პე-ას" სააგენტოს ცნობით(7.4.1992 წ)-,"კიდევ უფრო მეტი პოლიტიკური პატიმრებია საქართველოში", რომელთა რიცხვი სულ უფრო მატულობს. განსაკუთრებით აპატიმრებენ ისეთ პირებს, რომლებიც არ მოსწონს სამხედრო საბჭოს თუ სახელმწიფო საბჭოს. ამ დროს განსაკუთრებით ციხეებში აჯენენ არასასურველ პარლამენტარებს. ამგვარი ცნობები გამოაქვეყნა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა საზოგადოების გერმანიის განყოფილებამ საქართველოდან. საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ უკვე ასზე მეტ დაპატიმრებულთა შორის იმყოფება საქართველოს ეროვნული ადამიანის უფლებათა კომისიის თავმჯდომარე - ზაურ კობალია. ადამიანის უფლებათა საზოგადოების საერთაშორისო კომისიამ მიმართა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს - ჰანს-დიტრიხ გენშერს -, როცა ის საქართველოში იქნება 1992 წლის 8 აპრილს, მოთხოვოს საქართველოს ხელმძღვანელობას პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება და ადამიანის უფლებათა დაცვა საქართველოში.

"დე-პე-ა",7.4.1992 წ.

შეადგინა კარლო ინასარიძემ
პარიზი-მიუნხენი, 1992 წლის აპრილი

# მოვლენათა ქრონოლოგია

## საქართველო - რუსეთი - სსრკ

1991 წლის 21 დეკემბერს, ალმა-ატაში, საბჭოთა კავშირის 11-მა რესპუბლიკამ, -ესტონეთ-ლატვია-ლიტვის გამოკლებით, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, და საქართველოს გამოკლებით, რომელმაც ალმა-ატის მოლაპარაკებაში მხოლოდ როგორც "მეთვალყურემ" მიიღო მონაწილეობა, - შექმნეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა"="სოდრუჟესტვო ნეზავისიმიხ გოსუდარსტვ" და ამით გაუქმებულ იქნა 1922 წლის 31 დეკემბერს შექმნილი ე.წ. "საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", რომელმაც, თითქმის სრული, 69-ე წელიწადი იარსება. აი, მთავარი თარიღები დაწყებული 1917 წლიდან:

1917 წელი: - რუსეთის თებერვლის რევოლუცია. 2 მარტს გადადგა რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II.
- 3 მარტს. რუსეთის დროებითი მთავრობის შექმნა.
- 15 მარტს მეფის რუსეთის ბატონობის დამხობა თბილისში.
- 17 მარტს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს შექმნა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.
- 25 ოქტომბერი(7 ნოემბერი) ბოლშევიკური გადატრიალება.
- 19 ნოემბერს. მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული ყრილობა, რომელმაც 22 ნოემბერს აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელშიც არჩეულ იქნა 68 წევრი: 51-ი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიიდან, 10-ი - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან, 11-ი - სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, 2-ი უპარტიო და 4-ი "ალიონისტების" პოლიტიკურ დაჯგუფებიდან. ეროვნული საბჭო შევსებულ იქნა საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით. ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ კი არჩეულ იქნა - ნოე ჟორდანია.

1918 წელი: - 10 თებერვალს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი.
- 9 აპრილს გამოცხადდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა, რომელიც დაიშალა 1918 წლის 25 მაისს.
- 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ეროვნული საბჭოს მიერ.

1919 წელი - პირველი დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნები საქართველოში 1919 წლის თებერვალში. ეროვნული საბჭო შეცვალა დამფუძნებელმა კრებამ, რომელშიც - სულ 130 დეპუტატიდან - 109-ა დეპუტატი არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან; 8-ა დეპუტატი - ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიიდან; 8-ა დეპუტატი - სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან და 5-ი დეპუტატი - სოციალისტ-რევოლუციურ პარტიიდან.
12 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი შეკრება, რომელმაც დაადგინა "საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკის", დასავლეთ ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოს სტრუქტურების შექმნა.

1920 წელი - აგრარული რეფორმა საქართველოში.
საფრანგეთმა, დიდ ბრიტანეთმა და იტალიამ დე ფაქტო იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა(11 იანვარი).
27 აპრილს მოხდა აზერბაიჯანის გასაბჭოება.
7 მაისს დადებულ იქნა საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთმა დე ფაქტო და დე იურე ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.
29 ნოემბერი: სომხეთის გასაბჭოება.

1921 წელი - 27 იანვარს მოკავშირეები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია...) ოფიციალურად დე იურე ცნობენ საქართველოს როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რასაც მოყვა საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო და დე იურე ცნობა მსოფლიოს ოცზე მეტი სახელმწიფოებისაგან.

11 თებერვალს - საბჭოთა რუსეთის არმია თავს დაესხა დამოუკიდებელ საქართველოს ხუთი მხრიდან და ასე დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი.

17 მარტს ნოე ჟორდანიას მთავრობა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დადგენილებით, წავიდა უცხოეთში, რომ ბრძოლა განეგრძო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და თავი შეაფარა საფრანგეთს.

25 თებერვალი - თბილისის დაცემა და საქართველოს გასაბჭოება ე.წ-ლი "საქართველოს რევოლუციური კომიტეტის", ე.ი. "რევკომის" მიერ, რომელიც შექმნილ იქნა 16 თებერვალს, მე-11 არმიის საქართველოში შემოჭრის შემდეგ.

1922 წელი - 12 მარტს ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რომელშიც შეყვანილ იქნა საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

3 აპრილი - სტალინი გახდა ბოლშევიკური პარტიის გენერალური მდივანი.

30 დეკემბერი - საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა, რომელშიც შეყვანილ იქნა რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა.

1923 წელი - 6 ივლისი - შეიქმნა სსრკ კონსტიტუცია.

1924 წელი - 21 იანვარი - ლენინის გარდაცვალება.

28-29 აგვისტო - საქართველოს მოსახლეობის მასობრივი აჯანყება ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით, რაც საოკუპაციო ჯარებმა სისხლში ჩაახშო. მასობრივი ტერორი საქართველოში.

დეკემბერი: სტალინის ლოზუნგი-"სოციალიზმის აშენება ერთ ქვეყანაში".

1926 წელი -- ზინოვიევ-კამენევ-ტროცკის ოპოზიცია სტალინის წინააღმდეგ.

დეკემბერი - საქართველოს მოსახლეობის აღწერა: საერთო რაოდენობა - 2 677 200 სული; ქართველობა - 66,8 პროცენტი; სომხები - 11,7 პროცენტი; რუსები - 8,7 პროცენტი, და ა.შ.

1928 წელი - იძულებითი კოლექტივიზაციის დაწყება.

1929 წელი - ტროცკი გაძევებულ იქნა სსრკ-დან; ტროცკისტების დაპატიმრებების დაწყება საქართველოშიც.

27 დეკემბერი - კულაკების როგორც კლასის ლიკვიდაციის" დაწყება.

პირველი "ხუთწლიანი გეგმის" დამტკიცება.

1931 წელი - ნოემბერი: ლ.ბერია გახდა ამიერკავკასიის კომპარტიის პირველი მდივანი.

1933 წელი - 1 იანვარი - მეორე "ხუთწლიანი გეგმის" მიღება.

30 იანვარი - ჰიტლერი გახდა გერმანიის კანცლერი.

1934 წელი - კიროვის მოკვლა ლენინგრადში, რაც გახდა მასობრივი ტერორის გაძლიერების საბაბი.

1936 წელი - 19-24 აგვისტო - პროცესი ზინოვიევ-კამენევის და მათ მომხრეთა წინააღმდეგ მოსკოვში.

5 დეკემბერი - "სტალინური კონსტიტუციის" მიღება საბჭოების ყრილობის მიერ. ამიერკავკასიის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის დაშლა. საქართველო გახდა სსრკ მოკავშირე რესპუბლიკა.

1938 წელი - 8 დეკემბერი - ლ.ბერია გადაყავთ მოსკოვში როგორც სსრკ შინაგან საქმეთა კომისარი.

1939 წელი - ჰიტლერ-სტალინის პაქტის დადება.(22 აგვისტო).

1940 წელი - მოსახლეობის აღწერა საქართველოში: სულ 3 612 000 სული.
აღწერა ჩატარდა იანვარში.
6-8 აგვისტო - ესტონეთ-ლიტვა-ლატვიის შეერთება სსრკ-თან.

1941 წელი - 22 ივნისი - გერმანია თავს დაესხა სსრკ-ს. დაიწყო გერმანია-სსრკ ომი.

1945 წელი - 8(9) მაისს დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი.
საქართველოდან ომში გაწვეულ იქნა შვიდას-ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა.
მარტი - სსრკ მოითხოვს შავი ზღვის სრუტეების შეთანხმების გადასინჯვას და ყარსისა და არდაგანის ტერიტორიებს თურქეთისაგან.( დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია უდრიდა 91.100 კვადრატულ კილომეტრს; საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ბოლშევიკებმა საქართველოს ტერიტორია დაურიგეს მეზობელ ქვეყნებს, რომლის დროს რუსეთმაც მიითვისა სოჭი და მისი რაიონი,თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. საბჭოთა საქართველოს დარჩა სულ 69.700 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია).

1947 წელი - სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრი - ვიშინსკი - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სესიაზე,ოქტომბერში, მოითხოვს ყარსისა და არდაგანის დაბრუნებას სსრკ-სათვის.

1953 წელი - 5 მარტი - სტალინის სიკვდილი.
23 დეკემბერი - ბერიას დახვრეტა.

1956 წელი - 4-25 თებერვალი - სსრკ-კპ XX ყრილობა.
25 თებერვალის ნ.ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენება: დესტალინიზაციის დაწყება.
9 მარტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა მუშების მასობრივი დემონსტრაცია თბილისში, რომელიც სისხლში იქნა ჩახშობილი.
23 ოქტომბერი - ანტიკომუნისტური აჯანყების დაწყება უნგრეთში, რაც საბჭოთა ტანკებმა ჩაახშეს.

1962 წელი - განხეთქილება სსრკ-სა და ჩინეთს შორის.

1964 წელი - ხრუშჩოვის ჩამოგდება; ბრეჟნევი ხდება სსრკ კპ გენერალური მდივანი.

1968 წელი - ვარშავის პაქტის ხუთი ქვეყნის ინტერვენცია ჩეხოსლოვაკიაში "პრაღის გაზაფხულის" ჩასახშობად.

1970 წელი - 15 იანვარი - მოსახლეობის აღწერა საქართველოში: სულ 4 686 000 სული; ქართველები - 66,8 პროცენტი; სომხები - 9,7 პროცენტი; რუსები - 8,5 პროცენტი; და ა.შ.

1977 წელი - 7 ოქტომბერი - სსრკ ახალი კონსტიტუციის მიღება.

1978 წელი - 14 აპრილს მასობრივი დემონსტრაციები თბილისში ქართული ენის. როგორც საქართველოს სახელმწიფო ენის დაცვის მიზნით.
15 აპრილს დემონსტრანტების მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა და საქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენა შეტანილ იქნა როგორც სახელმწიფო ენა.
ოქტომბერი - მოსკოვის პასუხი: აფხაზები ააჯანყა საქართველოს წინააღმდეგ აფხაზეთში.

1979 წელი - საბჭოთა ინტერვენციის დაწყება ავღანეთში.



1982 წელი - ბრეჟნევის გარდაცვალება(ნოემბერი). ი.ანდროპოვი გახდა მისი მემკვიდრე.

1984 წელი - 9 თებერვალი - ანდროპოვის სიკვდილი; მისი მემკვიდრე ხდება კონსტანტინ ჩერნენკო.

1985 წელი -- 10 მარტი - ჩერნენკოს სიკვდილი; მისი მემკვიდრე ხდება მიხეილ გორბაჩოვი.

1986 წელი - სსრკ კპ XXVII ყრილობამ მიიღო მიხეილ გორბაჩოვის "გარდაქმნის" პროგრამა.

**1989 წელი** - მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნების ჩატარება საქართველოში - 28 ოქტომბერს -, რომლის გამარჯვება ბლოკმა -"მრგვალმა მაგიდამ - თავისუფალ საქართველომ"(სულ 250 დეპუტატიდან გაიყვანა 155 დეპუტატი).

9 ნოემბერს გაიხსნა გ.დ-ში "ბერლინის კედელი" და ასე დაიწყო "რკინის ფარდის" დანგრევა, რასაც მოყვა გერმანიის გაერთიანება.

9 აპრილის ტრაგედია თბილისში, როცა საოკუპაციო ჯარებმა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაციების წინააღმდეგ ქიმიური საწამლავი ნივთიერებაც კი გამოიყენა, რომლის შედეგად მოკლულ იქნა 19 კაცი და დაჭრილ-მოწამლული იქნა ათასობით ადამიანი.

**1990 წელი** - 28 ოქტომბერი - საქართველოს უზენაესი საბჭოს მრავალპარტიული დემოკრატიული არჩევნები, რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა -"მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო": ხმების 53,99 პროცენტი, და უზენაესი საბჭოს სულ 250 დეპუტატიდან გაიყვანა 155 დეპუტატი. საქართველოს კომპარტიამ მიიღო ხმების 29,58 პროცენტი. სხვა პარტიებმა საერთო ხმების ოთხი პროცენტი ვერ მიიღო და წარდგენილი არ არიან საქართველოს უზენაეს საბჭოში.

14 ნოემბერი - საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია, რომლის შედეგად ბოლშევიკური საქართველოს უმაღლესი საბჭო, 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების შედეგად, შეცვლილ იქნა დემოკრატიული საკანონმდებლო ორგანო - საქართველოს უზენაესი საბჭოთ, რომელმაც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარედ აირჩია ზვიად გამსახურდია, ხოლო მთავრობის თავმჯდომარედ - თენგიზ სიგუა. ამგვარად, საქართველოში 1990 წლის 14 ნოემბერს ბოლშევიკური რეჟიმი, მშვიდობიანი გზით, შეიცვალა დემოკრატიული წესყობილებით.

**1991 წელი** - 31 მარტი - საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომლის დროს შეკითხვაზე - "თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე" - გამოკითხულთა 99 პროცენტმა უპასუხა "დიახ". რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო საქართველოს ამომრჩეველთა ოთხმოც პროცენტზე მეტმა.

9 აპრილი - საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო"საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი".

26 მაისს - ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რომელშიც - ექვსი კანდიდატიდან - ზვიად გამსახურდიამ მიიღო ხმების 87 პროცენტი და არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად.

19-21 აგვისტო - მოსკოვში მოხდა ბოლშევიკური პუჩი, რომელიც დამარცხდა - ბორის ელცინის უდრეკი წინააღმდეგობის შედეგად, რომელსაც მხარს უჭერდა ხალხის დიდი უმრავლესობა. პუჩისტების ბრძანებას არ დაემორჩილა არმია და ცეცხლი არ გაუხსნა დემონსტრანტებს, რასაც მოყვა არმიისა და ხალხის დაძმობილება.

მოსკოვის პუჩისტებს მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიამ, რასაც მოყვა საქართველოს კომპარტიის აკრძალვა და კომპარტიის დეპუტატების უფლებამოსილების შეწყვეტა საქართველოს უზენაეს საბჭოში. მოსკოვის პუჩმა დასაბამი მისცა აგრეთვე საქართველოში პოზიცია-ოპოზიციის შეიარაღებულ შეტაკებებს.

21 დეკემბერი - ქალაქ ალმა-ატაში სსრკ-ის 11-მა რესპუბლიკამ, ლიტვა-ლატვია-ესტონეთის გამოკლებით, რომლებიც უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, სსრკ გაუქმებულად გამოაცხადა და შექმნეს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა"="სოდრუჟესტვო ნეზავისიმიხ გოსუდარსტვ", რაშიც საქართველოს მონაწილეობა არ მიუღია. საქართველომ ალმა-ატას შეხვედრაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგზავნა მხოლოდ მეთვალყურეები. ამგვარად, 21 დეკემბრიდან, როცა ხსრკ დე ფაქტო და დე იურე გაუქმდა, საქართველოს რესპუბლიკა დე ფაქტო და დე იურე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, თუმცა რეალურად საქართველოში ორასი-ათასი ყოფილი ხსრკ-ს ჯარები იმყოფება.

22 დეკემბერი - თბილისში დაიწყო ბრძოლა "შეიარაღებულმა ოპოზიციამ" თენგიზ სიგუას, თენგიზ კიტოვანის, შემდეგ ჯაბა იოსელიანის და გიორგი ჭანტურიას ხელმძღვანელობით, ზვიად გამსახურდიას და ამით საქართველოს ხალხისაგან არჩეული მთავრობის ჩამოგდების მიზნით. თბილისის გული - რუსთაველის პროსპექტი, ეს უმშვენიერესი ნაგებობათა კომპლექსი კავკასიის ქედის იქეთ, როგორც დასავლეთი ევროპის პრესა წერდა, - დაინგრა.

1992 წელი - 6 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ზვიად გამსახურდიამ დატოვა საქართველო და თავი შეაფარა სომხეთს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს "სამხედრო საბჭომ" - ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა, რომელმაც ზვიად გამსახურდიას გადაუდგა და "შეიარაღებული აჯანყებულების" მხარეზე გადავიდა.

1992 წელი: 10 მარტს შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბჭო, რომელმაც შეცვალა საქართველოს სამხედრო საბჭო. სახელმწიფო საბჭოთა თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

- . - . - . - . - . -

## საქართველოს ტერიტორია

I.

"საქართველოს ტერიტორია ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ათასეულ წელთა განმავლობაში ბრძოლებისა და თავდაცვის დროს გამოიკვეთა და განმტკიცდა ეს გარკვეულ ბუნებრივ საზღვრებში", - წერს ალექსანდრე მანველიშვილი. საქართველოს ჩრდილოეთით" აკრავს კავკასიის მთავარი ქედი; სამხრეთით თოვლიანი მთების მთელი სისტემა; დასავლეთით არტყია შავი ზღვა, და აღმოსავლეთით - აზერბაიჯანის ველი. გასაკვირია, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია ათასწლეულების ცვალებად ისტორიულ მსვლელობაში ცვალებადობას განიცდიდა, მაგრამ საქართველოს აღნიშნული "ბუნებრივი" საზღვრები, არსებითად, უცვლელი რჩებოდა, რაც - საქართველოს უახლეს ისტორიაში - ტერიტორიულად "შეკრული ფორმით" განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის, ჩვენი "პატარა ოქროს ხანის" დროს - 1918-1921 წლებში.

II.

დამოუკიდებელი საქართველოს, უფრო ზუსტად, "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის" ტერიტორია უდრიდა 91.110,4 კვადრატულ კილომეტრს, როცა იგი დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში. და ამ ტრაგიკულ დროიდან იწყება საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის დაქუცმაცება, რომელშიც დიდი, დიდი დანაშაული მიუძღვის ქართველ ბოლშევიკებს - ორჯონიკიძე-მახარაძეებს, რომლებიც, როგორც შემდეგ ბუდუ მდივანმა "სატყუარად" გამოთქვა, ისე არიგებდნენ საქართველოს ტერიტორიას მარჯვნივ-და-მარცხნივ, რომ რუსებსაც კი არ უკვირდებოდათ. და ახლა ოსი ექსტრემისტები ისე გათავხედდნენ, რომ შიდა ქართლის ძველთა-ძველი ქართული მიწა რუსეთის ფედერაციაში სურთ მოაქციონ, რაც სასაცილოა რომ სატირალი არ იყოს, რადგან ოსეთსა და საქართველოს შორის კავკასიონის მთავარი ქედი ძევს, რომლის მხედველობაში არ მიიღება, ალბათ, მხოლოდ ოს ექსტრემისტებსა და მის მხარდამჭერ დიდმპყრობელ-შოვინისტებს "აწყობთ".

III.

მაგრამ დავუბრუნდეთ დამოუკიდებელი საქართველოსა და ე.წ-ლი საბჭოთა საქართველოს ტერიტორიას:

დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდრიდა 1921 წლის თებერვალ-მარტამდე - 91.110,4 კვადრატულ კილომეტრს; აქედან ბოლშევიკებმა თურქეთს გადასცეს ართვინის ოლქი - 3.339 კვ.კილომეტრი;

ფოცხოვის თემი........................... - 588 " " ;

არტაანის ოლქი........................... - 5.137 " " ;

ოლთისის ოლქი---------------------------- 3.051 " " .

სულ..................................... -12.115 კვ.კილომეტრი.

გარდა აღნიშნული მხარეებისა ბოლშევიკებმა გაასაჩუქრეს საქართველოს ად-

გილები აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით:
ბორჩალოს მაზრის ნაწილი - 3.812 კვადრატული კილომეტრი;
ზაქათალის ოლქი........ - 3.564 " " ; ამგვარად, ბოლშევიკებმა თურქეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს დაუთმეს 19.491 კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, ე.ი. დამოუკიდებელი საქართველოს მთელი ტერიტორიის თითქმის ერთ-მეოთხედი; და ამ დროს თვით საბჭოთა რუსეთმაც მიითვისა საქართველოს ტერიტორია - სოჭი და მისი რაიონი -, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. ამდენად, საბჭოთა საქართველოს შერჩა დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტორიის მხოლოდ 69.700 კვადრატული კილომეტრი.

IV.

ახლა დააქუცმაცა რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა საქართველოს ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია იყო 1918-1921 წლებში. მაგრამ 1914 წლამდე, ე.ი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, საქართველოს საზღვრებში, როგორც ნაწილი რუსეთის იმპერიისა, შედიოდა ძირძველი ქართული მიწები - ლაზიკა, ტრაპიზონი, გუმიშხანა, ჯანიკი, ბაიბურთი, თორთუმი ლივანა - 38.608 კვადრატული ვერსტი, დაახლოებით ერთი მილიონი მოსახლეობით, რომლის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა ქურთები და თურქმენები.

V.

თუ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდით, ე.ი. 1918-1921 წლებით ვანსჯით, საქართველოს ტერიტორია უდრიდა - 91.110,4 კვადრატულ კილომეტრს;

აზერბაიჯანის.................. - 84.679 " " ;

სომხეთის...................... - 30.20 " " ;

ჩრდილო-კავკასიის.............. - 90.20 " " .

სულ კავკასიის ტერიტორიაა.... -296.189,4 კვადრატული კილომეტრი.

VI.

როგორც ვხედავთ, ტერიტორიალური განსხვავება კავკასიის ცალკეულ ქვეყნებს შორის დიდი არ არის, მაგრამ მსოფლიოსთან კავშირის თვალსაზრისით, საქართველოს ცენტრალური ადგილი უჭირავს. "საქართველო უზარმაზარი სივრცით აკრავს შავ ზღვას და მისი ნავსადგურებით უკავშირდება ევროპის ბაზარს. საქართველო მთელს კავკასიაში არის ძირითადი ერთეული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო თვალსაზრისითაც, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ მთელი კავკასიის დამოუკიდებლობის ბედი იგივეა, რაც საქართველოსი. ეს დამტკიცდა ისტორიულადაც. კავკასიის დანარჩენი ხალხები იმდენად იყვნენ ხოლმე თავისუფალნი, რამდენადაც საქართველო იყო ძლიერი და იცავდა სამხრეთის საზღვრებს," წერს ალექსანდრე მანველიშვილი("საქ.საზღვრები", პარიზი 1938,გვ.5). ამიტომაა, რომ დღესაც დიდმპყრობელ-შოვინისტები, ქართველი თითო-ოროლა(?) ბოლშევიკების მემკვიდრეების დახმარებით, საქართველოს უცხოეთის არწუხებში მოქცევას ცდილობენ.

კ.ი.,პარიზი,1992 წლის 25 თებერვალი

# საქართველოს სახალხო გვარდიის 75 წლისთავი

I.

12 დეკემბერი საქართველოს, ქართული დემოკრატიის პირმშო შვილის სახალხო გვარდიის დღეა, რომელიც დიდი ზეიმით აღინიშნებოდა დამოუკიდებელ საქართველოში. "სწორედ ამ დღისა - წერს სილიბისტრო ჯიბლაძე თავის მისალოც წერილში 'დიდი დღე'("ერთობა",12.12.1919) - მე ყოველთვის მაგონებს დიდი გოეთეს ისტორიულ სიტყვებს. ცნობილია, საფრანგეთის დიდ რევოლუციას ყველა ქვეყნების რეაქციონურ სახელმწიფოებმა საომრო ომი გამოუცხადეს. როცა ამ რეაქციონერთა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარი პირველად სასტიკად დაამარცხა ცუდათ შეიარაღებულმა, მარა თავიანთ რევოლუციურ მონაპოვართა კარგად, მამაცურად დამცველმა საფრანგეთის ხალხმა, ამ დამარცხების პირადათ მოწმემ გოეთემ სთქვა: 'დღეიდან აქ, ამ ადგილას იწყება ახალი ხანა მსოფლიო ისტორიისა'. მსოფლიო ისტორიისა რა მოგახსენო, ჩვენი ხალხის განვითარების ისტორიაში კი სწორედ 12 დეკემბერს სწორედ აქ - ტფილისის არსენალზე იწყება ახალი ხანა. სწორედ ამ დღეს, ამ ადგილას საქართველოს დემოკრატიამ აუწყა ქვეყანას, რომ მას აქვს უნარი, არა მარტო თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლისა,არამედ ამ ძვირფასი განძის დაცვისა."

"შებინდებისას დაიძრა ჩვენი მცირე ლაშქარი...იმავე საბედისწერო ღამეს, იმავე კურთხეული იარაღის მხიარულმა რაკრაკმა გვამცნო სანუკვარი ამბავი, რასაც ისე მოუთმენლად ველოდით:'არსენალი დავიჭირეთ.'"

ეს მოხდა 1917 წლის 12 დეკემბერს, და ეს დღეა საქართველოს სახალხო გვარდიის დაბადების დღე. და თუ ახლა ვლაპარაკობთ სახალხო გვარდიაზე, ეს გამოიწვია იმან, რომ ხელში მაქვს 1919 წლის 12 დეკემბრისა და 1920 წლის 12 დეკემბრის გაზეთი "ერთობა", ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციებისა, რომლებშიც აღწერილია თუ როგორი ზეიმით აღინიშნა საქართველოს სახალხო გვარდიის მეორე და მესამე წლისთავი; და იქვე გამოქვეყნებულია, მრავალ სტატიათა და მილოცვათა შორის, ჩვენი პოეტების გიორგი ქუჩიშვილისა და გალაკტიონ ტაბიძის ლექსები, მიძღვნილი სახალხო გვარდიისადმი. აი ეს ლექსები:

## 12 დეკემბერი

მოდიან, მოყიყინებენ,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოგუგუნებენ,
ცას მოარხევენ ჰანგითა;
წინ ვეგებები არწივებს
ჩემი მქუხარე ჩანგითა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოიმღერიან,
დროშების ცაში ფრიენითა;
ისეთი სანახავია,
ვერ გამოითქმის ენითა!
მსურს ყველას გადავეხვიო
და დავუკოცნო პირი მე,
მაგრამ ცრემლები მერევა
და სიხარულით ვსტირი მე!
მოდიან დარაზმულები
სახალხო გვარდიელები,
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
ხალხი ქუდს უხდის, უყვირის:
ვაშა, სამშობლოს გმირებსო;
მათი ღვაწლი და ამაგი
მტერსაც კი გააკვირებსო!
და მართლაც საკვირველია
გვარდიელების მხნეობა,
მატომაც არის საერო
დღეს მათი ზეიმ-დღეობა!
გზა! გზა მიეცით! მოდიან,
სახალხო გვარდიელები!
დარაჯნი რესპუბლიკისა,
თავისუფლების მცველები!
მოდიან, მოყიყინებენ,
ცას მოარღვევენ ჰანგითა!
წინ ვეგებები საყვარლებს,
ამღერებული ჩანგითა!

გ. ქუჩიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12.12.1919 ერთობა. 12.12.1920

# გვარდია

12. XII 20.

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
პირადათ მე სიკვდილამდე მექნება—
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ.
ერთი გვანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გელის შენ, გალაკტიონ,
აშლერება, რეზონანსით მოვლისა,
პოეზია უპირველეს ყოვლისა!
პოეზია უპირველეს ყოვლისა!

დღეს ჰყვავის მზე, ალუბლები, ატამი ..
ისევ დღეა შენი, მაშასადამე—
შორი სული დოვინ დოვენ-დოვლისა...
საქართველო უპირველეს ყოვლისა!
საქართველო უპირველეს ყოვლისა!

ტფილისი. გალაკტიონ ტაბიძე.

# გვარდია

12. XII. 1920.

თვალს ნაზი და მთვარეული
ალელვებდენ ლანდები
ვიყავ თქვენში ჩარეული
ლხინით თვალ-ანანთები.
მოგვეჩვენა ტრიანონის
კოშკში გულის ნდომანი
დე გრიესა და მანონის
სევდიანი რომანი.
მივაფრენდით ქარში მერნებს,
პიხვინებდენ მერნები,
სასახლეებს და ტავერნებს
ცვლიდენ სხვა ტავერნები.

და ვხედავდით როგორ ილებს
სულს ვედრება ხილისის
და ვხედავდით ცისფერ ნილაბს
მხოლოდ ერთი ქალისას
სამშობლოზე ოცნებები
თითქო შვლის სიმარდეა...
წინ, გვარდია!! შენი ხმები
მხოლოდ სხვაზე დარდია.

ტფილისი.

გალაკტიონ ტაბიძე

# გვარდია

12. XII. 20

ვდღესასწაულობთ პირველ თაველებს
მოსასწაულე ვარდთა დაგებით.
ბაღებს რტოები ააყვავილებს
აივნებს ნოხი და ფარდაგები.
განთიადისას წავედით ტყეში
თვალებს მოედო ელვა წყაროთა
ყვავილს, რომელსაც ჰქვია ნუგეში
ჩვენ დავეძებდით და გვიხაროდა.

ვეძებდით ომებს, მტრების ხაზინას,
თოფების ბოლში წრეებს გვადენდა,
არც მოგვასვენეს, არც დაგვაძინეს
და აქა, აჰა, შემოგვათენდა.
უეცრად მტერი აეშალეთ მთაში
გამოვედევნეთ ისართ ჯირითით.
შეკრთომით დაკრეს ფოთლებმა ტაში.
ჩვენც სიხარული არ დავარიდეთ.

ტფილისი

გალაკტიონ ტაბიძე.

## II.

და ამ ლექსების, განსაკუთრებით გალაქტიონ ტაბიძის პირველი ლექსისა- "გვარდია" გამოქვეყნება ა ხ ლ ა, განაპირობა არა მარტო ამ ლექსთა მართლაცდა შესანიშნავმა რაობამ, არამედ იმ ფაქტმა, რომ ეს ლექსები მკითხველებისათვის, როგორც საქართველოში, ისევე უცხოეთში, უცნობია, ვინაიდან ამ ლექსებში ქებადიდებით მოხსენებული საქართველოს სახალხო გვარდია ბოლშევიკებისათვის "მიუღებელია", რის შედეგად ამ ლექსებს თქვენ ვერ იპოვნით გალაქტიონ ტაბიძის ვერც ერთ ლექსთა კრებულში. საქართველოს სახალხო გვარდიისადმი მიძღვნილი პირველი ლექსი კი, როგორც ჩანს, "გადააკეთებინეს" გალაქტიონ ტაბიძეს, და სათაურით - "პოეზია უპირველეს ყოვლისა - გამოქვეყნებულია გალაქტიონ ტაბიძის რჩეულ თხზულებათა ერთტომეულში, რომელიც 1973 წელს გამოსცა "საბჭოთა საქართველომ" პოეტის დაბადების 80 წლისთავის გამო. აი ეს ლექსიც:

### პოეზია —
### უპირველეს ყოვლისა!

სული გვქონდეს უსპეტაკეს თოვლისა!
მეგობრებო, სიკვდილამდის მექნება
მხოლოდ ერთი სიხარულის შეგნება:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თავდადებულ ბრძოლებისთვის ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
მარად მანთებს შუქი სვეტიცხოვლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

სიკვდილივით მარადია სურვილი
მთელი ქვეყნის სიმღერებით მოვლისა,
ყველაფერში შუქით შემობურვილი:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

თუ სამშობლო მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები, როგორც პოეტს შეჰფერის.
სიმღერები ხალისის და ბრძოლისა:
პოეზია — უპირველეს ყოვლისა!

რა თქმა უნდა, ეს ლექსიც - "პოეზია უპირველეს ყოვლისა" - შესანიშნავია, მაგრამ, ჩემი აზრით, მას "აკლია" ის ეროვნული აღტაცება, აღფრთოვანება, რომელიც პოეტში გამოიწვია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენამ 1918 წლის 26 მაისს, და ამ ეროვნული დამოუკიდებლობის უსპეტაკესი დამცველის სახალხო გვარდიის დღესასწაულმა - 12-მა დეკემბერმა. საბჭოთა კრიტიკოსები, უდავოა, იმიტომ გაურბოდნენ და დღესაც გაურბიან აღნიშნული ლექსის გამოქვეყნებას, რომ საქართველოს სახალხო გვარდიის ქებადიდება და ისიც ისეთი დიდი პოეტის მიერ, როგორიც გალაქტიონ ტაბიძე იყო, აღმოეფხვრათ ჩვენი ერის ცნობიერებიდან.

## III.

მაგრამ გალაქტიონ ტაბიძის აღნიშნულ ლექსს არც ემიგრაციაში ჰქონდა იღბალი: ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაშიც გამოჩნდა მცირე ჯგუფი "გზააბნეულთა", რომლებმაც, მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, "ქართული ფაშისტური დარაზმულობის" "ყოყინათ" აქციეს - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!" და, როგორც ერთი პოლიტიკური ემიგრანტი ამბობდა, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ლექსის მხოლოდ "საბჭოთა ვარიანტს" იცნობდა, - თითქოს მან, პირადათ შეცვალა "პოეზია უპირველეს ყოვლისა". გამოთქმით - "საქართველო უპირველეს ყოვლისა!"

IV.

მოდი, ღმერთმა აპატიოს ყველა მათ "მათი ცდუნებანი", და შევეცადოთ პოეტური ალეგორიოვანება და პოლიტიკა ერთმანეთში არ აურიოთ, ვინაიდან პოლიტიკა "შესაძლებლობის ხელოვნებაა" და არა პოეზია. თუ ვინმე კიდევ სხვა აზრისაა?!..

V.

ვლაპარაკობთ რა სახალხო გვარდიაზე, ვფიქრობ, საჭიროა კიდევ ერთხელ მოვიგონოთ გენერალ გიორგი კვინიტაძის ზოგიერთი აზრები საქართველოს არმიისა და გვარდიის შესახებ, რომელიც აღნიშნულია საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის - გენერალ გიორგი კვინიტაძის - 1920 წლის 14 სექტემბრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა შ ი:

"ჯარისა და გვარდიის მეომარნო! თქვენ მხარდამხარ ერთმანეთთან ღვრიდით სისხლს ჩვენი სამშობლოს დასაცავათ და ამით კიდევ უფრო დაუკავშირდით ერთმანეთს. წითელ ხიდთან ბრძოლის დროს სახალხო გვარდია გმირულად იბრძოდა უფრო მრავალრიცხოვან მტერთან, რომელიც მანამდე ძლევამოსილი მოდიოდა ათას ვერსს. მაგრამ საქართველოს შვილებმა პირველ შეტაკებისთანავე დაამარცხეს ის. გვარდია ღირსეულათ და სრული თავგანწირვით იბრძოდა მტერთან, იმის სურვილით გატაცებული, რომ მუდმივი ჯარისათვის საშუალება მიეცა მტრის შესახვედრათ მომზადებულიყო! გვარდიამ ჩვენი სახელოვანი წინაპრებივით შეასრულა თავისი მოვალეობა, გმირულად და სახელოვნათ".
"აღსდგენ საქართველოს გმირებში!
დიდება სამშობლოს, დიდება თქვენ!
გაუმარჯოს საქართველოს და მის სახელოვან მხედრობას.

გენერალი კვინიტაძე
("ერთობა", ნომ.209,14 სექტემბერი, 1920 წელი).

VI.

და როგორ აფასებს ჩვენი დიდი პოეტი - გალაქტიონ ტაბიძე - ჩვენს სახალხო გვარდიაზე? -

"და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ."
"დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გელის შენ, გალაქტიონ..."

VII.

და გალაქტიონ ტაბიძე, უთუოდ, საფლავში გადაბრუნდებოდა, როცა გაიგებდა, რომ დღეს - 1991-1992 წლებში -, როცა საქართველოს 26 მაისის დიადი იდეების განხორციელების, ისევ-განხორციელების პირზე ვდგავართ, ჩვენი, ამჟამად, ეროვნული გვარდია შუაზე გაიპო და ერთმანეთის, და ამით, ქართველთა სისხლი დაღვარა, როცა ეროვნული გვარდიის ერთი ნაწილი ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტის მხარეზე, ხოლო მეორე ნაწილი ე.წ.-ი "შეიარაღებული ოპოზიციის" რიგებში ჩადგა, და ასე დაასხვეს "ქართული დემოკრატიის" ნორჩი ყლორტები;-პოზიციამ და ოპოზიციამ ერთად,-ე.ი. ჩვენ ყველამ, მთელმა ქართველმა ხალხმა, როცა კალაშნიკოვებით და რაკეტებითაც კი ერთმანეთზე "ვნადირობდით" თბილისის ქუჩებში, რის შედეგად ახლა ვდგავართ არა მარტო თბილისის ცენტრის - რუსთაველის გამზირის - ნანგრევებზე, არამედ ქართველი ერის ეროვნული ერთობის ნანგრევებზე. ვითომ ახლა იტყოდა ეროვნული გვარდიის შესახებ გალაქტიონი -

"და გვარდია მიყვარს. მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახავარ."
"დაგამცირონ, მაგრამ ვერსად დაგტიონ;
მაინც დაფნით გელის შენ, გალაქტიონ?.."

კარლო ინასარიძე
ქუთაისი, 1988 წლის 12 სექტემბერი,
პარიზი, 1992 წლის 12 მაისი

## საქართველოს კონსტიტუცია ძალაშია?..

### I.

1992 წლის 21 თებერვალს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული კონსტიტუციის 71 წლისთავზე, საქართველოს ეროვნულ კონგრესს, როგორც გაზეთი 'ერთობა' იტყობინება(ნომ.1-1179 ,მარტი,1992 წელი), მოუწვევია საკოორდინაციო საბჭოსა და სამხედრო საბჭოს წარმომადგენლები იმ მიზნით, რომ აღედგინათ პირველი ქართული კონსტიტუცია; და ბატონ ჯაბა იოსელიანსა და ბატონ თენგიზ სიგუას, დამსწრეთა მქუხარე ოვაციების ქვეშ, ხელი მოუწერიათ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ძალაში ისევ-შესვლის დეკლარაციისათვის. და იქვეა ამ აქტის შეფასებაც: 'ჯაბამ და თენგიზმა 21 წლის კონსტიტუცია გვაჩუქა'.

### II.

მოვიგონოთ: როცა 1970 წლის 28 ოქტომბერს, 1919 წლის თებერვლის შემდეგ, მეორეჯერ ჩატარდა,საქართველოს ისტორიაში, მრავალპარტიული არჩევნები,რომელშიც გაიმარჯვა ბლოკმა -'მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო' -, ქართული ეროვნული საბჭო უცხოეთში, რომელიც არის მემკვიდრე საქართველოს ეროვნული საბჭოსა, რომელმაც, ნოე ჟორდანიას თავჯდომარეობით, 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი', - მიმართავდა ხალხისაგან არჩეულ საქართველოს უზენაეს საბჭოს ისევ-ძალაში შეეყვანა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. მაგრამ, ჩვენთვის გაუგებარი მიზეზების გამო, საქართველოს უზენაესი საბჭო საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესწორება-დამატებებით დაკმაყოფილდა, და,წარმოიდგინეთ, საბჭოური ტიპის სახელწოდებაც კი შეინარჩუნა თვით ხალხისაგან არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ. მოვიგონოთ აგრეთვე:

### III.

1991 წლის 31 მარტის საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო რეფერენდუმში,ჩვენი,ქართველი ხალხის თითქმის ას-პროცენტმა უპასუხა "დიახ" კითხვას: "თანახმა ხართ თუ არა აღსდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე". და მართლაც, საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარაცია, რაც შეესაბამება აღნიშნული რეფერენდუმის შედეგებს, და ამით საქართველო ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, რომლის სახელმწიფოებრივი სუვერენული ცხოვრება შეწყვიტა უცხო ძალამ 1921 წლის 25 თებერვალს, როცა თბილისში შემოვიდა უცხო საოკუპაციო ჯარები. მაგრამ საქართველოს უზენაესმა საბჭომ, მართალია, აღადგინა 1918 წლის 26 მაისს ჩვენს დედაქალაქში გამოცხადებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი", მაგრამ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული და დამტკიცებული კონსტიტუცია ძალაში არ შეიყვანა, რაც ერთერთ დიდ შეცდომათ მიგვაჩნია.

### IV.

ამის შემდეგ საქართველოს თავს დაატყდა დიდი, საქართველოს ისტორიაში დღემდე უცნობი ტრაგედია: ქართველები ქართველებზე კალაშნიკოვებით და რაკეტებითაც კი ნადირობდნენ. ჩამოგდებულ იქნა ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი,რომელმაც თავი უცხოეთს შეაფარა. გაუქმდა აგრეთვე ხალხისაგან არჩეული საკანონმდებლო ორგანო - საქართველოს უზენაესი საბჭო,რაც ახლა შეცვალა საქართველოს სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც, გასაგებია, არავითარი ლეგიტიმაცია არ გააჩნია, რომლის გარდალახვას 1992 წლის ოქტომბრის ახალი არჩევნებით ცდილობს.

ანალოგიურ მდგომარეობაში იყო იურიდიულად და ფაქტიურად საქართველოს ე.წ.-ლი 'სამხედრო საბჭო' საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შექმნის წინაპერიოდში: 'სამხედრო საბჭო' და ამით ბატონი ჯაბა იოსელიანი და ბატონი თენგიზ სიგუა 'შაშხანის ლულის ძალით' მივიდნენ ხელისუფლებაში, ე.ი. დაარღვიეს დემოკრატიის ყველაზე უფრო ხათუთი პრინციპი - კანონის უზენაესობა, როცა რაკეტების ძალით ჩამოაგდეს ხალხისაგან არჩეული პრეზიდენტი და გააუქმეს ხალხისაგან არჩეული საკანონმდებლო ორგანო - საქართველოს უზენაესი საბჭო.

### V.

ამდენად, საქართველოს 'სამხედრო საბჭოს', საქართველოს დროებით მთავრობას, და მით უმეტეს საქართველოს ე.წ.-ლ საკოორდინაციო საბჭოს უფლება არ ჰქონდათ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ისევ-ძალაში შეყვანის დეკლარაცია მიიღო. ამის უფლება აქვს მხოლოდ-და-მხოლოდ საქართველოს ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს, რომლის არჩევა განზრახულია 1992 წლის ოქტომბერში.

მაშ, რა გამოსავალი არსებობს ამ მდგომარეობიდან? - ერთადერთი დემოკრატიული გამოსავალია, რაც შეიძლება მალე, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის - არჩევნების ჩატარება, რომლის შემდეგ საკანონმდებლო ორგანო დაამტკიცებს ან გააუქმებს ყველა იმ კანონებს თუ დეკლარაციებს, რომლებიც მიღებულ იქნა ე.წ.-ლ სამხედრო საბჭოს თუ, ახლა, სახელმწიფო საბჭოსაგან. ამგვარად, ბატონი ჯაბა იოსელიანი და ბატონი თენგიზ სიგუა, როგორც ე.წ.-ლი 'სამხედრო საბჭოს' თუ დროებითი მთავრობის წარმომადგენლები, ქართველ ხალხს ვერ 'აჩუქებს' კონსტიტუციას, თუმცა მათ მიერ ხელმოწერილი საქართველოს კონსტიტუციის ისევ-ძალაში შესვლის დეკლარაცია, უთუოდ, დადებითი მოვლენაა. კანონის უზენაესობის დარღვევა ახალი კანონის, და ისიც ძირითადი კანონის=კონსტიტუციის ისევ-ძალაში შეყვანისათვის, უკანონოა, კანონის დარღვევაა, რომლის გარდალახვას, ვიმედოვნებთ, შეძლებს საქართველოს პარლამენტი, რომელიც არჩეული უნდა იქნეს 1992 წლის ოქტომბერში.

VI.

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია კი ჩვენ გვესახება საქართველოს რესპუბლიკური, პარლამენტარული სახელმწიფოებრივი წესყობილების 'მარადიულ' კონსტიტუციად, როგორც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ან უკვე ორას-წლოვანი კონსტიტუციაა, რომელიც, მიუხედავად შესწორება-დამატებებისა, დღესაც ძალაშია.

VII.

მართალია, საქართველოს ამ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი მოითხოვს შესწორებას, შევსებას თუ დამატებას, მაგრამ ის არის, თავისი არსით იმდენად სრულყოფილი, რომ საქართველოს, ქართველი ხალხის, ქართველი ერის "მარადიულ" რესპუბლიკურ კონსტიტუციად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც დასავლეთ ევროპელებიც კი შენატროდენ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს. "მე გავეცანი საქართველოს კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაშიო", წერდა ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი და ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რამსეი მაკდონალდი.

VIII.

მაშ, სიტყვა საქართველოს პარლამენტს ეკუთვნის, რომელიც არჩეული უნდა იქნეს 1992 წლის ოქტომბერში,- არა მარტო საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ისევ-ძალაში შეყვანის საკითხში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1992 წლის 21 აპრილი

---

## გერმანიამ იცნო საქართველო

ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ - გერმანიამ - დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან.

1992 წლის 13 აპრილს, ორშაბათს, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა, როგორც გერმანიის დიდი გაზეთი 'ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგი'(14.4.1992 წ.) იტყობინება, და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექ. ჩიკვაიძემ - ხელი მოაწერეს შეთანხმებას დაუყონებლივ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ ამ ორ ქვეყანას შორის. ამის შემდეგ გერმანიის ელჩმა საქართველოში ბატონმა დალჰოფმა Dahlhoff საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ედუარდ შევარდნაძეს გადასცა თავისი რწმუნების სიგელი. ამგვარად დასავლეთის ქვეყნებიდან პირველი ელჩია საქართველოში ბატ. დალჰოფი.

ედუარდ შევარდნაძემ, ამასთან დაკავშირებით, თქვა, რომ საქართველოში არჩევნები ჩატარდება, სულ გვიან, 1992 წლის ნოემბრამდე, რომლის წინ ჩატარდება ადგილობრივი ორგანოების(კომუნალური) არჩევნები. შევარდნაძემ განაცხადა აგრეთვე, რომ ყველა გერმანელს, რომლებიც იძულებით იქნენ გასახლებული საქართველოდან მეორე მსოფლიო ომის დროს, შეუძლიათ თავისუფლად დაბრუნდნენ საქართველოში. შევარდნაძემ, და, ბოლოს, დასძინა, რომ საქართველო

ცნობს, როგორც სსრკ ერთერთი მემკვიდრე სახელმწიფო, ყველა შეთანხმებას განიარაღების შესახებ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰანს-დიტრიხ გენშერმა, პრეს-კონფერენციაზე, თბილისში, განაცხადა, რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა გერმანიასა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების საქმეში, მისმა მჭიდრო მეგობრულმა ურთიერთობამ ედუარდ შევარდნაძესთან. 'ედუარდ შევარდნაძემ და მე,- თქვა მან, - ერთად გავიარეთ გრძელი გზა, რომელმაც მე დიდი პატივისცემით განმაწყო მის მიმართ.' გენშერმა განაცხადა აგრეთვე, რომ მალე დაიწყება მოლაპარაკება გერმანია-საქართველოს საერთო ხელშეკრულებისა და კულტურული ურთიერთობის შესახებ. ამასთანავე, განსაკუთრებულ იქნება სტუდენტებისა და მეცნიერების გაცვლა-გამოცვლა. გერმანია საქართველოს დაეხმარება აგრეთვე სამართლებრივი და ეფექტური ეკონომიკური სტრუქტურების შექმნაში. გერმანიის სპეციალისტთა ამგვარი დელეგაციამალე ეწვევა საქართველოს.

ჰანს-დიტრიხ გენშერი, თავისი ორ-დღიანი ვიზიტის დროს, ორშაბათს, ნაშუადღევს, 13 აპრილს, ესტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რის შემდეგ იგი გაფრინდა გერმანიაში.

------------

'ფაც'-14.4.1992 წ.

------------------

## ჯეიმს ბეიკერი საქართველოში

ჯეიმს ბეიკერი, შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრი, 1992 წლის 25 მაისს ესტუმრა საქართველოს, რომელსაც,თბილისის აეროდრომზე, მიესალმა, როგორც განსაკუთრებული ირონიით წერს ფრანგული დიდი გაზეთი 'მონდი'- 'ძველი მეგობარი' ედუარდ შევარდნაძე. საქართველო, უკანასკნელია სსრკ-ის 15 მოკავშირე რესპუბლიკიდან, რომელიც ახლა ინახულა ჯეიმს ბეიკერმა, რაც იმასაც მეტყველებს, რომ არა მარტო საქართველოში არსებობს დღეს არეული მდგომარეობა, არამედ აშშ-ს პოლიტიკა საქართველოსადმი, არეული თუ არა, გაურკვეველი მოსჩანს, რაც ნათელჰყო არა მარტო აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადებამ კიევში, რომ 'თავისუფლება დამოუკიდებლობას არ ნიშნავს', არამედ ჯეიმს ბეიკერის ამ ვიზიტმაც. შევარდნაძემ, როგორც დასავლეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან, - ჯეიმს ბეიკერი მიიღო, თბილისთან ახლოს, ტყეში, 'ბერიას ქარვასლურ ვილაში';და ეს ორი სახელმწიფო მოღვაწე თათბირობდნენ, როგორც 'მონდი' წერს, - 'გამსახურდიას ჩრდილის ქვეშ'. ჯეიმს ბეიკერმა, რა თქმა უნდა, განაცხადა, რომ მას უხარია მისი 'ძველი მეგობარისა და კოლეგას', ნახვა, მაგრამ ხაზგასმით მიუთითა არსებული მდგომარეობის სირთულეებზე. 'თქვენ დაადექით მეტად რთულ გზას. თქვენ გსურთ დაამყაროთ დემოკრატიული წესყობილება, და ეს არ იქნება ადვილი'. არსებითია, განაგრძო ბეიკერმა, - პრაქტიკულად დემოკრატიული პოლიტიკის წარმოება უმცირესობათა უფლებების დაცვის ჩათვლით. ბეიკერმა მიუთითა მუსლიმანთა სხვადასხვა ჯგუფებზე, რომელთაც ეშინიათ ქრისტიანული საქართველოს დამოუკიდებლობისა და ნაციონალიზმის გამწვავებისა. ზვიად გამსახურდიამ, კერძოთ, გააუქმა სამხრეთ ოსეთის სტატუსი, რომელიც დღესაც არ არის აღდგენილი. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა მოუწოდა დაბოლოს, პატივისცემისაკენ დემოკრატიული ურთიერთობისადმი, რომელიც არის ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ბაზა. მე ვიმედოვნებ, თქვა ჯეიმს ბეიკერმა, რომ ოქტომბერში დანიშნულ არჩევნებს მოყვება 'ეროვნული შერიგება'.

ედუარდ შევარდნაძემ, რომელიც მეტად ჩაფიქრებული იყო,- თავის მხრივ - განაცხადა: 'ახლა არის ყველაზე უფრო რთული მომენტი ჩემს ცხოვრებაშიო'. საქართველოს ყველაზე უფრო მთავარი პრობლემაა ეკონომიკის დაცემა; სოფლის მეურნეობის პროდუქცია განახევრდა; ტრანსპორტი დეზორგანიზებულია. პოლიტიკური პარტიების რიცხვმა 100 გადააჭარბა. ერთი ამერიკელი ჟურნალისტის შეკითხვაზე თუ შეიცვალა ის იმის შემდეგ, როცა საქართ.კომპარტიის პირველი მდივანი იყო,- შევარდნაძემ უპასუხა:'ყველაფერი შეიცვალა, ჩემის ჩათვლითო!'

ადგილობრივი პოლიტიკური ცხოვრება, პრესის სააგენტოების აზრით, - ისევ რჩება არეული. არანაკლებად პარადოქსალურია, რომ ყოფილი კომპარტიის პირველი მდივანი გამოდის დემოკრატიის დამცველის როლში, და მან შეცვალა საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც არჩეული იყო ამომრჩეველთა 87 პროცენტის მიერ. გამსახურდია კი იმყოფება მეზობელი ჩეჩნეთის რესპუბლიკის დედაქალაქ გროზნოში და იქიდან უთვალთვალებს მდგომარეობას საქართველოში. შევარდნაძემ გაიმეორა,რომ მდგომარეობა საქართველოში რთულიაო; და ამაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის არ ცდება, - დასძენს დასავლეთელი კორესპონდენტი('ლე მონდ', 27.5.92 წ.,გვ.3).

როგორც ვხედავთ, ჯეიმს ბეიკერი, რომელიც არ დასწრებია 26 მაისის ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნას თბილისში, ისე ჩქარა გაფრინდა პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში,-არ არის არც ზვიად გამსახურდიას და არც მისი 'ძველი მეგობრის - ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკით კმაყოფილი, თუმცა ჯეიმს ბეიკერმა, როცა ის 1992 წლის 18 თებერვალს მოსკოვში შეხვდა თენგიზ სიგუას, განუცხადა. ამერიკის მთავრობის'შეშფოთება' ზვიად გამსახურდიას გადაყენების გამო. როგორც ჩანს, არავითარ კონკრეტული შედეგი არ მოყოლია ჯეიმს ბეიკერის ვიზიტს საქართველოში.

'ლე მონდ', 27.5.92 წ.,გვ.3

- . - . - . - . - . -

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა სტუმრები მასპინძლები გახდებიან

## ოსები საქართველოში

1.

'როცა სტუმრები მასპინძლები გახდებიან' - , ასეთი სათაური მისცა ამ შენიშვნას დიდ ფრანგულ გაზეთ 'ლე მონდ-ში', 1992 წლის 30 მაისს, ვამოქვეყნებულ სპეციალური კორესპონდენტის - დომინიკ დომბრეს - წერილთან დაკავშირებით, რომელიც მის ცხინვალიდან გამოგზავნილ წერილს აძლევს ასეთ სათაურს: 'ბატონმა შევარდნაძემ ვერ დაამთავრა კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის'.

2.

უკვე ეს სათაური ნათელჰყოფს, რომ ქალბატონი დომინიკ დომბრეც ისევე ასხამს წყალს დიდმპყრობელ შოვინისტების, ამ შემთხვევაში ოსი ექსტრემისტების წისქვილზე, როგორც ეს ხდება განსაკუთრებით 90-იანი წლების პირველივე თვეებიდან, როცა ოსმა ექსტრემისტებმა შიდა-ქართლის შეერთება, თითქოს ოსეთთან, სინამდვილეში კი რუსეთთან მოითხოვეს, რამაც გამოიწვია სისხლის ღვრა სტუმრებ-ოსებსა და მასპინძელ-ქართველებს შორის, თუმცა სტუმართა რიცხვი უკვე ორი-მესამედი გამხდარა შიდა-ქართლში, როგორც დომინიკ დომბრე იტყობინება. ამ პატივცემულ ქალბატონს ვერ გაუგია, რომ საქართველოში ოსეთი კი არ არსებობს, არამედ საქართველოში ცხოვრობენ ნაწილი ოსებისა, რომლებიც ჩვენ ქართველებმა - და ესაა ახლა ჩვენი უბედურება - მეგობრულად მივიღეთ შიდა ქართლში, ე.ი.საქართველოში, დავასახლეთ ჩვენ ძველთაძველ მიწა-წყალზე, მომრავლდნენ და ახლა ჩვენ, მასპინძლებს შიდა-ქართლიდან გარეკვით გვემუქრებიან;და ნაწილობრივ უკვე აღწევენ ამ მიზანს არა მარტო რუსის ჯარის დახმარებით, რომელიც შიდა ქარლშია განლაგებული, არამედ 'ერთიანი და განუყოფელი' რუსეთის ყოველი ჯურის მომხრეების დახმარებითაც, რომელთა შორის თვით ეს ქალბატონი დომინიკ დომბრეც უნდა ჩავთვალოთ, რადგან ის არაერთ ყალბ იმფორმაციას აწვდის გაზეთი 'მონდ-ით' დემოკრატიულ ქვეყნებს,და საქართველო გამოყავს ისე, რომ თითქოს მხოლოდ ამ რეგიონში ქართველები ჩაგრავენ მის ტერიტორიაზე მცხოვრებს არაქართველებს, რომლის დროს იქმნება შთაბეჭდილება, რომ არაქართველებს შეუძლია ქართველების ხოცვა-ჟლეტა, ხოლო ქართველთა საპასუხო მოქმედება დასაგმობია. და ამგვარი სიმართლე-სიცრუის 'აჯაბსანდალია' ქალბატონ დომინიკ დობრეს ეს წერილიც. აი,რამდენიმე მაგალითი:

3.

ქართველებმა 'დასაჯეს' სამხრეთ ოსეთის პატარა რესპუბლიკა იმისათვის, რომ მან გამოაცხადა დამოუკიდებლობა საქართველოდან, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ 20-იან წლებში შეუერთა იგი და ახლა უნდა მას შეუერთდეს ჩრდილოეთ ოსეთს, რომელიც არის რუსეთის ფედერაციის ნაწილიო. ნუთუ ქალბატონი დომინიკ დომბრე მხოლოდ-და-მხოლოდ ოსი ექსტრემისტებისა და მის უკან მდგომი დიდმპყრობელ-შოვინისტებისაგან ღებულობს ამგვარ ყალბ, ყვირალა ცნობებს?.. რატომ იგივე კითხვები არ დაუსვა ქართველობას?.. თუ, მისი აზრით, ქართველობის აზრი საქართველოს შესახებ ანგარიშგასაწევი არ არის, ხოლო ოსი-სტუმრების კი?.. მერმეთ: ვინ აწვდლებს ამგვარ ყალბ ისტორიულ ცნობებსაც კი, რომ თითქოს 'სამხრეთ ოსეთი', როგორც პოლიტიკური ერთეული არსებობდა ბოლშევიკების გაბატონებამდე საქართველოში და მისი ბატონობის დამყარების შემდეგ 'სამხრეთ ოსეთი' თვით ბოლშევიკებმა შეუერთეს საქართველოს?.. ნუთუ დომინიკ დომბრემ და დასავლეთელმა სიყალბის გამვრცელებლებმა ბოლოს-და-ბოლოს ვერ გაიგეს, რომ ცნებები 'სამხრეთ ოსეთი' და 'ჩრდილოეთ ოსეთი' წმინდა წყლის ბოლშევიკური გნებებია,რომლითაც ბოლშევიკებმა, რა თქმა უნდა, ქართველი ბოლშევიკების დახმარებით, საქართველოს დაპყრობისას, 1921 წლის თებერვალ-მარტში, -'დააჯილდოვეს' საქართველოში მცხოვრებთ ოსები.

ოსები - საქართველოს დამოუკიდებლობის დროსაც 1918-21 წლებში და დღესაც - რუსული იმპერიალიზმის საყრდენი ძალა იყო და არის კავკასიაშიდა რუსების დახმარებით, ებრძოდა და ებრძვის საქართველოს, რომ ჩვენ ისევ მოგვაგდოს კრემლის ბატონობის ქვეშ. ამის შედეგია ის, რომ 1922 წელს ბოლშევიკებმა ხელოვნურად შექმნეს ე.წ-ლი'სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი', რის შემდეგ ოსეთს, ნამდვილ ოსეთს, 'ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა' უწოდეს. ახლა კი ოს ექსტრემისტებმა და მისმა მფარველებმა მიიწიყეს არა მარტო ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკების მიერ მინიჭებული 'ოლქისა'(შიდა-ქართლი) და 'რესპუბლიკის'(ნამდვილი ოსეთის) ცნებები, არამედ ის ფაქტიც, რომ ოსეთსა და საქართველოს შორის კავკასიონის მთავარი ქედია; ამის გარდაადხვაში, როგორც ამბობენ, დიდად შეუწყო ხელი ოსებს ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა საქართველოში მცხოვრები ოსები ოსეთთან გვირაბით დაუკავშირებია, საიდანაც ახლა - როგორც დომინიკ დომბრესტ წერს - პირდაპირი კავშირი აქვს ოსეთთან და ამით რუსეთთან,საიდანაც მოდის ყველაფერი, რაც საჭიროა ოსი ექსტრემისტებისათვის, რომ სისხლის ღვარი დააყენონ შიდა-ქართლში.

4.

ქალბატონ დომინიკ დომბრეს მთელი ეს წერილი ისეთი მიდგომითაა დაწერილი,რომ გულუბრყვილო ევროპიელ მკითხველს შეექმნება შთაბეჭდილება, რომ ერთადერთი საცანა კავკასიაში ესაა ქართველი ერი , რომელიც ჩაგრავს ეროვნებათა უმცირესობებს საქართველოში; მაგრამ იმდენად არ უფიქრდებიან მდგომარეობას, თუ ქართველი ერი ჩაგრავდა და ჩაგრავს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არაქართველებს, მაშინ როგორ გამდიდრდენ ესენი, ამ შემთხვევაში, ოსები,რომ დღეს მახპინძლების გაყრა სურთ შიდა-ქართლიდან?.. მაგრამ, უთუოდ, უნებლიეთ, ქალბატონ დომინიკ დომბრესაც მოყავს საინტერესო ცნობები:

ოსები არიან ალანებისა და სკვითების მემკვიდრეები კავკასიაში; ისინი ნაწილობრივ მაჰმადიანები , მაგრამ უმრავლესობა ქრისტიანებია; ოსების ენა და მემკვიდრეობა მივიწყებულია; დიდი უმრავლესობა გარუსებულია და ლაპარაკობენ ოჯახში რუსულად, რასაც ქართველები არასოდეს არ ჩადიან. ოსები,ერთგულებისათვის მეორე მსოფლიო ომის დროს,'დაჯილდოებულ იქნა' მეზობლების ტერიტორიებით. აქ მე ვუმატებ:ჩეჩენო-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერი-

ტორიით, რომელთა მოსახლეობა გადასახლებულ იქნა ციმბირში და მათი უკან დაბრუნების შემდეგ ოსებმა მათ მათი ტერიტორია არ დაუბრუნეს.

5.

ერთ ოს ქალს ქალბატონ დომინიკ დომბრესათვის უთქვამს ცხინვალში: ქართველებს 'არ სურთ რომ ჩვენ აქ დავრჩეთ, მაგრამ უკვე ისიც არ სურთ, რომ ჩვენ წავიდეთო!' ამ,უთუოდ, საცოდავმა ქალმა არ იცის, რომ თვით ოსი ექსტრემისტები არიან ისინი,რომელთაც უნდა ჩაც არ უნდა დაჯდეს - შიდა-ქართლი გახდეს ოსეთის ნაწილი,ივიწყებენ რა, რომ - ვიმეორებ: ოსეთსა და საქართველოს შუა კავკასიონის მთავარი ქედი ძევს, და რომ ქართველ ერს არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შიდა-ქართლის ოსეთისა და ამით რუსეთისათვის შეერთება,რაც საქართველოსათვის სასიკვდილო ლახვარს უდრის. მაგრამ ოსი ექსტრემისტების ამგვარი 'მადა' საქართველოს ტერიტორიაზე - შიდა ქართლზე - გასაგები ხდება თუ მოვიგონებთ ბოლშევიკების შემოჭრას,რუსის მე-11 არმიით, საქართველოში 1921 წლის თებერვალ-მარტში. მაშინ, რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა, ორჯონიკიძე-მახარაძეების უშუალო მონაწილეობით, დამოუკიდებელი საქართველოს მაშინდელი ტერიტორია - სულ 91.000-სი კვადრატული კილომეტრი - ისე დაარიგეს მარჯვნივ-და-მარცხნივ, რომ ე.წ-ლ საბჭოთა საქართველოს 69.000-სი კვადრატული კილომეტრი შემორჩა და ამ ტერიტორიის გულში - შიდა-ქართლში -, როგორც აღვნიშნე, რამდენიმე ოსი სოფლისაგან ბოლშევიკებმა 'სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი' შექმნეს და მის 'დედაქალაქად' ცხინვალი გამოაცხადეს, თუმცა ცხინვალში მაშინ სულ სამი კომლი ოსი ცხოვრობდა. და ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით 'ინტერნაციონალიზმის' მქადაგებელმა ლენინმა საქართველოს უძველესი ტერიტორია - სოჭი და მისი რაიონი - რუსეთს შეუერთა თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს. და რატომ ეს ისტორიული ექსკურსიც? - იმიტომ, რომ ედუარდ შევარდნაძე,-მოევლინა რა ამ წლის დასაწყისში ისევ საქართველოს, - ეგონა, რომ საქართველოში ისეთი ყაიდის მშვიდობიანობას დაამყარებდა,რომელიც მოეწონებოდა ოს-ექსტრემისტებს, მოსკოვს და თვით ვაშინგტონსაც კი, რომელიც, ვფიქრობ,უგუნურად, რუსეთის იმპერიის დამცველის როლშიც კი გამოდის, როცა საქართველოს ჩათრევა სურს ე.წ-ლ 'დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში', რაც სხვა არაფერია თუ არა ოდნავად სახეშეცვლილი სსრკ-ა.

6.

როგორც ჩანს, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ შეუქმნა არა მარტო ჯეიმს ბეიკერს, არამედ აღნიშნული წერილის ავტორს - დომინიკ დომბრეს, რომ ორიოდე სიტყვით მის სასარგებლოდ რაიმე ეთქვა; პირიქით, მისი

ამ წერილის სათაური: 'ბატონმა შევარდნაძემ ვერ დაამთავრა კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის'. ასევე ნათელია, რომ კრემლმა იმიტომ გააღმერთა სერგო ორჯონიკიძე და მისი მომხრეები, რომ მან საქართველოს ზურგში ხანჯალი ჩასცა, რაც არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობაში, არამედ ამასთანავე საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის 'მარცხნივ-და-მარჯვნივ' დარიგებაში და ქართველი ერის ფიზიკური ტერორის გაძლიერებაში გამოიხატა. ახლა კი ედუარდ შევარდნაძეს არც ტერიტორია აქვს 'მარჯვნივ-და-მარცხნივ' დასარიგებელი და, როგორც ჩანს, არც მისი 'გადემოკრატიულების' ხჯერა ქართველ ხალხს და იძულებული გახდა ეთქვა 'მის ძველ მეგობრისათვის' - ჯეიმს ბეიკერისათვის, რომ 'ახლა არის ყველაზე უფრო რთული მომენტი ჩემს ცხოვრებაში'.

შეეხო რა ჯეიმს ბეიკერის სტუმრობას საქართველოში 1992 წლის 25-26 მაისს, აღნიშნულმა ოსმა ქალმა ცხინვალიდან, როგორც დომინიკ დომბრე წერს, განუცხადა მას: 'ჩვენ საერთოდ არავითარი უფლებები არ გვაქვთ ოსეთში. ჩვენ ვართ პატარა ხალხი, რომლის წინააღმდეგ იბრძვის ხუთ-ნახევარი მილიონიანი ქართველი ხალხიო'. მართალია, დომინიკ დომბრე, ამ წერილის სხვა ადგილას აღნიშნავს, რომ 'სამხრეთ ოსეთში', ე.ი. საქართველოში ცხოვრობს 100.000-ხი ოსი, ოსეთში კი 600.000-ხი ოსიო, მაგრამ არც ამ ოს ქალს და არც დომინიკ დომბრეს ცნება 'ოსეთი' და ცნება 'საქართველო' არ გაეგებათ, ან არ სურთ გაიგონ: საქართველოში ოსეთი არ არსებობს როგორც ოსეთში საქართველო არ არსებობს; და სანამ ამ მარტივ ცნებებს ვერ გაარჩევენ ერთმანეთისაგან ოსი-ექსტრემისტები და მათ უკან მდგომნი, მანამდე ქართველობას, თვით ედუარდ შევარდნაძის ჩათვლით, - თუ მას არ სურს იყოს მეორე ორჯონიკიძე,- არ შეუძლია, ისედაც მინიმუმამდე დაყვანილი საქართველოს დღევანდელი ტერიტორიის დათმობა, ამ შემთხვევაში შიდა-ქართლში ოსების გაბატონება. ნუთუ ეს არ ესმის ოს-ექსტრემისტებსა და მის მფარველებს?.. და თუ ესმით, ვითომ შესაძლებელია ქართველი ხალხის ისე დასუსტება, მისი ეროვნული უფლებების ისე უგულებელყოფა, რომ საქართველოში გავაბატონოთ სტუმრები მასპინძლებზე?..

7.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ყველაფერი ამის გაგების უნარი და სურვილი გააჩნდა ქალბატონ დომინიკ დომბრეს; და ვშიშობთ, რომ ამის გაგებას ვერ შეძლებს ბელგიელი მარკ ეიკენსიც, რომელიც საქართველოში მივლინებულია ევროპის გაერთიანებისა და ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისაგან, რომლის წევრი უკვე საქართველოცაა, და 1992 წლის 22 მაისს ჩასულა ცხინვალში. 26 მაისს კი ცხინვალშივე ჩასულა რუსეთის ფედერაციის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც ყველაზე უფრო ანგარიშ-გასაწევია, რადგან შიდა-ქართლი ფაქტიურად, ისე როგორც მთელი საქართველო, რუსის ჯარის სამასი-ათასიანი ჯარისკაცის შიშის ქვეშ იმყოფება, რაც არის ყველა აღნიშნული პრობლემის მთავარი მიზეზი. მაგრამ ამის შესახებ, რომ დომინიკ დომბრეები არაფერს არ წერენ?.. და ნორმალურია, რომ სტუმრები საქართველოში მასპინძლები ხდებიან?..

კ.ი., პარიზი, 1992 წლის მაისი

"ჩვენი სინდისი წმინდაა"

ქართველი ედუარდ შევარდნაძე მისი ქვეყნის, თანამეგობრობისა და გერმანელების შესახებ -

ასეთი სათაური და ქვესათაური მისცა ინტერვიუს ედუარდ შევარდნაძესთან გერმანიის დიდმა ჟურნალმა "შპიგელ-მა", რომელიც გამოქვეყნებულია "შპიგელ-ის" 1992 წლის 13 აპრილის მე-16 ნომერში. აი, სრული მინაარსი ამ ინტერვიუსა:

მეკითხვა: ბატონო პრეზიდენტო, შვიდი წლის შემდეგ მოსკოვში და მრავალი წრიუმფის შემდეგ საერთაშორისო პოლიტიკაში, თქვენ დაბრუნდით თქვენს სამშობლოში. თქვენ ამას თვითონ უწოდეთ სარისკო ნაბიჯი. რატომ გადადგით ამგვარი ნაბიჯი?

პასუხი: მე არ შემეძლო სხვაგვარად მოქმედება. ამ მომენტში წყდება ჩემი სამშობლოს ბედი. თუ პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაცია შეუძლებელი გახდა, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა წაგებულია. აქ ერთი ადამიანის ბედი არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს.

შეკითხვა: თქვენ ახლა იმყოფებით ისევ იმავე რეზიდენციაში, რომელშიც 13 წლის განმავლობაში იმყოფებოდით. ამასობაში თქვენ მხარს უჭერთ საბაზრო მეურნეობას და პარლამენტარულ დემოკრატიას...

პასუხი: მე ვიყავი კომუნისტი, ეს ცნობილია. როცა მე დავიბადე, ბატონობდა უკვე ერთპარტიული სახელმწიფო. ამან ჩამომაყალიბა მე პირველად. მაგრამ ჩემი მსოფლხედვა შეიცვალა, არა გარდაქმნის დროს, არამედ უკვე 70-იან წლებში.

შეკითხვა: თქვენ 1990 წლის ბოლოს დასავლეთში სახელი გაითქვით როგორც გამფრთხილებელმა დიქტატურის, პუტჩისაგან. ახლა კი თქვენ თვითონ ხართ ხუნტას მეთაური, რომლის დროს თქვენ არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩამოაგდეთ. რატომ იქნა გამსახურდია ძალით ჩამოგდებული?

პასუხი: თავისუფალი არჩევნების შედეგები ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიული განვითარების გარანტია. საქმე კი არ ეხებოდა ერთი პიროვნების გადაყენებას; არამედ რეჟიმის ანტიდემოკრატიული ფორმების გარდაქმნას. სხვათა შორის, ჰიტლერიც დემოკრატიულად იქნა არჩეული...

შეკითხვა: თავისუფალ არჩევნებში ჰიტლერს არასოდეს არ მიუღია ხმების უმრავლესობა.

პასუხი: მაგრამ ნაცისტები გახდნენ უძლიერესი პარტია.

შეკითხვა: პიროვნულად რა ბრალდებას უყენებთ გამსახურდიას?

პასუხი: პიროვნულად მე არაფერ ბრალდებას არ ვუყენებ მას.

შეკითხვა: მაგრამ გამსახურდია გაბრალებთ თქვენ, თქვენ მოამზადეთ და განახორციელეთ სახელმწიფო გადატრიალება.

პასუხი: ადამიანს შეუძლია ყველაფრის თქმა, როცა თავი ენას არ წარმართავს.

შეკითხვა: თქვენ გაიცანით გამსახურდია ოდესმე პიროვნულად?

პასუხი: თითქმის არა; შეიძლება ერთხელ მას ხელი ჩამოვართვი. და ერთი წლის წინათ ტელეფონით ვილაპარაკეთ ერთმანეთს. მის მამას ვიცნობდი მეტად კარგად; ის იყო ერთი მნიშვნელოვანი მწერალი.

შეკითხვა: გამსახურდია მოხვდა ციხეში ოცი წლის წინათ, როცა თქვენ შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით?

პასუხი: არა მარტო საქართველოში იდევნებოდნენ დისიდენტები; ეს იყო ტიპიური ტოტალიტარული სისტემისათვის. მეტად საშინელი რამ, მაგრამ ასეთი იყო კანონები იმ დროს.

შეკითხვა: გამსახურდია ამბობდა, რომ პოლიცია ახორციელებდა ტანჯვა-წამებას. მართალია მისი ამგვარი ბრალდება?

პასუხი: ასეთი შემთხვევები იყო; ეს იყო შემადგენელი ნაწილი მაშინდელი სასამართლო კანონებისა. მაგრამ უშიშროების ორგანოებში კიდევ ბატონობდა პოლიციის უფროსის ბერიას სულისკვეთება, რომელიც დახვრეტილ იქნა 1953 წელს. ის იყო ქართველი, როგორც სტალინი.

შეკითხვა: ჯერ კიდევ არ არის სამოქალაქო ომი თქვენს სამშობლოში დამთავრებული. განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში გამსახურდიას დიდი პატივისცემა აქვს უბრალო ხალხში. როგორ გინდათ თქვენ ამ წინააღმდეგობის ალაგმვა - სამხედრო საშუალებებით?

პასუხი: არგუმენტებით. ადამიანებს მოსწყინდათ დემაგოგია; მათ სურთ შრომა, გონებრივი შემოქმედება. განსაკუთრებით ინტელიგენციამ ამაში გაიღამქრა ტოტალიტარული სისტემის წინააღმდეგ, რადგან მათ დევნიდნენ და შუასაუკუნეების ბნელეთის აჩრდილს ხედავენ. მაგრამ არ არსებობს იმისი მიზეზი, რომ შეურიგებლობა გამოვამჟღავნოთ. დრო ყველაფერს მოაშუშებს, როცა ნამდვილი დემოკრატია გამეფდება.

შეკითხვა: თქვენ გამოაცხადეთ ახალი არჩევნების ჩატარება, შეუძლია მასში გამსახურდიას მომხრეებს კანდიდატურის წამოყენება?

პასუხი: ყველას შეუძლია არჩევნებში მონაწილეობა, რომელსაც ბრალი არ მიუძღვის ხალხის წინაშე.

შეკითხვა: ვინ წყვეტს ამას?

პასუხი: გენერალური პროკურორი სწყვეტს თუ ბრალდება იქნება წაყენებული. თუ პროცესი ჩატარდება, მასში მოწვეულ იქნებიან ინტერნაციონალური მეთვალყურეები სხვა ქვეყნებიდან, მათ შორის გერმანიიდან.

შეკითხვა: და რა მოხდება თუ გამსახურდიას მომხრეები გაიმარჯვებენ არჩევნებში; მოხდება ისევ სახელმწიფო გადატრიალება?

პასუხი: მაშინ მოხდება მთავრობის შეცვლა. ძალადობის გამოყენება არ შეიძლება.

შეკითხვა: თქვენ ყოველთვის იყავით კავშირის მომხრე. წინათ თქვენ მზეც კი დაინახეთ ჩრდილოეთიდან, რუსეთიდან ამოსული. რატომ ხართ ახლა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" საქართველოს შესვლის წინააღმდეგი?

პასუხი: სწორედ გერმანელებმა უნდა იცოდეს ის, რომ მე ყოველთვის ვიყავი თვითგამორკვევის უფლების მომხრე. ამგვარი უფლება უნდა ჰქონდეს საქართველოსაც. მე კი მხოლოდ ვფიქრობდი, რომ ამის განხორციელება შეიძლება თანდათანობით და უმტკივნეულოთ და არა ქაოსურად: რვა საათის განმავლობაში გამოქვეყნდა პროკლამაცია, რომ უკვე საბჭოთა კავშირი არ არსებობს, და ახლა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი" იქნა... შექმნილი.

შეკითხვა: რა შანს ანიჭებთ თქვენ კიდევ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირს?

პასუხი: მე მეტად სკეპტიკური ვარ. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირთან არაფერი საქმე არ აქვს.

შეკითხვა: უზენაესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც ოპოზიციაში არიან, გაბრალებენ თქვენ, რომ თქვენ გსურთ საქართველოს რუსეთის იმპერიის ზეგავლენის სფეროში მოქცევა.

პასუხი: მე ვარ ისევ საქართველოს რუსეთთან თანამშრომლობის მომხრე. ისტორიულად რომ განვიხილოთ, საქართველო რუსეთის დახმარების გარეშე დაიღუპებოდა. დიდი რუსეთის იმპერიასთან კავშირმა დიდი საშინელი ნაკვალევიც დაგვიტოვა, რომლის გამო დღესაც გასაჭირში ვართ. მე ვფიქრობ, ბორის ელცინს ეს კარგად ესმის, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიპლომატიური ცნობის საკითხში მერყეობს.

შეკითხვა: როდის წავლენ საქართველოდან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჯარები? ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი პატრიკეევი ხედავს მასში რუსეთის სამხრეთის ფრთის გაცარიელებას.

პასუხი: ეს არის მეტად სერიოზული საკითხი, და ამაზე უნდა ჩაფიქრდნენ ევროპის ქვეყნები ერთად - და ეს არა მხოლოდ ამის შედეგებზე ერთ ან ორ წელიწადში. ეს ეხება ევროპის უშიშროების პრობლემას.

შეკითხვა: როგორც გსურთ თქვენ სახალხო მეურნეობის ჩქარა წესრიგში მოყვანა?

პასუხი: მდგომარეობა კატასტროფულია, ყველაფერი დაცემულია. დიდ საწარმოებს ხუთი თვის განმავლობაში საერთოდ არ უმუშავიათ; ასე დიდხანს შეწყვეტილი იყო მატარებლების მოძრაობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. დასავლეთ საქართველოში ექვსი მილიარდი მანეთის ღირებულების საქონელი გაქრა. ჩვენ ვცდილობთ, რაც შეგვიძლია. პრივატიზაცია ნელა მიიწევს წინ. მაგრამ საზღვარგარეთის კაპიტალდაბანდების გარეშე, ჩვენ ვერ შევძლებთ ამ პრობლემის მოგვარებას. მე ვამბობ კაპიტალდაბანდებას, რომელიც რენტაბელურია: საქართველოს გააჩნია პოტენციალი, რომელიც პერსპექტიულია. მაგრამ დახმარება უნდა მოხდეს ახლავე.

შეკითხვა: თქვენს ანონსებში, რომლებიც დასავლეთის რამდენიმე გაზეთში გამოქვეყნდა, - იგრძნობა ბრალდება: ქართველები მათი„ გასაჭირით იმისათვის უნდა დაისაჯონ, რომ კომუნიზმი დაინგრა და გერმანია გაერთიანდა. დასავლეთი საკმარისად არ ეხმარება სსრკ-ს მემკვიდრე სახელმწიფოებს?

პასუხი: დასავლეთის დახმარების გარეშე მდგომარეობა კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. მაგრამ საკმარისია დახმარება? - მას საქართველომდე ., არ მოუღწევია. საქართველო იყო ბოლომდე საბჭოთა კავშირიდან პოლიტიკურად და ეკონომიკურად იზოლირებული, და დასავლეთი ხედავდა საქართველოში ტოტალიტარული სისტემის გაგრძელებას.

შეკითხვა: არის ეს ის, რასაც თქვენ თქვენს ანონსებში გულგრილობის კედელს უწოდებთ?

პასუხი: ეს არ არის ბრალდება. დასავლეთი დანაშაული არ არის, რომ ის კავკასიას არ იცნობს. მაგრამ ეს უნდა შეიცვალოს. დასავლეთმა ამ რეგიონს უნდა მიაქციოს იმდენი ყურადღება, როგორც ბალკანეთს.

შეკითხვა: რა შეუძლიათ გერმანელებს გააკეთონ?

პასუხი: მათ შეუძლია ბევრის გაკეთება, მაგრამ ზოგიერთი რაიმეს მიღებაც. მათ შეუძლიათ ჩვენი სახელმწიფო ინდუსტრის პრივატიზაციაში, სოფლის მეურნეობის განვითარებაში დაგვეხმარონ და ნაღდ მომგებიან სფეროებში კაპიტალი დააბანდონ, რომელთაგან მიუიარღების მოგების მიღება შეიძლება: ახეთია ტურიზმი. საქართველო არის ტურიზმის განსაკუთრებული ქვეყანა.

შეკითხვა: ბატონო შევარდნაძე, თქვენი სახელი ყოველთვის დაკავშირებულ იქნება გერმანიის გაერთიანებასთან. ამასთან დაკავშირებით მეიერ გვსურს თქვენგან გავიგოთ, თუ როდის მისვედით თქვენ იმ აზრამდე, რომ გერმანიის ორ-სახელმწიფოებრივობას დასასრული უნდა ექნეს.

პასუხი: ეს იყო 1986 წელი, ერთი წლის შემდეგ, რაც გორბაჩოვი გახდა გენერალური მდივანი. მაშინ . იყო სრულიად შეუძლებელი ამ საკითხე ლაპარაკიც კი. მთელი მთავრობა და პარტიის ხელმძღვანელობა იყო ამის წინააღმდეგი. გორბაჩოვმა დაუშვა, რომ თეორიულად შეიძლებოდა ამ საკითხზე ფიქრი, რომელიც ადრე თუ გვიან დღის წესრიგში დადგებოდა.

შეკითხვა: რამ გაიძულად თქვენ ამ შეუძლებელ აზრამდე მისულიყავით?

პასუხი: მე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ერთი ერი სამუდამოთ გაჰყო. ნაციონალური პრობლემატიკა მე უფრო მაწუხებდა, როგორც ქართველს, ვიდრე სხვა პრობლემები. მე ვფიქრობდი, არ შეიძლება შეურიგდე იმას, რომ გერმანელი ხალხი, რომელშიც დიდი პოტენციალია, ისევ გაყოფილია. ერთ დროს დღისწესრიგში უნდა ყოფილიყო დაყენებული ეს ნაციონალური პრობლემა.

ჩემს ირგვლივ, არავინ არ ფიქრობდა ამ საკითხზე.

შეკითხვა: როდის შეუერთდა გორბაჩოვი თქვენს აზრს? თუ იყო ეს შებრუნებით?

პასუხი: ჩვენ ვიყავით ერთი აზრის. გორბაჩოვი ამხანაგებს აღმოსავლეთბერლინში ყოველთვის ეუბნებოდა: დაიწყეთ რეფორმები, რომლებიც გაერთიანებისაკენ მიდის, თორემ თქვენ დაღუპული ხართ.

შეკითხვა: და როდის მიდით თქვენ იმ აზრამდე, რომ ერთადერთი გზაა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან შეერთება და გაერთიანებული გერმანიის წევრობა ნატოში?

პასუხი: ეს იყო უკვე უკანასკნელ ეტაპზე, 1989 წელს. მაშინაც, როცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დემონსტრაციები დაიწყო, გორბაჩოვი და მე იძულებული ვიყავით მისვლულ-მოსვლული გზით გვევლო, განსაკუთრებით ოფიციალური სიტყვების წარმოთქმის დროს.

შეკითხვა: ვალენტინ ფალინი ამბობს, რომ კიდევ არ არსებობს გასაღები განმარტება იმისა, თუ რა მოხდა გადამწყვეტ მოლაპარაკებისას კავკასიაში გორბაჩოვსა და კოლს შორის სინამდვილეში. შეგიძლიათ თქვენ ამ საიდუმლოების გახსნა?

პასუხი: აქ დასამალი არაფერია. ჩვენ ყველაფერი საფუძვლიანად მომზადებული გვქონდა და ჩვენ კოლეგებთან მოლაპარაკებული ვიყავით, საზღვრებთანაც. ჩვენ არ ვხედავდით უკვე სხვა გამოსავალს, საქმე იდგა ან ასე-ან ისე: ომის წარმოება ან ამ მსოფლიო პროცესში მონაწილეობა მიიღო და მასზე ზეგავლენა მოახდინო. სხვა რაიმე მიგვიყვანდა მესამე მსოფლიო ომამდე.

შეკითხვა: ფიქრობთ დღეს თქვენ, რომ ეს სწორი იყო, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა შესწირეთ? კმაყოფილი ხართ თქვენ თქვენი საქმით?

პასუხი: აქ შეწირვას კი არ ჰქონია ადგილი, არამედ სამართლიანობა ისევ იქნა აღდგენილი. ჩვენი სინდისი წმინდაა.

"შპიგელი": ბატონო პრეზიდენტო, ჩვენი მადლობა ამ საუბრისათვის.

ჟურნალი "შპიგელ", ნომერი 16, 1992 წელი,
13 აპრილი, გვ. 193-198

შენიშვნა სარედაქციო კოლეგიისა: ედუარდ შევარდნაძის ამ ინტერვიუს შესახებ არაერთი შენიშვნა გვსურდა გაგვეკეთებია, მაგრამ თავი შევიკავეთ, რადგან, ვიმედოვნებთ, თვით მკითხველი გამოიტანს ამ ინტერვიუდან შესაბამის დასკვნებს.

## 26 მაისი

ჩამოჰკრა ზარმა, ახმაურდა ივერთ მამული,
შვიდფეროვანი ცისარტყელა განევლო ნათლად,
მზე ამობრწყინდა, ოქროსფერი სხივები სრული,
გადმოაფრქვია და სამფერად ქართლს დაანათა!..
აჰა, აღსდექი, საქართველო, მრავალ — ტანჯულო!..
ფეხ — ქვეშ თელილო, სალოდავო, ჰეი, მამულო!..
იკმარე ტანჯვა, რაც აქამდე შეგისვამს შხამად,
იკმარე დღენი ვაებისა განვლილნი შავად!..
შენს შვილებს მუდამ შენს დაცვისთვის სისხლი ულევიათ,
მშობელი მიწა უბრძოლველად არ დაუთმიათ,
თვით დაცემულან, დროშა ჩვენი არ დაუცრიათ,
მოვალეობა შენს წინაშე მათ დაუცვიათ!..
დაჭრილ ლომივით წარმომდგარხარ შენ დაჩოქილი,
გაათრებულსა დაგილეწავს რკინის ბორკილი,
თავისუფლება მიგიღია სისხლის გაღებით,
აგიწევია საზეიმო ბაირაღები!..
მაგრამ, მამულო! ვერაფერმა ვერ შეაჩერა
ურიცხვი ძალა, სატანური, ჩრდილი მპყრობელის,
გულს მახვილი გკრა, უნამუსოდ ფეხ - ქვეშ გაგთელა!..
თვალნი ლამაზნი აცრემლა ქართველ მშობელის!
ვინ უყურებდა შენს ღირსებას, ბრწყინვალე წარსულს?..
ჩვენ უნუგეშოდ შევყურებდით ერის მზეს, ჩასულს...
ველარ ვხედავდით შენს დიდებას, მძივებად ასხმულს...
გული დაუჭკნო სიდუხჭირემ ივერის ასულს.
ჰეი, მამულო! რაც აქამდე გქონია ჭირი,
იგი გეყოფა, იკმარე და ნულარა სტირი,
შენს შვილთა ბრძოლით და გმირობით კვლავაც აღსდგები,
გაჩირაღდნებულ, სწორ, უტყუარ გზას-დაადგები!
მაშ დიდება შენ, ძველი ნიჭი ღმერთმა მოგმადლოს!..
შენ შვილთა ბედი ღვთის განგებამ შენვე მოგანდოს!..
და ... გაგითენდეს ბრწყინვალე დღე, რომ შევძახოთ ღმერთს:
„დიდება მამულს, აყვავებულს, დიდება მის ერს"!

ა. დარეჯანიძე

„ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა."
„მესამე დასი", *1893* წელი.

# თავი მეხუთე: ეკონომიკური სამყარო

## საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დღეს და მისი პერსპექტივები

"საქართველოს ეკონომიკური შანსები" - "გერმანიის ბანკის გამოკვლევა" - ასეთი სათაურითა და ქვესათაურით აქვეყნებს ნარკვევს შვეიცარიული გაზეთი -"ნოიე ციურხერ ცაიტუნგი", თავის 1992 წლის 7 მარტის ნომერში, რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:
"თვეების განმავლობაში მწვავე შინაპოლიტიკური შეტაკებების შემდეგ, საქართველო - ლიტვა-ლატვია-ესტონეთის გვერდით, რომელიც "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" არ შედის, - დგას ძნელი ახალი დასაწყისის წინაშე: იმ დროს, როცა ახალი კოალიცია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გაძევების შემდეგ, დაკავებულია პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებით, ეკონომიკური რეფორმების პროცესზე ლაპარაკი ზედმეტია."

"როგორც პოზიტიური ნიშანი შეიძლება შეფასებულ იქნას საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური კოოპერაცია სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებთან, როცა საქართველომ ხელი მოაწერა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის დეკლარაციას ამასწინათ, რითაც გათვალისწინებულია ვაჭრობა თანამეგობრობაში მსოფლიო საბაზრო ფასებში. პირველად, 1990 წლიდან, საქართველომ მონაწილეობა მიიღო მოლაპარაკებებსა და შეთანხმებაში სსრკ-ის ყოფილ რამდენიმე რესპუბლიკების მოლაპარაკებაში.

მკვლევრები საქართველოში, ამ ნარკვევის თანახმად, - ადასტურებენ დასავლეთში გავრცელებულ აზრს, რომ სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებში - განსაკუთრებით კავკასიასა და შუააზიაში - არასტაბილურ მდგომარეობასა და ეთნიკურ უთანხმოებასთან გვაქვს საქმე, რომლითაც ეკონომიკური განახლება შეუძლებელი ან, სულ ცოტა, ძნელი გახდება. მართალია, საქართველოს, მისი ნედლი მასალის სიუხვით, განვითარებული ინდუსტრიული ბაზებით და განვითარებადი ტურისტული სექტორით, აგრეთვე მეღარუბით ძლიერი სოფლის მეურნეობით, გააჩნია რეალურად კარგი შანსები, რომ ეკონომიკურად განვითარდეს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების დონემდე. მაგრამ საქართველოს ხუთ-ნახევარ მილიონიან მოსახლეობაში არსებობს ღრმა წინააღმდეგობანი, თუმცა მოსახლეობის 70-ი პროცენტი ქართველებია.

საქართველოს გააჩნია მოპოვებადი ქვანახშირისა და მარგანეცის საბადოები; აგრეთვე ნახევრად ძვირფასი ქვები, მარმარილო და სხვა ლითონები. დღიურად 50.000-სი ბარელი ნავთობიც მოიპოვება საქართველოს ნავთობის საბადოებში. უმნიშვნელოვანესი ინდუსტრიის შემადგენელი ნაწილი კი არის კვების მრეწველობა. სსრკ-ის მემკვიდრე სახელმწიფოებიდან ამიტომ, საქართველოში მოსალოდნელი არ არის სურსათ-სანოვაგის ნაკლებობა, დიდი ქალაქების გამოკლებით, თუმცა კარაქი და შაქრის ნაკლებობა, რადგან ეს პროდუქტები საქართველოში შემოაქვთ. საქართველოს ინდუსტრია მოიცავს ლითონის ჩამომსხმელ ქარხნებს, ელმავალმშენებლობას, სატვირთო ავტომობილისა და ტრაქტორების ქარხნებს, საავიაციო ქარხნებს და სხვა. სამომხმარებლო საგნებიდან, საქართველო ამზადებს ფერად ტელეხედვის აპარატებს, ფეხსაცმელებს, საფეიქრო ნაწარმს და სხვა. საქართველოში არსებობს აგრეთვე ტურიზმისა და კურორტების მნიშვნელოვანი ბაზები შავი ზღვის სანაპიროებზე და სხვა გოგირდოვანი და მკურნალობითი წყლების წყაროები.

აი, ასეთია "გერმანიის ბანკის გამოკვლევა" საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური ცხოვრებისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ, რომელიც გამოაქვეყნა შვეიცარიულმა დიდმა გაზეთმა -"ნოიე ციურხერ-ცაიტუნგმა", თავის 1992 წლის 7 მარტის ნომერში.

შემოკლებითი თარგმანი კ.ი-ძისა
პარიზი, 1992 წლის 21 მარტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

"საბაზრო მეურნეობა არ არის ღვთის სამყარო"

I.

1992 წლის მარტის მეორე ნახევარში, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში, ჩატარდა ევროპის პროტესტანტების თავყრილობა, რომელზედაც განხილულ იქნა საბაზრო მეურნეობის, ერთ მხრივ, "სოციალური საბაზრო მეურნეობის სისტემა", რომლის ირგვლივ არაერთი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება გამოითქვა.

II.

შვეიცარიელმა თეოლოგმა - ლუკას ვიშერმა -, მაგალითად, გააკრიტიკა პირველი "ევროპული ევანგელისტების თავყრილობის" მრავალი მონაწილე, რომლებმაც საბაზრო მეურნეობა როგორც ერთადერთი გზა აღიარეს, თუმცა ბუდაპეშტის კონფერენციამ ნათლად აღიარა ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა სოციალურ და ეკოლოგიურ ბაზაზე. ზოგიერთები კი, 80 ქვეყნის ორასამდე ეკლესიების წარმომადგენლები, გამოთქვამდნენ გაფრთხილებას, რომ სოციალიზმის ელემენტები მეტად ჩქარა და განუჭვრეტლად იქნას უკუგდებული. დელეგატთა განსაზღვრული ნაწილი კი განსაკუთრებით გაილაშქრა ე.წ.-ის "მესამე გზის" წინააღმდეგ საბაზრო მეურნეობასა და გეგმიან მეურნეობას შორის.

III.

ჰოლანდიელმა ეკონომისტმა - ბობ გუდცვაარდმა -, ეკონომიკის პროფესორმა ამსტერდამის უნივერსიტეტში, - მოითხოვა საბაზრო მეურნეობის საფუძვლიანი ახალი განჭვრეტა. დასავლეთის საზოგადოებამ, - თქვა მან, - პასუხისმგებლობა სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური წონასწორობისათვის გადასცა "ბაზრის ბრმა ძალებს" და ამის შედეგად უკვე აღარ გააჩნია ამ პროცესში ჩარევის შესაძლებლობა. პროფესორმა გუდცვაარდმა მოითხოვა "უსაზღვრო ეკონომიკური ზრდისა და განუწყვეტელი ცხოვრების დონის ზრდისაგან" შემობრუნება. ამის სამაგიეროდ, მისი აზრით, - დაკმაყოფილებული უნდა იქნას ძირითადი მოთხოვნილებები, სამუშაო ადგილის გარანტია ყველასათვის და გარესამყაროს დაცვა, და ყველაფერ ამას უნდა ჰქონდეს პრიორიტეტი. ბაზარი არ უნდა იქნას აღიარებული ბედნიერებისა და კეთილდღეობის ერთადერთ საზოგადო საშუალებად. პროფესორ გუდცვაარდის აზრით, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს ყველას კეთილდღეობისათვის პასუხისმგებლობა-კონტროლისაგან. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მწარმოებლებს და სახელმწიფოს უმუშევრობისათვის პასუხისმგებლობა მოთხოვო.

IV.

ეკჰარდ ფონ ვიცინგჰოფმა, ჰანოვერის (გერმანია) ქალაქის საეკლესიო საბჭოს პრეზიდენტმა, მოუწოდა პროტესტანტებს, წინ აღუდგნენ განვითარებას "ეკოისტთა ნაციისა". გერმანიის პროტესტანტული ეკლესიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გერმანიის აღმოსავლეთში იგრძნობა ეიფორია, ხოლო დასავლეთში "უკან დახევა პირად სფეროში", რაც ეყრდნობა ორიენტაციას კონსუმისაკენ. პროტესტანტიზმი, თქვა მან, დგას შეწყნარებლობის, აზრების თავისუფლებისა და ღია საზოგადოების პოზიციაზე. ეს კი შეუძლებელია განხორციელდეს ევროპაში ძველი დემოკრატიის, მოთვინიერებული, ეკოლოგიური და საერთაშორისო პასუხისმგებლობით სოციალური საბაზრო მეურნეობის გარეშე.

V.

პრაღის უნივერსიტეტის პროფესორი - იაკუბ ტროიანი -, სოციალური თეოლოგიის სწავლული, გადაჭრით გაილაშქრა ე.წ.-ის "მესამე გზის" წინააღმდეგ საბაზრო მეურნეობასა და გეგმიან მეურნეობას შორის; და დასძინა, რომ დღესდღეობით არ არსებობს ალტერნატივა საბაზრო მეურნეობისა. ამავე დროს, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქრისტიანებმა არც საბაზრო მეურნეობა და არც დემოკრატიული სისტემა არ უნდა განიხილონ როგორც "ღვთის სამყარო". ქრისტიანების მოვალეობა უნდა იყოს საზოგადოებრივი და ეკოლოგიური წესწყობილებათა განუწყვეტელი გარდაქმნისათვის ბრძოლა. მაგრამ, ამავე დროს, გააფრთხილა ყველა, რომ სოციალისტური სისტემა განხილულ არ უნდა იქნეს როგორც დასასრული "ყოველგვარი უტოპიისა". კომუნი-

აშშ-ში ჩამოყალიბებული თეორიული მოდელი "პასუხისმგებლობითი საზოგადოებისა" ისევე უნდა გამოიყენებლეს და ძალაუფლება უკეთესად იქნეს გაკონტროლებული. აქ აქვს, ერთიანის აზრით, "ყარაულის მოვალეობა" ეკლესიასა და მოქალაქეებს.

("ფც",27.3.1992)
შემოკლებული თარგმანი კ.ი-ძისა.

## "კაპიტალიზმის თეოლოგია?.."

მექსიკის დედაქალაქში ჩატარდა, - 1992 წლის თებერვალში, ამერიკის, ევროპის, აფრიკისა და აზიის ინტელიგენციის წარმომადგენელთა კონგრესი, რომელზედაც სიტყვა წარმოთქვა ცნობილმა მექსიკელმა მწერალმა - კარლოს ფუენტეს რომელმაც მის სიტყვაში შეეხო აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებსაც.

კაცობრიობას მოელის საშიშროება, თქვა მან, - რადგან, "რეალური სოციალიზმის" გაკოტრების შემდეგ, ცდილობენ კაპიტალიზმი ამაღლებულ იქნას "ახალ თეოლოგიად". სოციალიზმის დასასრული მდინარე ელბას აღმოსავლეთით, არ ნიშნავს სოციალური უსამართლობის დასასრულს "არც მდინარე ელბას დასავლეთით, და არც მდინარე რიო ბრავოს სამხრეთით".

კარლოს ფუენტესმა მის მოხსენებაში -"ჩვენი დროის დიდი ცვალებადობანი" - აღნიშნა, რომ კაპიტალიზმი, მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებათა შედეგად, თვლის თავისთავს "უნივერსალურ იდეოლოგიად", თუმცა იგი სინამდვილეში ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს ამუხრუჭებს. უპირველეს ყოვლისა, ლათინური ამერიკა არის ის რეგიონი, რომელშიც ღატაკთა აბსოლუტური რიცხვი სულ უფრო და უფრო მატულობს. ამიტომ ლათინური ამერიკის ვალდებულებაა სოციალური სამართლიანობას ხელის შეუწყოს და დაიცვას.

ამგვარად, მწერალი კარლოს ფუენტეს გაილაშქრა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ კაპიტალიზმის წარმოსახვას "ახალ თეოლოგიად".

"ზც".,13.2.1992 წელი

## დაპირისპირება

ეკონომიკური დაპირისპირება ჩრდილოეთის ინდუსტრიულ ქვეყნებსა და სამხრეთის განვითარებად ქვეყნებს შორის სულ უფრო და უფრო იზრდება.
აი, ამ დაპირისპირების ეკონომიკური მიზეზი:
მსოფლიოში დღეს ცხოვრობს 5 329 მილიონი ადამიანი.
აქედან, განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობენ 4 055 მილიონი ადამიანი.
ინდუსტრიულ ქვეყნებში (ჩრდილოეთი) კი ცხოვრობენ მხოლოდ 1 274 მილიონი კაცი.
მსოფლიო ეკონომიკური პროდუქცია უდრის 21 600 მილიარდ დოლარს (1990 წელი).
აქედან, 17 200 მილიარდი დოლარი მოდის ჩრდილოეთის 1 274-მილიონიან მოსახლეობაზე; სამხრეთის 4 055-მილიონიან მოსახლეობაზე კი **მხოლოდ** 4 400 მილიარდი დოლარი.

აქედან გამომდინარე, ჩრდილოეთის ინდუსტრიული ქვეყნების ყოველ ადამიანზე წლიურად მოდის - 1990 წლის მონაცემებით - 13 500 დოლარი, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ყოველ სულზე მოდის მხოლოდ 1 085 დოლარი. ამის დიაგრამა კი ასეთ სურათს იძლევა:




კ.ი., "ზც"-24.1.1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავი მეექვსე: ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

## შობისა და აღდგომის დიადი დღესასწაული პარიზში

ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის სულიერმა მამებმა - მეთოდიოსმა და არჩილმა - დიდი ეროვნული მთაგონებით გადაიხადეს შობისა და აღდგომის დიადი დღესასწაულები პარიზში, რომელსაც მრავალი მლოცველები დაესწრნენ.

შობის დღესასწაული, ჯერ, რა თქმა უნდა, ჩატარდა წმინდა ნინოს ეკლესია-კათაკომბაში პარიზში, ხოლო შემდეგ შვეციის ეკლესიის სადგომში, პარიზში. როგორც ყოველწლიურად, მიმდინარე წელსაც ჩატარდა შობის შეხვედრა ბავშვებისა და მშობლებისათვის, რომლის ცენტრში, გასაგებია, იდგა მშვენივრად მორთული შობის ხე. აქ ჩვენმა სულიერმა მამებმა და წმინდა ნინოს ქართველ მართლმადიდებელ ეკლესიის მმართველობის წევრებმა დაასაჩუქრეს ბავშვები, რომლის დროს გაიმართა აგრეთვე ქართული სუფრა მშობლებისთვისაც. (1992 წ., 6 იან.)

აღდგომის დღესასწაული კი ყოველწლიურად განსაკუთრებული სიცაქიზით ტარდება პარიზის წმინდა ნინოს ეკლესია-კატაკომბაში, რაც, როგორც ცნობილია, გაზაფხულს, ბუნების გამოღვიძებასაც ესიტყვება. პარიზის ჩვენს პატარა ეკლესია-კატაკომბაში მლოცველთა ტევა არ იყო, რაც განსაკუთრებულ სულიერ სიღრმეს ანიჭებდა ამ დიდ რელიგიურ დღესასწაულს, როცა გაისმა სულიერი მამების სიტყვები ''ქრისტე აღსდგა!'' და მრევლი პასუხობდა: ''ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად აღსდგა!'' და აღდგომის ამ შესანიშნავ დღესასწაულს თავისებური რელიგიური სიღრმე მიუნიჭა, როცა გაისმა წმინდა ნინოს ახლადშეძენილი და უკვე ნაკურთხი ზარის რეკვა. მართლა: ''ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!'' - ''ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!..'' (1992 წელი, 26 აპრილი).

## ს ა ჯ ა რ ო ს ა უ ბ ა რ ი

''26 მაისის დიადი იდეების'' შემქმნელი და მისი პრაქტიკული განხორციელებელი შესანიშნავი თაობის თითქმის ყოველი წევრი, რომლებიც პოლიტიკური ემიგრაციის რიგებში იმყოფებოდნენ უცხოეთში, ყოველთვის ცდილობდნენ, საჯარო საუბრების სახით, თავიანთი აზრები და გამოცდილებანი გაეცნოთ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ფართო წრეებისათვის, რაც, დროთა განმავლობაში, ტრადიცია გახდა. მაგრამ, სამწუხაროთ, აღნიშნული შესანიშნავი თაობის მომდევნო თაობამ თუ თაობებმა, ეს დიდი ეროვნული ტრადიცია დაივიწყეს და თვითეული ჩვენგანი ჩავიკეტეთ ჩვენს თავში და - ნებსით თუ უნებლიეთ - გავურბივათ ჩვენი აზრებისა და გამოცდილების გაზიარებას ფართო საზოგადოებისათვის საჯარო საუბრების სახით. ამან გამოიწვია ის, რომ საჯარო საუბრების ტრადიცია ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში თითქმის მთლიანად გაქრა, რასაც - თავის მხრივ - ის მოყვა, რომ აზრთა-შეხლა-შემოხლას, ცალკეულ ქართველთა შორის, სრულიად შეუფერებელ ადგილას ვხდებით, მაგალითად, წმინდა ნინოს ქართულ ეკლესია-კატაკომბაში ჩატარებული წირვა-ლოცვის შემდეგ, ეკლესიის წინ, ქუჩაში.

და მისასალმებელია, რომ ახლა, - როცა საქართველოში მეტად რთული და გაურკვეველი მდგომარეობაა და როცა მრავალი ქართველი საქართველოში თავისუფლად მოგზაურობენ და ისევ ემიგრაციაში ბრუნდებიან, - ბატონმა გიორგი წერეთელმა - იმოგზაურა რა საქართველოში - თავის შთაბეჭდილებანი და აზრები გააცნო ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას საჯარო საუბარში, რომელიც მან ჩაატარა ქართული წმინდა ნინოს ეკლესიის დარბაზში, 1991 წლის 1 დეკემბერს, რომელსაც მრავალი დაინტერესებული ადამიანები დაესწრნენ. მისასალმებელია აგრეთვე, რომ მან მისი შთაბეჭდილებანი და აზრები საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ, უფრო ვრცლად გააცნო მისივე ჟურნალის - ''გუშაგის'' 1991 წლის დეკემბრის ნომერში, - ამ ჟურნალის მკითხველებს საქართველოსა და უცხოეთში.

ვიმედოვნებთ, სხვებიც, რომლებიც მოგზაურობენ საქართველოში ან ჩამოდიან საქართველოდან, - წაბაძავენ აღნიშნულ მაგალითს, რომ ბევრი გაუგებრობა, რაც გამოწვეულია ინფორმაციის უქონლობის, ან - შეგნებულად თუ შეუგნებლად - ყალბი ინფორმაციის გავრცელების გამო, - თავიდან იქნას აცილებული.

კ.ი., პარიზი, 1992 წლის 21 აპრილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 26 მაისის დღესასწაული პარიზში

ქართულმა ემიგრაციამ საფრანგეთში ჩვეული ეროვნული შეგნებითა და სიდაქიზით აღნიშნა ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაული - 26 მაისი.

26 მაისის ეროვნული დღესასწაული გახსნა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში - ქალბატონმა ლია ვოთამ(გოგიბერიძე), რომელმაც, ფრანგულ ენაზე, მოკლე შესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა. ქნ.ყიამ შემდეგ სიტყვა მისცა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, ჟურნალ 'გუშაგის' გამომცემელსა და მთავარ რედაქტორს - ბატონ გიორგი წერეთელს, რომელმაც - დაახასიათა რა საქართველოში არსებული მეტად რთული ვითარება -, ქართველობას ემიგრაციასა და, რა თქმა უნდა, საქართველოში-მოუწოდა ეროვნული შერიგებისაკენ რომ გარდაუვალი იქნას ქართველთა, როგორც მან თქვა, 'ორ-ბანაკად გაყოფა', რასაც მქუხარე ტაშით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. შთამბეჭდავი იყო ქალბატონ მედეა თუმმანიშვილის, საქართველოს უზენაესი საბჭოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის კომისიის თავჯდომარის, მოკლე სიტყვა: მე ვიმყოფები ახლა უცხოეთში, თქვა მან-, და უფლება არ მაქვს ჩავიდე თავისუფლად საქართველოში ჩემს ქმარშვილთან. და დასძინა: ქართველ ერს უნდა მიეცეს უფლება დემოკრატიული არჩევნების გზით გამოთქვას მისი აზრი საქართველოს მომავალი ბედის შესახებ. და-ბოლოს სიტყვა წარმოსთქვა პარიზის წმინდა ნინოს ეკლესია-კატაკომბის მოძღვარმა, ბერძენმა მიტროპოლიტმა, რომელმაც - მოიგონა რა ბერძენი ერის ისტორიული წარსული - მოუწოდა ქართველობას ეროვნული ერთობისაკენ. 26 მაისის ეროვნულ დღესასწაულს, პარიზში, განსაკუთრებული ელფერი მიანიჭა აგრეთვე ჩვენი ქუთაისის მომღერალთა გუნდმა, რომლის მენეჯერია ბატონი ვლადიმერ ბარიძე. 26 მაისის დღესასწაულის გახსნისას, როგორც წესი, შესრულებულ იქნა ჩვენი ეროვნული ჰიმნი 'დიდება' და 'მარსელიეზა', რომელსაც, ფეხზე ადგომით, თან აყვა მთელი დამსწრე საზოგადოება. შემდეგ კი გუნდმა 'ქუთაისმა' შეასრულა რამდენიმე შესანიშნავი ქართული ხალხური სიმღერა, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა მთელი ქართველობა და მოწვეული სტუმრები.

26 მაისს, სამშაბათს, ქართველობამ თავი მოიყარა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე და პატივი სცეს ამ ქართულ პანთეონში განსვენებულ თანამემამულეებს. 'ქუთაისის' მომღერალთა გუნდმა, რომელიც ახლა განსტუმრებოდა საფრანგეთში, შეასრულეს საგალობლები, მათ შორის, 'შენ ხარ ვენახი' და გალობით საზოგადოებამ ჩამოიარა განსვენებულთა აკლდამებს, რომლის დროს სვლა დაიწყო მთავარ აკლდამასთან, და შემდეგ განსაკუთრებული პატივი სცეს ნოე ჟორდანიას, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ალექსანდრე ასათიანის, დეკანოზი ილიას, ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის, ნოე რამიშვილის, ევგენი გეგეჭკორისა თუ სპირიდონ კედიას, ასევე მხედრობა [illegible] და თავი მოიხარეს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინაშე. სპირიდონ კედიას აკლდამასთან კი, მგალობელთა გუნდმა შეასრულა მეგრული საგალობელი, რომელმაც განსაკუთრებული ელფერი მისცა მთელ ამ მსვლელობას.

ქართული პანთეონიდან, შემდეგ ქართველობამ თავი მოიყარა ლევილის ქართული მამულის შატოს მთავარ დარბაზში, რომელიც მორთულია საქართველოს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების სურათებითა და დამოუკიდებლობის აქტის დოკუმენტით.

გახსნა რა სადღესასწაულო წვეულება, ბატონმა გიორგი წერეთელმა მიესალმა საზოგადოებას და მოუწოდა ერთობისაკენ ყველა პარტიის, დაჯგუფების თუ ორგანიზაციის მიმდევრებს, რომ საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გარდაქმნა შესაძლებელი გახდეს დემოკრატიული არჩევნების გზით, რომლის ჩატარება განზრახულია 1992 წლის 11 ოქტომბრისათვის. სადღესასწაულო წვეულების თამადათ კი არჩეულ იქნა, ბატონ გიორგი წერეთლის წინადადებით, ბატონი კარლო ინასარიძე, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ, სამწუხაროთ, როგორც საქართველოში, ისევე ემიგრაციაში იშვიათად ვახსენებთ 26 მაისის შესანიშნავი თაობის ცალკეულ წარმომადგენლებს, რომელთაგან ერთერთი წარმომადგენელი - ან უკვე 90 წელს გადაცილებული - ვეტერანი ბატონი ნიკო ურუშაძე, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთერთი ლიდერი, დღეს ჩვენს შორისაა და ამშვენებს ჩვენს სადღესასწაულო სუფრას. აქ თამადამ მოიხსენა ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, სპირიდონ კედია, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ნოე რამიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გიორგი გვაზავა და სხვები, რომლებიც - მიუხედავად მათი მსოფლმხედველობითი სხვადასხვაობისა - ერთად შექმნეს 1918 წლის 26 მაისი, რაც მაგალითის მომცემია დღესაც.

მომღერალთა გუნდმა, ჩვეული რიხით, შეასრულა ჩვენი ეროვნული ჰიმნი 'დიდება', რომელსაც, ფეხზე ადგომით, აყვა მთელი დამსწრე საზოგადოება. მრავალ საგულისხმიერო სიტყვიდან, აღსანიშნავია 'ქუთაისის' გუნდის მენეჯერის, ბატონ ვლადიმერ ბარამის სიტყვა, რომელმაც - მიესალმა რა საქართველოს უზენაესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიისთავჯდომარეს, ქალბატონ მედეა თუმმანიშვილს, რომელიც ახლა ლტოლვილობაშია,- აღნიშნა, რომ ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს საქართველოში არსებულ რთულ მდგომარეობაზე, რომლის გარდაქმნის გზას იგი ხედავს 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ყველა პოლიტიკური ძალა საქართველოში, და, რა თქმა უნდა, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები. და-ბოლოს, განსაკუთრებული პატივისცემით წარმოთქმულ იქნა სიტყვა-სადღეგრძელო საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების სადიდებლად, რომლებმაც მიიღეს ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობის შემდეგ და უანგარო დახმარება გაუწიეს ქართველ პოლიტიკურ ლტოლვილებს, რომელთა მეორე და მესამე თაობა უკვე ევროპის ქვეყნებში საქართველოს, ქართველი ხალხის დესპანებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს.

29 მაისს ქართველ მებრძოლთა ვეტერანებმა თავი მოიყარეს, სხვა ქართველებთან ერთად, პარიზის ტრიუმფის ჭიშკრის ქვეშ: ეტუალზე, სადაც გაიხსენეს უცნობი ჯარისკაცი და აავიზგიზეს მარადიული ალი, რომლის დროს ყვავილების გვირგვინი დაასვენეს აკლდამაზე.

31 მაისს კი პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში შესდგა 26 მაისისათვის ბრძოლებში დაღუპულთა პანაშვიდი.

კ.ი., ლევილი, 1992 წლის მაისი

## მირიან მელუას გარდაცვალება

1991 წლის 11 ნოემბერს, დაბა სენ-ჟერმენში, ლევილის ქართული მამულის ახლოს(საფრანგეთი) გარდაიცვალა, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი მირიან მელუა, რომელიც დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

მირიან მელუა დაიბადა,1903 წლის 3 აგვისტოს, სოფელ ასკანაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, უნივერსიტეტში არ მიიღეს პოლიტიკური მიზეზების გამო, რადგან ის თავიდანვე ეზიარა სოციალისტურ იდეებს და იყო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი. დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა ბოლშევიკური რუსეთის მიერ, მირიან მელუასათვის, ისე როგორც მთელი ქართველი ხალხისათვის, იყო დიდი ტრაგედია, რის შედეგად ის დაუყონებლივ ჩაება არალეგალურ მუშაობაში ბოლშევიკური ჯარების წინააღმდეგ, რასაც საქართველოს დაპყრობის შემდეგ, ე.ი.1921 წლის 25 თებერვლიდან, არაერთი სახალხო აჯანყება მოყვა საქართველოში, რომლის კულმინაციური წერტილი იყო 1924 წლის საერთო სახალხო აჯანყება, რომელიც სისხლში ჩაახრჩო ბოლშევიკურმა ჯარებმა.

მირიან მელუა იძულებული გახდა, ჯერ კიდევ 21 წლის ახალგაზრდას, საქართველო დაეტოვებინა და 1924 წლის დეკემბერში ჯერ გადავიდა თურქეთში, ხოლო შემდეგ წავიდა მარსელში(საფრანგეთი), სადაც ის მუშაობდა ქარხანაში მუშად, იქიდან გადავიდა ტულუზში და ბოლოს დასახლდა პარიზში, სადაც მან შეირთო ცოლი, ქალბატონი მარო ბარნოვი, რომლებმაც შექმნეს შესანიშნავი ქართული ოჯახი; შეეძინათ ორი ვაჟიშვილი და ერთი ქალიშვილი.

მირიან მელუა, გასაგებია, ემიგრაციაშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობაში, რომლის დროს მისი მრავალი სტატია-წერილი იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, რომლებშიც ის უკომპრომისოდ იცავდა საქართველოს, ქართველი ხალხის 1918 წლის 26 მაისის დიად იდეებს და იბრძოდა საქართველოდან უცხო ჯარების გაყვანისათვის საქართველოს ეროვნულ მთავრობასთან ერთად, თუმცა იგი უფრო ირაკლი წერეთლის მიმდევრად ითვლებოდა. მაგრამ,საბოლოო ჯამში, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საერთო მიზანი იყო და დარჩა საქართველოს დამოუკიდებლობის ისევ აღდგენა და ამ დიად ეროვნულ საკითხში საქართველოს ყველა დემოკრატიული პარტიები ერთი აზრის იყვნენ, და,ნორმალურია, მათ შორის ერთერთი აქტიური მებრძოლი იყო მირიან მელუა. და ახლა, როცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენა მოახლოვდა, მირიან მელუა ისე გარდაიცვალა, რომ ვერ ინახულა ჩვენი სამშობლო - საქართველო -,რომლის თავისუფლებისათვის ბრძოლას მან მთელი თავისი ცხოვრება შესწირა. მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ იმ შესანიშნავი თაობის ყველა წევრი, რომელმაც ჩვენ მოგვცა 1918 წლის 26 მაისი, დაუვიწყარია ყველა ქართველისათვის, და მათ შორის იყო და დარჩება მირიან მელუა. სავალალოა მხოლოდ, რომ ჩვენი ეს შესანიშნავი თაობა, რომელმაც შექმნა საქართველოს ისტორიაში''პატარა ოქროს ხანა'', ისე განშორდა წუთის სოფელს, რომ ვერ მოესწრო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ისევ-აღდგენას, რაც, ჩვენს თვალწინ, ხორციელდება დღეს, თუმცა სამას-ათასიანი უცხო ჯარი ისევ დგას საქართველოში.

მირიან მელუა დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე 26 მაისის შესანიშნავი თაობის სხვა გამორჩეულ მებრძოლებთან ერთად. საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

კ.ი.,ლევილი,1991 წელი

## ქრისტიან ბერიშვილის გარდაცვალება

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, მოულოდნელად გარდაიცვალა ბატონ მამია ბერიშვილის მეუღლე - ქრისტიან ბერიშვილი,დაბა ლევილში, ქართულ მამულში, პარიზის ახლოს, და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ-ფრანგულ სასაფლაოზე, რომელსაც დიდძალი ხალხი - ფრანგები და ქართველები - დაესწრო. მრავალ სამგლოვიარო წერილებ-დეპეშებიდან, აქვე ვაქვეყნებთ ბატონ სერჟ მელიავას, ქართული სათვისტომოს ყოფილი თავჯდომარის, წერილს ქალბატონ ქრისტიან ბე-

რიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ვუცხადებთ რა ღრმა თანაგრძნობას ბატონ მამია ბერიშვილს მისი მეუღლის დაკარგვის გამო, აქვე ავღნიშნავთ, რომ ქრისტიან ბერიშვილს დარჩა ორი ვაჟიშვილი, ერთი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი, რომლებსაც თანაგრძნობას ვუცხადებთ ამ მძიმე დანაკარგის გამო. საუკუნო იყოს ხსენება მისი!..

აი, ბატონ სერჟ მელიავას სამგლოვიარო წერილი:

Serge MELIAVA
27, rue des Fougères
78310 Maurepas.

Le 27.02.1992

Cher Mamia,

Tu trouveras ci-joint le texte de la courte allocution que j'ai prononcée au cimetière de Leuville sur Orge le 21 février dernier.

Je voudrais te remercier pour l'honneur que tu m'as fait en me demandant de prendre la parole dans de telles circonstances.

Merci d'avoir compris que j'estimais profondément Madame Bérichvili et que sa disparition m'affectait grandement.

Merci aussi à vous deux d'avoir, en son temps, compris ma volonté de nouer des liens étroits entre le foyer et l'association Géorgienne. Ce n'était d'ailleurs que justice pour le foyer qui a tant fait pour nos vieux, pour le château et pour le cimetière.

Nos efforts ont été récompensés. Ces liens existent maintenant et j'en veux pour preuve le vibrant hommage rendu à la mémoire de Madame

Bérichvili par la Présidente de l'association.

Merci encore pour tout ce que vous avez fait tous les deux. Dans ta solitude et ta douleur, n'oublie jamais que toute notre communauté vous en est reconnaissante.

S. Méliava

## საუკუნო იყოს ხსენება მათი

ალექსანდრე (საშა) ჭეიშვილი, ხანდაზმულობაში, გარდაიცვალა 1991 წლის მარტში, არგენტინაში.

მირიან მელუა გარდაიცვალა 1991 წლის 11 ნოემბერს სოფელ სენ-ჟერმენში, დაბა ლევილის ახლოს და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ ძმათა სასაფლაოზე.

სიმონ კეკელიძე, რომელიც უკანასკნელად ლევილში ცხოვრობდა და საქართველოში დაბრუნდა, გარდაიცვალა სამშობლოში 88 წლის ასაკში.

ქრისტიან ბერიშვილი, მამია ბერიშვილის მეუღლე, გარდაიცვალა ლევილში, ქართულ მამულში, და დაკრძალულ იქნა ლევილის ქართულ სასაფლაოზე.

თემო(თემურაზ) თაქთაქიშვილი გარდაიცვალა პარიზში, 1992 წლის აპრილში და დაკრძალულ იქნა პარიზშივე.

საუკუნო იყოს ხსენება მათი!

## ბ ა ლ ა ნ ს ი

ხარჯები: "მებრძოლი საქართველოს"(ოქტომბერი,1991 წელი, ნომერი 10-28):
გამრავლება,შეკვრა,ფოსტა და სხვა..............2 875 ფრანკი.
"მებრძოლი საქართველოს"(მაისი, 1992 წელი,
ნომერი 11-29):გამრავლება,შეკვრა,ფოსტა.......2 925 ფრანკი.
კრებულის("პოლიტიკური კულტურა", 1992 წელი)
გამრავლება, შეკვრა, ფოსტა.......................7 311 ფრანკი

სულ 13 111 ფრანკი.

შემოსავალი: კარლო ინასარიძე.........................13 111 ფრანკი.

- . - . - . - . - . - . -

# ცნობარი

1. ქართული სათვისტომო საფრანგეთში

მისამართი: L'Association Géorgienne en France
6-8, rue de la Rosière
75015 P A R I S, France

2. წმინდა ნინოს ქართული ეკლესია-კატაკომბა პარიზში

მისამართი: L'Eglise Géorgienne Saint Nino à Paris
6-8, rue de la Rosière
75015 P A R I S, France

3. ქართული რესტორანი: 'ოქროს საწმისი'

მისამართი: "T o i s o n d'Or" - Spécialités Géorgiennes
29, rue Castagnary
75015 P A R I S, Tél. 45.31.52.44, France

5. ლევილის ქართული მამული

მისამართი: CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
Leuville sur-Orge 91 - FRANCE

4. ქართული სახლი
MAISON DE LA GEORGIE

11, rue Desprez
75014 P A R I S, France
Tél. 43.95.02.02

Madame, Monsieur, Cher ami

La "Maison de la Géorgie" sera heureuse de vous recevoir. Le Club - Restaurant est à votre disposition, midi et soir, sauf le dimanche. Sa Galerie présente les meilleurs artistes de Géorgie et des objets d'une grande qualité. Le cadre élégant et chaleureux est particulièrement adapté aux réunions amicales et aux repas d'affaires.

Michel RAMAZ PAPOUACHVILY

Le prix du menu - exclusivement géorgien - est fixé à 150 fr. + boissons, service compris
Il est recommandé de retenir sa table, la veille ou le matin pour le diner.
La "Maison de la Géorgie" est à votre disposition pour l'organisation de réceptions.

6. ლევილის ქართულ-ფრანგული სასაფლაო

მისამართი: C i m e t i è r e de L e u v i l l e

==================

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის ისევ-აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '26 მაისის იდეებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის(ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, ისევ-აღდგება '26 მაისის იდეა', ე.ი. გამოცხადებულ იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გ ი ს ი ვ ი

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნით შემდეგ მისამართზე:

M. Maria Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო   კ ო ლ ე გ ი ა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი 1992 - Nr. 11(29) - Mai 1992

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი". ნოე

დაარსდა: იანვარი.1952,პარიზი - Fondation: Janvier I952, Paris

ეროვნული ბიბლიოთეკა